ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №62 (1692) | 20-26 ოქტომბერი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

ჯანყი საქართველოში, ანუ ვინ დგას ამბოხებულთა უკან?!

შევარდნაძის მიერ დამყარებული სტაბილიზაცია და მისი ხელისუფლებაც რომ ძალზე მყიფეა, ამას კარგა ხანია ვამბობთ და ვწერთ კიდეც, მაგრამ ქვეყანაში, სადაც „წერე და იკითხეს“ სინდრომია გამეფებული, ყურს არავინ გიგდებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ხელისუფლების მხრიდან. არადა, ღმერთი, რჯული, რახანია ვუკიჟინებთ პრესიდან, ღია ეთერიდან (სადაც ხელი მიგვიწვდება) პრეზიდენტს, შექმენი ნორმალური ჯარი, აღკვეთე კორუფცია, ლაგამი ამოსდე კონტრაბანდას, მაფიას, მიეცი ხალხს პენსია, ხელფასი, ნუ არღვევთ კანონს, ადამიანის უფლებებს-თქო, მაგრამ ვინ გისმენს, ვისი ტიკი-ტომარა ხარ, ვის დაკარგვიხარ...

შედეგიც სახეზეა. უფრო სწორად, სავალალო შედეგი, ანუ ის, რომ კვლავ ჯანყია სახეზე. ამჟამად არა გურიაში, არამედ სამეგრელოში, სენაკში. აჯანყდა იქ დისლოცირებული ჯარის ერთი ნაწილი, როგორც ოფიციალურად იტყობინებიან, ორას კაცამდე, რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკით, სხვა ცეხცლსასროლი იარაღით... ჰყავთ მძევალიც, თანაც საკმაო წონისა, იმერეთის ენერგიული გუბერნატორი, შაშიაშვილი. რას ითხოვენ აჯანყებულები, უცნობია. ყოველ შემთხვევაში, მაინცდამაინც არავინ აკონკრეტებს, თუმცა, ამბობენ, პუტჩისტების, ხუნტის გადადგომას ითხოვენო...

ვინ დგას აჯანყებულების უკან, ვინ უმაგრებს მათ ზურგს, ესეც არ ვიცით. ხალხს თუ ყურს მივუგდებთ, მავანნი იმასაც ამბობენ, მორიგი სპექტაკლიაო, ხელისუფლების მიერ დადგმული. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ამათგან (ხელისუფალთაგან), კაცმა რომ თქვას, ესეც არაა გასაკვირი. ამათი დადგმული სპექტაკლები (რა თქმა უნდა, უხეირო) ადრეც გვინახავს. ხალხი იმასაც ამბობს, გიორგაძე (უმცროსი) დგას მათ უკან და რუსეთი. ვის უნდა დაუჯერო ამ განუკითხაობას ქვეყანაში, ძნელი გასარკვევია. გარკვეულია მხოლოდ ერთი რამ: ეს ჯანყი, ვინც არ უნდა იყოს მისი ინსპირატორი, რეჟისორი და შემსრულებელი, სასიკეთოდ ნამდვილად არ წაგვადგება. ამ დაპირისპირებით მხოლოდ მტერი იხეირებს და არა ჩვენ, ქართველები. მტრის ვინაობა კი ძნელი დასადგენი არ უნდა იყოს, თუმცა ვინაობის ცოდნა არ კმარა, მას მტრულად უნდა დახვდე და არა კუდის ქიცინით (როგორც ხშირად ხდება ჩვენთან).

ბოლო ინფორმაციით, მოხდა შეტაკება, არის მსხვერპლიც. ამბოხებულებმა გუბისწყლიდან სენაკისაკენ დაიხიეს, ცხენისწყალთან გამაგრდნენ, შაშიაშვილი გაანთავისუფლეს. შევარდნაძე მათ იარაღის დაყრას და ნაწილებში დაბრუნებას სთავაზობს, ჯერჯერობით უშედეგოდ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მთავარია, საქართველოში დესტაბილიზაციის მცდელობა დროულად აღიკვეთოს, მის ორად გახლეჩვის მოსურნეთ ლაგამი ამოსდონ. როგორ შეძლებს ამის მოგვარებას ხელისუფლება, მომავალი გვიჩვენებს. მომავალი, რომელიც, ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული...



დღეს ქვეყანაში მოქმედებს ჩინოსანთა პირადი კეთილდღეობის იდეოლოგია, ანუ უპატრონო ქვეყანას ეშმაკები ეპატრონებიან...

მე-2 გვერდი

„თერთმეტ ოქტომბერს, თერთმეტ საათზე, თერთმეტი საათით ვიყავი გატაცებული“...



მე-9 გვერდი

მომთაბარე სელჩუკ-ოღუზ-თურქმენები და საქართველო (ისტორია და შედეგები)

მე-11 გვ.

ვინ იქნება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი?

მე-9 გვერდი

დღეს ქვეყანაში მოქმედებს ჩინოსანთა პირადი კეთილდღეობის იდეოლოგია, ანუ უპატრონო ქვეყანას ეშმაკები ეპატრონებიან...

ბოლო დროს განსაკუთრებული დავის საგნად იქცა ეროვნული იდეოლოგიის რაობის, მისი მნიშვნელობისა და აუცილებლობის საკითხი ჩვენს ახლადფეხადგმულ სახელმწიფოში. ეს იმით აიხსნება, რომ ყოფილი სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ახალ, დემოკრატიის გზაზე შემდგარ საზოგადოებას სურს გაერკვეს — რა სახის იდეოლოგია შეცვლის უკვე ანაქრონიზმად ქცეულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, რომელსაც ჩვენ თითქმის მთლიანად და გადაჭრით გავემიჯნეთ. ახალი, ჯერ ჩამოუყალიბებელი იდეოლოგიისადმი ინტერესი ბუნებრივია, რამეთუ ის უნდა გახდეს ახალი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ყოფის წარმმართველი ორიენტირი.

ამჟამად აზრი ორადაა გაყოფილი. საოცარია, მაგრამ არსებობს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ეროვნული იდეოლოგიის აუცილებლობის საკითხს — იდეოლოგიისა, რომელშიც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად ასახვას ჰპოვებს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ერის — ქართველი ერის სპეციფიკური ინტერესები.

ადამიანთა ამ ჯგუფის გასაგონად უნდა ითქვას: იდეოლოგიური ვაკუუმი არ არსებობს; იდეოლოგია აუცილებლად არსებობს ნებისმიერ საზოგადოებაში, მაგრამ იგი შეიძლება იყოს რეგრესული ან პროგრესული სახით. ამგვარად, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამჟამად ჩვენთან, საქართველოში, არანაირი იდეოლოგია არ არსებობს, ძალიან ცდება: ის არსებობს რეგრესული სახით და მისი ძირეული პრინციპები ჩამოყალიბებულია სტიქიურად; ეს პრინციპებია: კუჭის, წაგლეჯვის, სიცრუის, ურთიერთგადაგდებისა და გაუტანლობის, ნებისმიერი გზით ფულის შოვნის, პროტექციონიზმის, მექრთამეობის, კანონის უგულებელყოფის და სხვა მსგავსი კოსმოპოლიტური უზნეო პრინციპები, რომელთა ფონზე დავიწყებულია და მიჩქმალული ყოველგვარი სახელმწიფობრივი, ზოგადეროვნული, ზნეობრივი საკითხები.

ასეთი იდეოლოგია ჩვენ პროგრესულად უნდა ვაქციოთ, ვიდრე ქვეყანა თავზე არ წამოგვმხობია. ამისათვის გვაქვს ფილოსოფიის ინსტიტუტი, გვყავს ფილოსოფოსები, ეკონომისტები, იურისტები, პოლიტიკოსები, რომლებიც ერთად უნდა ფიქრობდნენ ამაზე: წერდნენ ეროვნული იდეოლოგიის თეზისებს, ქმნიდნენ პროექტებს, შეიმუშავებდნენ იდეებსა და პრინციპებს მისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, არ იგრძნობა, რომ ვინმე ამაზე მუშაობდეს. მაშ, რა გამართლება აქვს მათ არსებობას, ყოფნას, როცა ქვეყნის განვითარებისთვის ესოდენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რამ გასაკეთებელია, თუნდაც იმ იდეებისა და პრინციპების, ღირებულებების საფუძველზე, რაც დღეს გვაქვს, წარსულისა და მომავლის გარკვეულად გათვალისწინებით და შესაბამისი კორექტივებით.



არ ჩანს რომ ამისთვის ვინმე ზრუნავდეს!

და რადგან უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან — გაჩნდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ამტკიცებენ საწინააღმდეგოს, რომ არაა საჭირო არავითარი იდეოლოგია სახელმწიფოში, რომ ის არა აქვთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი და სხვადასხვა.

მათ გასაგონად ვიტყვი: ჩვენც ჰაერივით გვჭირდება ეროვნული იდეოლოგია. ამას ამტკიცებდნენ თავის ამასწინანდელ საგაზეთო წერილში ისეთი დამსახურებული პირები, როგორებიც არიან ფილოსოფიის მენიერებათა დოქტორები, პროფესორები ბიძინა ლუტიძე და გურამ ასათიანი („საქ. რესპ." 5.08.98). მიუხედავად ამისა, არავითარი პრაქტიკული საქმე ამ მიმართულებით არ კეთდება.

ვინც არ უნდა წამოაყენოს და რა საბუთიც არ უნდა მოიტანოს იდეოლოგიის აუცილებლობების უარსაყოფად, ის ძირშივე მცდარი იქნება იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ იდეოლოგიის უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული იდეოლოგიური პოზიციიდან: ერთი იდეოლოგია შეიძლება მხოლოდ განიდევნოს მეორით, მაგრამ იდეოლოგიური ვაკუუმი არ უნდა არსებობდეს.

ვნახოთ, რა დანიშნულება და როლი აკისრია იდეოლოგიას სახელმწიფოში. ამის შესახებ ამერიკელი სოციოლოგი ნ. სმელზერი ამბობს: „იდეოლოგია ანიჭებს საზრისს ადამიანთა მოქმედებას, ამცირებს და განმუხტავს სოციალურ დაძაბულობას;" ხოლო სოციოლოგების ბერგერისა და ლუმანის მტკიცებით: „იდეოლოგია წარმოშობს სოლიდარობას" (ციტატები მოყვანილია ზემოაღნიშნ. წერილიდან.)

თუ გადავხედავთ დღევანდელ ჩვენს საზოგადოებას, დავინახავთ, რომ დანაწევრებულ და გათითოკაცებულ საქართველოში არც ადამიანთა მოქმედებაა აღსავსე საზრიანობით, საზოგადოების ყველა ფენაშიც სოციალურ-ფსიქოლოგიური დაძაბულობა ზღვარზეა მისული და სოლიდარობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — საზოგადოება დაქსაქსულია პარტიებად, ფრაქციებად და კლანებადაც კი.

ზემონათქვამიდან გამომდინარე — საქართველოს სასიცოცხლოდ ესაჭიროება ისეთი პროგრესული იდეოლოგია, რომელიც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად აუცილებლად გაითვალისწინებს და დაიცავს ქართველთა სპეციფიკურ, ეროვნულ ინტერესებს, „მიანიჭებს ადამიანთა მოქმედებას საზრისს, განმუხტავს სოციალურ-ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და წარმოშობს ადამიანთა შორის ურთიერთგაგებას, სოლიდარობას, შეაკავშირებს მათ."

ნუთუ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ იმ ადამიანებს, ვისაც თავისი ერის ინტერესები პირადულ, დროებით, მერკანტილურ ინტერესებზე წინ აქვთ დაყენებული, კიდევ შეეპარება ეჭვი ეროვნული იდეოლოგიის საჭიროებაში? მითუმეტეს, ამაში ეჭვი არ უნდა შექონდეთ იმ პირებს, რომლებიც სახელმწიფოს მართვაში არიან ჩაბმულნი, ქმნიან პოლიტიკას, ვინაიდან იმავე ნ. სმელზერის განმარტებით: „პოლიტიკური წყობა სხვა არაფერია, თუ არა იდეოლოგიისა და იმ ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ პოლიტიკურ საქმიანობას მათ მიერ აღიარებული პრინციპების მიხედვით." ასეთი პრინციპებისა და ღირებულებების სისტემა კი არის უკვე გარკვეული იდეოლგია.

ასე, რომ სახელმწიფო მართვაში ჩაბმული ადამიანები, უარყოფენ რა იდეოლოგიის აუცილებლობას სახელმწიფოში, სინამდვილეში ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს, ვინაიდან ისინი ფაქტიურად მუშაობენ გარკვეული იდეებისა და პრინციპების (იდეოლოგიის) მიხედვით, სტყვით კი უარყოფენ მას(?!!).

რა თქმა უნდა, ამას აკეთებენ არაკომპეტენტურობისა და უვიცობის, ან, რაც უფრო საფიქრებელია — გარკვეული პირადული, კარიერისტული, მოსაზრებების გამო, ვინაიდან ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეუძლებელია არ დაინახო და აღიარო: ჩვენს სახელმწიფოში გამეფებული ქაოსის, უზნეობის ერთ-ერთი მთავარი (შეიძლება უმთავრესიც) მიზეზი სწორედ ეროვნული იდეოლოგიის უქონლობაა.

უნდა ითქვას, რომ მისი დეფიციტი ყველაზე მძაფრად

გაგრძელება მე-4 გვ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ერთი ნაწილიდან დიდი შეიარაღებული ჯგუფის გამოსვლა მძიმე ტექნიკითურთ და ცხენისწყალზე დაბანაკება, რაც მოხდა 19 ოქტომბერს, - ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული გეგმისა, რომლის ამოცანებია:

ა) საქართველოში კიდევ ერთხელ დიდმასშტაბიანი სამოქალაქო ომის ორგანიზაცია სახელმწიფოს დასუსტების მიზნით;

ბ) საქართველოს დასავლეთში შიდაეროვნული დაპირისპირების შექმნა ქვეყნის მომავალი დაქუცმაცების მიზნით;

გ) აფსუა სეპარატისტებისათვის „მწვანე გზის" შექმნა მათი მიზნების მისაღწევად;

დ) საქართველოში საქართველოს ხელისუფლების თხოვნით რუსების სამხედრო ძალის ამოქმედებისათვის საბაბის მოპოვება (რისი პრეცედენტიც გვაქვს 1993 წელს);

ე) ფოთის ნავთსადგურის პარალიზაცია;

ვ) რეალური კატასტროფის საბაბით რუსეთის წინაშე მომავალი იურიდიული კაპიტულაციის განხორციელება საქართველოს ხელისუფლების მიერ (რისი მრავალი პრეცედენტიც არსებობს);

ზ) „დიდი ნავთობის" შეთანხმების შეფერხება.

ვერ ჩავთვლით გამორიცხულად, რომ შექმნილი მდგომარეობა და შექმნილი საშიშროება არის ორივე მხარის ურთიერთშეწყობილი მოქმედების და, მაშასადამე, საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ორმხრივი კოორდინირებული მოქმედების შედეგი, რომელსაც საკოორდინაციო ცენტრი მოსკოვში აქვს. ამ ეჭვის გასაქარწყლებლად აუცილებელია:

1). დაუყოვნებლივ ბრძანების გაცემა ყველა ძალებისათვის ცეცხლის არგახსნის, ყოველგვარი გადაადგილებისა და მანევრის შეჩერების შესახებ;

2). იმის გათვალისწინებით, რომ ამბოხებულთა მოთხოვნები სავარაუდოა, მხოლოდ შიდაპოლიტიკური ხასიათისაა, დაუყოვნებლივ მოლაპარაკების გამართვა მათსა და ხელისუფლებას შორის. ამ მოლაპარაკებათა წარმოება საზოგადოებრიობის თვალწინ ანუ წარმომადგენელთა დასწრებით და როგორც მხარეთა ყველა წინადადების, ისე მათი მიღება-არმიღების შესახებ სრული ინფორმაციის გამოქვეყნებით;

3). შიდასამოქალაქო სისხლისღვრის აცილების მიზნით შეთანხმების მიღწევა ისეთი პირობებით, რომელიც

ა) არ ხელყოფს საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობას

ბ) არ ხელყოფს საქართველოს უნიტარობასა და მთლიანობას

გ) არ ხელყოფს საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხს

დ) არ აამაღლებს რუსეთის შეიარაღებულ ძალთა საქართველოში ქმედუნარიანობისა და დასაქმების ხარისხს

ე) არ ხელყოფს საქართველოს სახელმწიფოებრიობის, როგორც ორგანიზაციული ფორმის სიმყარეს.

ვაფრთხილებთ მხარეებს, რომ ამ მოთხოვნათა არშესრულება საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ღალატის ტოლფასია.

მოვუწოდებთ პროცესთა ყველა მონაწილეს, საკუთარ შიდა პოლიტიკურ ინტერესებს არ შესწირონ ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობისა და კანონიერების ინტერესები, და ამით უცხო ინტერესებს არ ანაცვალონ საკუთარი ერის შვილთა სიცოცხლე.

მოვუწოდებთ ნაწილიდან გამოსულ სამხედრო მოსამსახურეებს გაითვალისწინონ, რომ შეიარაღებულ ძალთა არც ერთ პოლიტიკურ გამოსვლას იარაღით ხელში არ ძალუძს ქვეყანას სიკეთე მოუტანოს.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ნ. ნათაძე
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თ. ჩხეიძე
საქართველოს ეკოლოგიური საზოგადოება „მინდია" ო. ძურდიანი
ეროვნულ-რადიკალური პარტია გ. გოგბაიძე
დავით აღმაშენებლის პარტია რ. ლიპარტელიანი

რის გამო სხედან ქართველი ბავშვები თურქეთის ციხეში?!

უკანასკნელ ხანს პრესისა და ფართო საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია თურქეთში პატმრობაში მყოფი 14 ქართველი ბავშვის ბედისადმი. მდგომარეობას ამძაფრებს ამ ქართველი ბიჭების უდანაშაულობა, რაც სასამართლო ექსპერტიზითაც დამტკიცდა. ცნობილი გახდა, რომ თურქეთის სასამართლომ გამოიძიების გაგრძელება მოითხოვა. ეს კი ნიშნავს კიდევ განუსაზღვრელი ვადით მკვლელობაში ეჭვმიტანილის სტატუსით ქართველი ჭაბუკების თურქული ციხის საკნებში გამომწყვდევას.



მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების არაეროვნული პოლიტიკის გამოა 14 ქართველი ჭაბუკის ბედი სასწორზე. თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

თურქეთის ხელისუფლებას თავისი მეზობელი ქვეყნის, საქართველოს სახელმწიფოსა და ხელისუფლების ოდნავი დაფასება რომ ჰქონდეს, მაშინ ის ყველა ღონეს იხმარდა და ქართველ ბავშვებს, მითუმეტეს უდანაშაულოს, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლებდა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ლოგიკურად ისმება ამგვარი უპატივცემულობა თურქეთის მხრიდან, განა ჩვენი ხელისუფლება არ გვიმტკიცებდა, რომ თურქეთი ჩვენი კეთილისმსურველი მეზობელი და პარტნორია, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი თურქეთის პრეზიდენტის მეგობარი? ჩემი აზრით, საქართველოსადმი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზია საქართველოს ხელისუფლების უკანასკნელ წლებში წარმოებული ყოვლად უვარგისი ანტიეროვნული, კაპიტულანტური და საკუთარი სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების შემლახველი პოლიტიკა, რომელიც მსოფლიო საზოგადოების თვალწინ მიმდინარეობდა, რამაც წარმოშვა უცხო სახელმწიფოთა ხელისუფლების მხრიდან საქართველოსა და ქართველი ხალხის უპატივცემულობის, დამცირებისა და მისი ინტერესების უგულვებელყოფის გრძნობა. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ სუსტს, უმაქნისსა და უილაჯოს არავინ სცემს პატივს. არადა, სისუსტისა და უილაჯობის უამრავი მაგალითი უჩვენა უცხოელი მარინოვი სამარცხვინოდ გააპარა საქართველოს საზღვრებიდან. არაფერს ვლაპარაკობ სამაჩაბლოსა და აფხაზეთისათვის ომის წლებში ქართველი მებრძოლების მიერ ტყვედ ჩაგდებული რუსეთის სამხედროების უპირობოდ განთავისუფლებაზე, ან იგივე თურქი მძღოლების დაუსჯელობაზე, რომელთა უპასუხისმგებლობით ათობით ქართველია დაღუპული საქართველოს გზებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა შეაფასოს საქართველოსა და ქართველთა ინტერესების შელახვის ხარჯზე უცხო სახელმწიფოებისა და უცხოეთის მოქალაქეების ინტერესთა და მოთხოვნათა დაკმაყოფილების პოლიტიკად და შესაბამისი რეაგირებაც ჰქონდეთ. ეუთო, მაგალითად, ითხოვს სამაჩაბლოში ოსების გაფართოებულ პოლიტიკურ ავტონომიას, ხოლო რუსეთის გარკვეული პოლიტიკური წრეები აფხაზეთის რუსეთთან შეერთებაზეც ბედავენ აზრის გამოთქმას. ყოველივე ამის შემდგომ, როცა ათასობით ქართველისა და საქართველოს თითქმის ნახევარი მინა-წყლის ბედი ჩვენი ხელისუფლების ვაიპოლიტიკის წყალობით სასწორზე დევს, 14 ქართველი ბავშვის მიმართ რატომ უნდა ველოდოთ ხელისუფალთა მხრიდან დიდ ყურადღებას? ეს კარგად უწყის თურქეთის ხელისუფლებამაც და ამიტომაც არ გამოხატავს კეთილ ნებას საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მიმართ და ქართველი ბავშვების ბედისადმი ინტერესს ნაკლებად იჩენს.

გია თვალამაძე

აღადგინეთ მშვიდობა
— გვთხოვენ ასამბლეის წევრები

3-8 ოქტომბერს თბილისში ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის სესია ჩატარდა. მას ქალბატონი ჰელლე დაინე ხელმძღვანელობდა. ის დანიის პარლამენტის და ევროსაბჭოს წევრიც არის.

სტუმრებმა მოსთხოვეს კავკასიის მოსახლეობას გამოფხიზლება, მშვიდობის აღდგენა, ურომლისოდაც სხვა ქვეყნების მოსახლეობის, მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარება ფუჭია. კავკასიელების ურთიერთქიშპი ტვირთად აწევს მსოფლიოს.

სტუმრებმა ბევრჯერ უსაყვედურეს თბილისელ მასპინძლებს იმის გამო, რომ არ მოიწვიეს აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ყარაბაღის მხარეების წარმომადგენლები. ვისი მიზეზითაც თბილისში ჩამოვედით, ვისზეც ვმსჯელობთ, ისინი ვერ გვისმენენ. არაფერი საშინელი არ მოხდება, ისინი აქ რომ იყვნენო. გაუმართლებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების მიუწვევლობა. ევროპის უშიშროების საბჭოს ასამბლეის პრეზიდენტს აქვს მოწვეული სტუმრებისათვის სიტყვის მიცემის უფლება. ბატონების — ლონდერ ცაავას, თამაზ ნადარეიშვილის, აკაკი გასვიანის, გია გვაზავას მოხსენებები სწორ გეზს მისცემდა ასამბლეას, შედეგიანს გახდიდა მას და მაშინ რუსეთის დელეგატი ანატოლი კოტკოვი და ვახტანგ რჩეულიშვილი ვერ გაბედავდნენ გამოხდომას. კოტკოვმა აფხაზეთის განდგომილი ნაწილის მოსახლეობის რუსეთთან შეერთების სურვილის გათვალისწინება მოითხოვა. ვ. რჩეულიშვილმა საზოგადოება შეაწუხა ლაგოდეხის ჩხუბის აღწერით.

ევროპის უშიშროების საბჭოს წევრები სასიკეთოდ არიან კავკასიისადმი განწყობილნი. მათ 1995 წელს ყრილობაზე დაგმეს არძინბას ჯგუფის მოქმედება და ქართველების გენოციდად აღიარეს.

ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილის, თურქეთის პარლამენტის წევრის, ბატონ თ. ენერემის მოხსენებაში აღინიშნა ქვეყნების პარლამენტის წევრების უშუალო ურთიერთობის, თანამშრომლობის სამომავლო შესაძლებლობები, რადგან უშიშროების საბჭოს სხდომების დრო მცირეა და მრავალ საკითხს ვერ მოიცავს. მან მოისურვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებთან შეხვედრა თურქეთიდან ჩამოსულ ორ ადიღე მონაწილესთან ერთად, დაინტერესდა საკითხით, თუ რა ეწოდება ჯორჯიას ქართულად, რას ნიშნავს სიტყვა — საქართველო, თუ იშოვება წიგნები აბაზებზე,



ადიღეებზე. ავუხსენი, რომ წიგნებში მცდარად არის გაშუქებული კავკასიის შესახებ მასალები.

ევროპის უშიშროების საბჭოს პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, ლონდონელმა პარლამენტარმა ბატონმა ბრუს ჯორჯმა სესიაზე სიამოვნებით აღნიშნა, რომ მას ეამაყება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ბრიტანეთის რადიო-ტელევიზიით ბი-ბი-სი პირადად ამცნო მსოფლიოს 1991 წლის 9 აპრილს. მეორე ლონდონელმა დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრმა ევროკავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა ტერი დევისმაც აღფრთოვანება გამოთქვა სხდომაზე საქართველოს პარლამენტარიზმის საპატიო ისტორიით. საქართველოს პარლამენტის შენობაში 1918-21 წლების პარლამენტის წევრების დიდი სურათებით დამშვენებულ „პირველი რუსპუბლიკის დარბაზში" თავი ბრიტანეთის პარლამენტში მეგონაო, გაოცებით აღნიშნა მან სესიაზე. მან ინტერვიუში ასლან აბაშიძე პრეზიდენტად მოიხსენია. მე ვუწოდებ მას პრეზიდენტს, რადგან თვითონ თავის თავს პრეზიდენტს უწოდებსო („ალია", 7 ოქტომბერი). ამგვარად, ევროსაბჭოს მიაჩნია, რომ დღეს საქართველოში არიან პრეზიდენტები შევარდნაძე, აბაშიძე, არძინბა, ჩიბიროვი.

თანაგრძნობით და გულისწყრომით იყო სავსე ფინელი პარლამენტარის, ევროპის უშიშროების საბჭოს პოლიტიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ბატონ კიმმო კალიუნენის გამოსვლა, ის კარგად იცნობს კავკასიის ვითარებას.

სხდომაზე მან სიბრალულით აღნიშნა, რომ გაესაუბრა კარტოფილის გამყიდველ მოხუცს. მისი პენსია ათი ლარია, რითაც მხოლოდ ოცი კილოგრამი კარტოფილის ყიდვა შეიძლება, ისიც ორი თვეა არ მიუღიაო. სტუმარი ჩავიდა ცხინვალში. ბაზარში ვაშლის ყიდვა მოისურვა და გამყიდველს ქართული ფული — ლარი მიაწოდა. გამყიდველმა ცხვირი აიბზუა — ქართული ფული აქ არ გვჭირდება, რუბლებზე ან დოლარებზე მოგყიდი, ცხინვალი ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა არსო. აი, ასეთია იქაური მოსახლეობის „შეგნებაო" — აღშფოთებით განაცხადა ბრაზით აკანკალებულმა ბატონმა კილიუნენმა და დაამატა, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი თავის ნებაზეა მიშვებული უმართავად, რაც დაუშვებელია.

ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა გერტ ვაისკირხენმა შემოგვთავაზა ვითარების სწორად გასაშუქებლად დაპირისპირებულმა მხარეებმა გაცვალონ ჟურნალისტები გარკვეული დროით, ენდონ ერთმანეთს, შერიგდნენ. შერიგებისაკენ მოგვიწოდა კავკასიის მცხოვრებთ გერმანიის მთავრობის წევრმა, ბატონმა დიტრიხ შპერლინგმაც. მისი სიტყვებით, კავკასიის ყოველი ერთეული დიდ აღმშენებლობას მოელის ნავთობსადენით და „აბრეშუმის გზის" აღორძინებით. ნავთობსადენი, ალბათ, უმოკლესი გზით გაივლის — ირანზე და არა საქართველოზე; საქართველოზე რომც გაიაროს, მოგებას მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ მისცემს მეპატრონეებს, და არა საქართველოს. ცალკე საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი — პატარა ქვეყნებია; ინვესტიციები თხუთმეტმილიონიან ქვეყანაზე უფრო პატარა ქვეყანაში წამგებიანია, თქვენი ქვეყნები კი ერთ სავაჭრო რეგიონად გაერთიანებას ვერ ახერხებენ, მტრებად იქცნენო, ბრძანა მან.

ნათელა ფოფხაძე

„ნუ გვაიძულებენ მივმართოთ საპროტესტო აქციას"
გორელი პენსიონერების ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო!

ქალაქ გორში და გორის რაიონში დაახლოებით 32000 პენსიონერია, რომლებსაც მეექვსე თვეა პენსია არ მიუღიათ. მათ არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას თხოვნით, გამოენახათ სახსრები მდგომარეობის გამოსასწორებლად. მდგომარეობა კი უკიდურესად მძიმეა, როცა მომუშავე ადამიანსაც კი უჭირს ლუკმა პურის სამყოფი თანხების მოძიება, გასაგები უნდა იყოს, თუ რა მდგომარეობაში იქნებიან სოციალურად დაუცველი პენსიონერები, რომლებიც მხოლოდ 11 ლარის იმედად არიან, არც ის არის საიდუმლო, რომ უკიდურესად გაღატაკებული პენსიოენერები ხშირ შემთხვევაში მიეშურებიან ნაგავსაყრელი ადგილებისაკენ. ისინი ხომ უსახსრობის გამო, სავალდებულო კომუნალურ გადასახადებსაც კი ვერ იხდიან. სამწუხაროა, რომ სისტემატურად იზრდება კომუნალური გადასახადები, კერძოდ: ელექტრო გადასახადს 4,5 თეთრს ვერ იხდიდა გაჭირვებული ადამიანი, ახლა 6 თეთრამდე გაიზარდა, რა ქნას ხალხმა, რა გზას დაადგეს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მთლიანად გაპარტახებულ და დანგრეულ საბჭოთა კავშირში შიმშილი მძვინვარებდა, მაგრამ ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის რომ მათი საარსებო პირობები გაუმჯობესებულიყო, ყოველი წლის 1 მარტს ხალხი უდიდესი სიხარულით ელოდა, რამეთუ ყველა სფეროში ფასების დაკლება ხდებოდა და ხალხის ცხოვრების პირობები დღითიდღე უმჯობესდებოდა.

დღეს კი რა ხდება? ფასები პროდუქტზე და წამალზე ყოველდღიურად მატულობს, ცხოვრება თანდათან უკვე გაუსაძლისი ხდება. საკითხავია, 11 ლარის პატრონმა როგორ უნდა იცხოვროს, როცა ერთხელ სასწრაფოს გამოძახება 15 ლარი ღირს?

დღეს წარმოება-დაწესებულებების უმოქმედობის გამო ასიათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩა. პარლამენტში ეს ავიწყდებათ და კანონებს და ფასებს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე იღებენ, იმას კი არ ითვალიწინებენ, რომ ამერიკის მოსახლეობის ცხოვრების დონესთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა მათხოვრულად ცხოვრობს.

ძველად დიდი მეფეები მდგომარეობის ღრმად გაცნობის მიზნით, ხალხში მდაბიურ სამოსელში გადაცმულნი გადიოდნენ. (დიდებულები ხომ ყოველთვის უმალავდნენ

მეფეს ხალხის გასაჭირს).

ბატონო პრეზიდენტო! იქნებ თქვენც გიმალავთ თქვენი გარემოცვა ხალხის გასაჭირს?

ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა გაგახსენოთ თქვენი დამოკიდებულება საქართველოს საფეიქრო ფლაგმანის, გორის სააქციო საზოგადოება „ლაინის" კოლექტივის მიმართ, რომელიც 5 წელზე მეტია არ ფუნქციონირებს, რამაც გამოიწვია ფეიქართა დიდი არმიისა და მათი ოჯახის წევრების გაღატაკება. დღევანდელმა პენსიონერებმა ხომ თავის დროზე არც ჯანმრთელობა და არც ენერგია არ დაზოგეს ქვეყნის საკეთილდღეოდ და იმედი ჰქონდათ, რომ სიბერე უზრუნველყოფილი ექნებოდათ პენსიით. ისიც საკითხავია, რატომ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი პენსია ადამიანებს, რომლებიც მუხლმოუხრელად მუშაობდნენ და მათ, ვინც წლების განმავლობაში სახლებში ნებივრობდა, ეს ხომ უსამართლობაა. ნუთუ ეს არის დემოკრატია?

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ სახელმწიფომ და ქვეყნის პრეზიდენტმა გაგვწირა და გაგვიმეტა სასიკვდილოდ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობთ, რომ ამას ყველაფერს დაინტერესებული ძალები აკეთებენ, რათა ქვეყანაში გამოიწვიონ სოციალური აფეთქებები და შექმნან დესტაბილიზაციის კერები.

მოგმართავთ თხოვნით, იქნებ გამოიძებნოს სახსრები უკიდურესად გაჭირვებული ადამიანებისათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ნუ გვაიძულებენ, რომ მივმართოთ საპროტესტო აქციებს. ჩვენ სხვა გამოსავალი არ დაგვრჩენია.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ როდესაც კომუნისტური პარტიის მამამთავრად მოგვევლინეთ 70-იან წლებში, მასების, ნამდვილი მშრომელი ადამიანების გულები დაიპყარით, ამჟამად კი, როდესაც საქართველოს და მის შვილებს ასე ძალიან უჭირთ და სულს ღაფავენ, უმორჩილესად გთხოვთ, იმედებს ნუ გაგვიცრუებთ, რამეთუ, როდესაც საარჩევნო ყუთთან მივდიოდით, რომ ხმა მიგვეცა თქვენთვის, როგორც პრეზიდენტისათვის, იმედის სხივი კიაფობდა ჩვენს გულებში.

გორის სამოქალაქო მრჩეველთა კომიტეტის წევრ ფეიქართა დასახლების სამეზობლო ასოციაციის თავმჯდომარე

მარინე ალგუთაშვილი.

აღნიშნულ განცხადებას მხარს უჭერს და ხელს აწერს ათას კაცზე მეტი.

აკადემიკოსი, რომელიც სულ ცრუობს

საქართველოში რომ ცრუპენტელობის ჩემპიონატი ჩატარდეს, ეჭვი არ მეპარება, მასში აკად. სტატუტის დირექტორობის პოსტზე და ამით მეცნიერებაშიც უხვად სარგებლობს. თუ დაინტერესდებით და ამასთანავე ლოგიკური და კრიტიკული აზროვნება ოდნავ მაინც გიჭირთ და ჩახედავთ მის ნაწერებს, დაინახავთ, რომ მაგალითად ერთი მხრივ ქართველები აბორიგენები ვყოფილვართ ჩვენი დღევანდელი მიწა-წყლისა, მაგრამ მეორე მხრივ, ამავე ტერიტორიაზე სულ სხვა ხალხები (ინდოევროპელები, ხურიტები, ვაინახები, დალესტნური მოდგმის ხალხები, აფხაზ-ადიღეელები (და პროტოხეთები) ცხოვრობდნენ. ერთი მხრივ დიაოხი ხურიტებით დასახლებული ქვეყანა ყოფილა, ხოლო მეორე მხრივ ქართველთა გაერთიანებასაც წარმოადგენდა. სასპერები თითქოს ქართველური მდგმისა იყვნენ, მაგრამ ამასთანავე შავით თეთრზე ხშირად წერს, რომ ისინი ხურიტებს წარმოადგენდნენ და ა. შ. უბედურება იმაშია რომ ამ „მეცნიერულ" აბდაუბდას სათანადოდ ვერ აცნობიერებენ არა თუ რგოლი მკითხველები, არამედ ქართველი აკადემიკოსები, წევრ-კორესპონდენტები, მეცნიერებათა დოქტორები და მისთანანი.



Личный листок по учету кадров

Фамилия ქსენოფონტოვი, имя ვიორგი, отчество ალექსანდრეს ძე.
1. Год и месяц рождения 1915 წ. 3. Место рождения (по сущ. административному делению) ქ. ტფილისი. 4. Национальность ბერძენი.
5. Соц. происхождение: а) бывш. сословие (звание) родителей მოსამსახურე б) основное занятие родителей до Октябрьской революции მოსამსახურე, после Октябрьской революции მოსამსახურე. 6. Основная профессия (занятие) к моменту вступления в партию (указать сколько лет работал по этой профессии). 7. Соц. положение მოსწავლე. 8. Партийность. 9. Какой организацией принят в члены ВКП (б).

19

1. გვარი, სახელი და მამის სახელი . ქ.ს.ე.ნ.ო.ფ.ო.ნ.ტ.ო.ვ.ი ბ.ი.ო.რ.გ.ი ალ.ექ.სან.დრეს-ძე
2. დაბადების წელი და აღგილი 1915 წ. ქ. ტფილისი
3. პარტიულობა აღარ წევრი
4. რომელი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და როდის სტალინის სახელობის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1939 წ.
5. ფაკულტეტი და იარგი ისტორიისა
6. ნაბრძანები ჩანიშნული ასპირანტურაში და როდის

გიორგი მელიქიშვილს ტოლი არ ეყოლება. ამ ნიჭით იგი მართლაცდა დიდადაა დაჯილდოებული. ამას ემატება შესაფერისი სოციალური, კერძოდ, სამეცნიერო გარემო, რომელშიც მისმა ტალანტმა ფრიად ფართო გასაქანი ჰპოვა. ფაქტია, რომ გიორგი მელიქიშვილი არ სჯერდება თავისი აღნიშნული დიდი ნიჭის გამოვლენას ცხოვრებაში, მათ შორის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორობის პოსტზე. ამ ნიჭი ეროვნებაზეა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამით ქართული პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითშეგნების თვალსაზრისით მას არაფერი არ შეუძენია, მაგრამ მისი ზემოაღნიშნული სახის ნიჭიერება ამით არ შეჩერებულა. იგი დღემდე გვარწმუნებს, რომ დაბადებულია 1918 წლის 30 დეკემბერს 80 წლის იუბილესათვის. მაგრამ გ. მელიქიშვილი ამჯერადაც ტყუის: იგი დაბადებულია არა 1918, არამედ 1915 წელს. გთავაზობთ ამის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ არქივში მოვიძიეთ.

გურამ ყორანაშვილი

კომენტარი პრეზიდენტის 12 ოქტომბრის რადიოინტერვიუზე

პრეზიდენტი სამოთხეს გვპირდება

პრეზიდენტის საპროპაგანდო არსენალში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს დაახლოებით იგივე ადგილი უჭირავს, რაც „კომუნიზმად“ წოდებულ უდარდელსა და საამურ ცხოვრებას ეჭირა სოციალიზმისდროინდელი ხელისუფლების დაპირებებში. ეს ცოტა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტის წყალობით საქართველოს წილად მოსული არც თუ დიდი თანხები მის გაუმაძღარ კორუმპირებულ ხელისუფლებას, როგორც იტყვიან, „მზესუმზირის ფულად“ არ ეყოფა (ქვეყანას მათგან ერთი ცენტიც არ მოეხმარდება). მთავარია სხვა, სახელდობრ, „დიდი ნავთის“ ამ პროექტით იცვლება მსოფლიო სტრატეგიულ-ეკონომიკური ინტერესების ბალანსი კავკასიაში, რითაც მსოფლიოს ამ რეგიონის ქვეყნებს რეალური დამოუკიდებლობისა და საკუთარ ინტერესებზე ზრუნვის მეტი საშუალება გვეძლევა, პრობლემა ამის შემდეგ იწყება. როგორ და რამდენად გამოიყენებს საქართველო ამ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ? ტრიალ მინდვრად გაეგება იგი ფეხქვეშ ახალი „დიდი ტრანსპორტის მოძრაობას ახალ „დერეფნის“ შემოსავლებიდან თუ ცოტას? თვითონ შეეცდება ხელსაყრელი პარტნიორების მოძებნას თუ მორჩილად დაელოდება მათს მობრძანებას? პირობებს დაუსვამს მათ თუ მხოლოდ მათ განკარგულებებს მოისმენს? მადლობით თავს დაუკრავს იმათ, ვინც მის მიწა-წყალზე მილს გამოატარებს, თუ, პირიქით, მათ მადლობის სიტყვებს თავაზიანად მოისმენს? ეს კითხვები ფუჭი არ გახლავთ, რადგან, ჯერ ერთი, საქართველო ყველა ამ ტვირთის ყველაზე მოკლე და იაფი გზაა, მეორეც, საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის ახალ გეოსტრატეგიულ როლს ბევრი არაფერი აკლდება იმისდა მიხედვით, ორას-სამასი კილომეტრით აქეთ გამოიცლის ნავთობი თუ იქით. მთავარია ტვირთბრუნვის ადგილზე, რკინიგზის ტვირთთა გათვლით, მაინც საქართველო რჩება. ამიტომაც, საქართველოს ხელისუფლებას სრული საშუალება აქვს პარტნიორებს წელგამართული ელაპარაკოს და თავისთავს, როგორც ვთქვით, მათ შორის არჩევანის უფლება მისცეს.

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ამის უნარი არ ეტყობა, რადიოინტერვიუშიც რამდენიმენაირად ჩანს არაპირდაპირი გზით. პირველ ყოვლისა, ეს იმაში ჩანს, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის მაკავშირებლის როლზე მსჯელობისას, რომელიც ამიერკავკასიას ეკუთვნის, პრეზიდენტი მხოლოდ გეოგრაფიულ ფაქტორს ახსენებს, მაგრამ არა ამ ქვეყნების სურვილსა და საკუთარ ნებას, რომ საკუთარი, სხვათაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ინტერესები დაიცვან ამ როლის თავსდებით. იგი ამბობს: „ნავთობზე, ნავთობსადენებსა და გაზსადენებზე ამდენი საუბარი შეიძლება მხოლოდ იმას აღიზიანებდეს, ვინც საერთოდ არ იცის, რა არის თანამედროვე ეკონომიკა და რას ნიშნავს ენერგიაშემცველებთან დაკავშირებით მოპოვებული ნებისმიერი პრიორიტეტი, ნებისმიერი წარმატება როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.



მოძმე აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ისევე როგორც ნებისმიერ მეზობელ ქვეყანასთან თანამშრომლობა საქართველოსათვის, ყველაფერთან ერთად, იმ უნიკალური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობაა, რომელიც უფალმა გვარგუნა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური მდებარეობის სახით“.

„ნებისმიერ მეზობელ ქვეყანასთან თანამშრომლობა“ არაა იგივე, რაც დასავლურ-აღმოსავლური მაკავშირებელი მაგისტრალის შემქმნელთა რიცხვში ყოფნა. განა ამ ტერიტორიის როლი და ფუნქცია ამ კავშირში იგივე იქნებოდა, მასზე რომ ვთქვათ, რუსები ცხოვრობდნენ? მაშინ იგი, პირიქით, აღმოსავლურ-დასავლური კავშირის ჩაჭრა იქნებოდა როგორც შუა აზიაზე, ისე მისი ნედლეულის მომხმარებელ დასავლეთზე სტრატეგიული ზეწოლის მიზნით. ან განა საქართველოს ძალისხმევა ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალთა შექმნაში იგივე იქნება, რაც დასავლეთ-აღმოსავლეთისაში? მაშასადამე, საქმე მხოლოდ გეოგრაფიულ შესაძლებლობებზე კი არ ყოფილა დამოკიდებული, არამედ, პირველ ყოვლისა, მაცხოვრებელ ხალხთა **ნებაზე**. ეს ნება კი იმას ნიშნავს, რომ ამიერკავკასია დასავლელთა და აღმოსავლელთა პარტნიორია და არა მხოლოდ ტერიტორიაა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებითურთ.

პრეზიდენტი თვლის, რომ „დერეფნის“ ჩვენს ტერიტორიაზე გავლით: „საქართველო მრავალსაუკუნოვან ოცნებას აისრულებს და ცივილიზებულ ფუნქციას შეიძენს, რაც ჩვენი ქვეყნის გამთლიანების, გაძლიერებისა და შემდგომი განვითარების გარანტია გახდება“.

მაგრამ პრეზიდენტის ეს სიტყვები ღრმა ცდომილებას შეიცავს, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, საქართველოს ტერიტორიის „ფუნქცია“ და საქართველოს სახელმწიფოს „ფუნქცია“ ერთი და იგივე არაა, საქართველოს სახელმწიფოს ფუნქცია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობაში ის არის, რომ ამ ურთიერთობის წარმატებისათვის საჭირო იყოს მისი **ძალისხმევა**, როგორც სახელმწიფოსი, და არა მხოლოდ მისი მიწა-წყალი, სწორედ ასეთი ფუნქციაა საქართველოს საუკუნოვანი ოცნება, და არა მისი ტერიტორიის „დერეფნად“ გამოყენება სხვათა მიერ. ამ აქტიურ ფუნქციას კი საქართველო იმ პოლიტიკით, რომელსაც დღეს ადგას, ვერასოდეს ვერ შეასრულებს. ეს ფუნქცია ვერ ექნება ქვეყანას, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ თავისი მიწა-წყლის ეფექტიან გამოყენებაზე ვიღაცის მიერ და სრულებით არ ზრუნავს იმაზე, თუ ვინ იქნება ეს გამომყენებელი — თვით ამ ქვეყნის საწარმოო ძალები თუ სხვანი. იმისათვის, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის მაკავშირებლის ფუნქცია შეასრულოს, საქართველო უნდა იყოს პოლიტიკურ პროცესთა **სუბიექტი**, და არა ობიექტი. საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი პოლიტიკა კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ ამ პროცესთა ობიექტად ყოფნაზეა ორიენტირებული.

ძალიან ეჭვის აღმძვრელია (მეტი რომ არ ვთქვათ) პრეზიდენტის თითქოსდა შემთხვევითი სიტყვები: „თუ ეს ყოველივე (ლაპარაკია „დერეფანზე“) განხორციელდა: თუ (როგორც ქართველებს გვჩვევია) უკანასკნელ წუთს არ დაგვისხლტა ფეხი (და, ვფიქრობ, ეს გამორიცხული უნდა იყოს), მაშინ ბედნიერი ეპოქა დაგვიდგებაო. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ პრეზიდენტს ამ სხივოსანი პროექტის განხორციელებაში ეჭვი ეპარება (რაც, რა თქმა უნდა, რუსეთის პირდაპირ ინტერესებს შეესაბამება) და აუდიტორიას ფრთხილად ამზადებს, რომ ყოველივე ეს პრეზიდენტის ორჭოფულ მოქმედებას კი არ მიაწეროს, არამედ ქართველებისათვის ჩვეულ „ფეხის დასხლტომას“. ეს ეჭვი მით უფრო მძიმეა, რომ ამ ცოტა ხნის წინ აშშ-ში გაისმა ავტორიტეტული ხმები ხსენებული პროექტის წინააღმდეგ...

საქართველოს ხელისუფლების უსუსური პოზიცია პარტნიორებთან ურთიერთობაში მკაფიოდ ჩანს პრეზიდენტის მსჯელობიდან იმ კოპანიებთან ურთიერთობის შესახებ, რომლებიც თვით საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვებაში ჩართვას აპირებენ. მსოფლიო პრაქტიკით, ასეთ შემთხვევაში მთხოვნელის როლში მომპოვებელია, ხოლო მოკარნახის როლში — ნავთობის პატრონი ქვეყანა. მათი ურთიერთობის რაგვარობა მხოლოდ იმით განსაზღვრება, თუ როგორ ნაწილდება ხარჯები და მოგება, და არა მომპოვებლის ქველმოქმედების ხარისხით ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. პრეზიდენტი, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობს. მისი მსჯელობა კახეთის ნავთობის შესახებ ორი წვეთი წყალივით ჰგავს საბჭოეთისდროინდელ პროპაგანდას, როცა ძვირფასი ნედლეულის გამტანი ზესახელმწიფო სსრკ ამ ნედლეულის პატრონ რესპუბლიკას კულტურის სახლის აგებით ან საბავშვო ბაღის დაარსებით „ანუგეშებდა“. იგი ბრძანებს: „კახეთში ინვესტორებს, უცხოელ მეწარმეებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი. სამაგიეროდ, ისინიც დიდად უწყობენ ხელს მხარის და მთელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მათს საწარმოებში დასაქმებულია ადგილობრივ სპეციალისტთა 90-95 პროცენტი, ეწევიან, აგრეთვე, საქველმოქმედო საქმიანობას, ეხმარებიან ადგილობრივ ხელისუფლებას, მოსახლეობას. მაგრამ ეს მხოლოდ საწყის ეტაპზეა. უნდა გითხრათ, რომ, როგორც სამხარეო ადმინისტრაცია, ასევე რაიონების ხელმძღვანელები — ქალაქ თელავის, ახმეტის, განსაკუთრებით საგარეჯოსა და დედოფლისწყაროსი, ყველაფრის საქმის კურსში არიან, გვერდში უდგანან თავიანთ უცხოელ პარტნიორებს და, ვფიქრობთ, გაისად საქართველო უკვე იგრძნობს ამ „დიდი ნავთობის“ პირველ რეალურ, ხელშესახებ ნიშნებს“.

ხელსაყრელი გარიგების შედეგებს „გრძნობა“ არ სჭირდება. მათ სიკეთეს შავით თეთრზე დაბეჭდილი და წინასწარ შეთანხმებული რიცხვები უნდა გამოხატავდნენ!

პრეზიდენტი ეკონომიკურ ჩიხში გვტოვებს.

როგორც ყოველთვის, შეშფოთებას იწვევს ის ბრმა სიჯიუტე, რომლითაც პრეზიდენტი გვიმტკიცებს, რომ „რეფორმების კურსის გაღრმავება“ ეკონომიკის ჩიხიდან გამოყვანის უებარი წამალია, ხოლო ამ კურსის სიღრმე და სისწორე განიზომება მისი მოწონებით ამა თუ იმ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ჯერ-ჯერობით რომ ამ „კურსს“ ეკონომიკა არ გაუუმჯობესებია, ვიცით. ამ კურსის „გაღრმავება“ რომ სიკეთეს ვერ მოიტანს, ვხედებით. დასკვნა ნათელია: ეკონომიკის გაჯანსაღებას უნდა რაღაც სხვაც, რაც აქამდე არ გვიღონია. ხაზს ვუსვამთ: ეს სხვა არაა რეფორმებზე ხელის აღება. რეფორმები უნდა გატარდეს, მაგრამ გულუბრყვილობაა ან გულუბრყვილობის სიმულაციაა იმის ფიქრი, რომ მათი უშუალო შედეგი იქნება დოვლათის ან დასაქმების გაზრდა. ამას სხვა მიმართულებით მუშაობაც სჭირდება, კერძოდ, სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური თავდაცვა საგადასახადო პოლიტიკის, საბაჟო პოლიტიკის და სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრისა და ეკონომიკური სუბიექტის, საქმიანობის ფორმით. დღეს საქართველოში ერთადერთი ეკონომიკური თავისუფლება — სახელმწიფო ქონების დატაცების თავისუფლება არსებობს (ესეც ყველამ ვიცით). სხვა ყველა სფეროში კი მხოლოდ ორი ფაქტორი: არარეალისტური (მახრჩობელა) საგადასახადო კანონმდებლობა და სახელმწიფო ადმინისტრაციის „სახურავს“ შეფარებული მაფიური მონოპოლიზმი მოქმედებს.

ინტერვიუს ეკონომიკური განყოფილების დანარჩენი ნაწილი უჭირავს ჩვეულ უნაყოფო შეგონებებს შემოსავლის დამალვის წინააღმდეგ, რაც, როგორც ვიცით, შედეგს ვერ იძლევა.

ევროსაბჭოში შესვლა

პრეზიდენტი შეგვახსენებს, რომ ევროსაბჭოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება დღეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, პენტენციარული სისტემის (პატიმრობის ადგილთა სისტემის) მონესრიგებაზეა დამოკიდებული. შევახსენებთ მას: ამაზე დამოკიდებულია არა მხოლოდ ევროსაბჭოში მიღება, არამედ ისიც, გვაქვს თუ არა უფლება ჩვენი თავი ადამიანებად ჩავთვალოთ, ციხეების მდგომარეობა საქართველოს პრეზიდენტს, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა ადრე უნდა გახსენებოდა.

ბათუმის ჩრილობა

პრეზიდენტის 12 ოქტომბრის ინტერვიუში დეზინფორმაციის ერთ-ერთი მორიგი მსოფლიო რეკორდია დამყარებული. იგი ბრძანებს, რომ ლტოლვილთა ყრილობას თბილისში ხელს არავინ უშლიდა.

რედაქციის შენიშვნა: მასალა რედაქციაში შემოსულია ა. წ. 18 ოქტომბერს. იბეჭდება უცვლელად.

შემატკივარი

დღეს ქვეყანაში მოქმედებს ჩინოსანთა პირადი კეთილდღეობის იდეოლოგია, ანუ უპატრონო ქვეყანას ეშმაკები ეპატრონებიან...

მეორე გვერდიდან

ძალოვან სტრუქტურებში, კერძოდ — ჯარში იჩენს თავს. ამის შესახებ ცოტა ვრცლად.

ცნობილია, რომ ადამიანებს დაბადებისას თანაბრად დაყვებათ კეთილი და ბოროტი საწყისი. ისინი მას სიცოცხლის ბოლომდის გაყვებიან და სხვადასხვა მიზეზთა და გამაღიზიანებლებთა გამო პერიოდულად გარეთ გადმოედინებიან: ბოროტი საწყისი — ჩხუბითა და აყალმაყალით. რაც ხშირად ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფითაც კი მთავრდება, ხოლო კეთილი საწყისი — ადამიანებისადმი კეთილგანწყობით, მათდამი დახმარებითა და ქველმოქმედებით.

როდესაც მანამდის უცნობი ადამიანები (განსაკუთრებით — 20 წლამდე ასაკისანი) იკრიბებიან და დღე და ღამე ერთად ყოფნა უწევთ, როგორც ეს ჯარშია, დღევანდელ პირობებში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კრიზისის ფონზე, მათ შორის თავს იჩენს ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა და ძალაში შედის ე. წ. „არსებობისათვის ბრძოლის“ კანონი: ადამიანებში გროვდება უარყოფითი ენერგია, მუხტი, რომელიც, ბუნებრივია, გამოსავალს ეძებს, თხოულობს განმუხტვას. სწორედ ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში ვლინდება გარკვეული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საჭიროება და სარგებლიანობა: თუ ასეთ ადამიანებს ის აქვთ, გააჩნიათ ე. წ. „მტრის ხატი“ — კონკრეტული ეროვნებისა, გარკვეული სახისა და მრწამსის მეტოქე, რომლის წინააღმდეგ მიმდინარეობს აგიტაცია-პროპაგანდა, მაშინ საერთო ინტერესთა ფონზე შესაძლებელი ხდება ადამიანთა ამ ჯგუფის, ამ იდეის გარშემო კონსოლიდირება, შეკავშირება და მათი უაროყოფითი ენერგიის გამიზნულად — მტრების წინააღმდეგ წარმართვა. ე. ი. ხდება ადამიანთა განთავისუფლება, განმუხტვა ჭარბი უარყოფითი ემოციებისა და მუხტისაგან მიზანმიმართულად და სასარგებლოდ. ამის შემდეგ ამ ადამიანთა შორის საერთო იდეოლოგიის ფონზე, მშვიდობა და ურთიერთპატივისცემა ისადგურებს.

ახლა წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო შემთხვევა — ფაქტიურად როგორც დღეს გვა-



ქვს: იგივე აგრესიულად განწყობილი, უარყოფითი ენერგიით დამუხტული ჯარისკაცები. დღევანდელი რეგრესიული იდეოლოგიის ფონზე, სადაც არ გააჩნიათ გამოკვეთილი „მტრის ხატი“, არ უტარდებათ აგიტაცია-პროპაგანდა მათ წინააღმდეგ. პირიქით — ყოველდღეისმით, რომ ყველა „ჩვენი ნათესავებია, მოკეთეები და ძმებია“ (ნეტამც ასე იყოს!).

ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ჯარისკაცები დუნდებიან, იბნევიან, ეცემა მათი სიფხიზლე, საბრძოლო განწყობა და ჟინი. მთელი დღეები ერთად ყოფნით ბეზრდებათ ერთმანეთი, ხდებიან ჩაკეტილნი. მათ შორის ჩნდება სხვადასხვა წინააღმდეგობები საყოფაცხოვრებო-სამსახურებრივ ნიადაგზე; და რაკიღა არ არსებობს ისეთი, პროგრესული იდეოლოგია, რომელიც მათ შეაკავშირებდა, გააერთიანებდა და მთელ უარყოფით მუხტს, ემოციებს წარმართავდა იმ პროვენების, ხალხის თუ ფაქტორების წინააღმდეგ, რომლებიც ემუქრებიან ან საფრთხეს უქმნიან ჩვენ სახელმწიფოებრიობას, ისინი იწყებენ „მტრის ხატის“ ძებნას... გარშემომყოფებში. და აღმოაჩენენ, რომ ვიღაცამ აწყენინა, ცუდად შეხედა, ჩაუშვა და... ... ამდენი ხნის ნაგროვები უარყოფითი ენერგია მყისვე პოულობს გამოსავალს: იწყება ჩხუბი, ცემა-ტყეპა, საქმეების გარჩევა, დეზერტირობა და სხვა მძიმე დანაშაულებები.

შემდეგ იწყება „მოკვლევა“ — „რატომ მოხდა?“

დარწმუნებით შეიძლება თქმა — დანაშაულობათა 80-90%, რაც დღეს ქვეყანაში და ჯარში ხდება, სწორედ ეროვნული იდეოლოგიის არქონითაა გამოწვეული. სწორედ ესაა მიზეზი, რომელიც თიშავს ადამიანებს, უჩლუნგებს მათ ეროვნული თვითშეგნების, პატრიოტიზმის, ეროვნული თავმოყვარეობის და სიამაყის გრძნობას; საერთოდ, ადამიანებს (არა მარტო ჯარისკაცებს) აქცევს კუჭის მონებად, რომლებისთვისაც დღე იწყება და მთავრდება კუჭით; სწორედ ესაა მიზეზი, ჯარის ნაწილებში სამხედრო დისციპლინის ასე მკვეთრად დაცემისა, ასე გახშირებული და უკვე ლამის ნორმად ქცეული დაუმორჩილებლობისა და დეზერტირობისა.

ამიტომ ჯარისკაცთა საბრძოლო ჟინისა და სამხედრო დისციპლინის ასამაღლებლად, ქართველი ხალხის ლეთარგიუ-

გაგრძელება მე-6 გვ.

«მოვითხოვთ რეპრესირებული ხალხის სტატუსის მინიჭებას»

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (სტრასბურგი) სარჩელი

ტექსტის ასლი გაეროს, ეუთოს, ევროკავშირს, ევროსაბჭოს

შიდა ქართლის ჩრდილო მთიანეთის მკვიდრ მოსახლეობას რეპრესირებული ხალხის ყველა ნიშანთვისება გააჩნია საერთაშორისო სამართლის მიხედვით:

1. რუსეთის ბოლშევიკურმა იმპერიამ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში იურიდიულ-სამართლებრივი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმებით გათვალისწინებული საკაცობრიო ნორმების უხეში შელახვით სხვა "სახელმწიფოდან გადმოსახლებულ ეთნოსს საქართველოში შეუქმნა პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეული — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", რომელშიც ძალდატანებით შეიყვანეს ქართველებით დასახლებული 250-ზე მეტი დაბა-სოფელი და ქართული ქალაქი ცხინვალი.

ა) „სამხრეთ ოსეთი" ბუნებაში არ არსებობს, რაკი ერთი საათითაც არ უარსებია უცხოური (რუსეთის) შეიარაღებული ჯარის „მეურვეობის" გარეშე. ამიტომ ის საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის ივნისში კანონგარეშე გამოაცხადა.

ბ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის დეკემბერში „სოაო" იურიდიულად სრულყოფილად გააუქმა.

გ) შიდა ქართლში სამართლებრივად არარსებული ტერიტორიული ერთეულის „პრეზიდენტის არჩევნები" 1996 წლის ნოემბერში ამჟამინდელმა პარლამენტმაც ბათილად მიიჩნია.

ის, რომ ქალაქ ცხინვალს, ჯავის რაიონსა და ყორნისის რაიონის ზოგიერთ სოფლებს აკონტროლებენ დანაშაულებრივად თვითმარქვია ოსი ექსტრემისტები, რუსეთის საოკუპაციო შეიარღებული ძალების ყოფნის და საქართველოში რეოკუპაციით დამკვიდრებული მარიონეტული რეჟიმის წაქეზების შედეგია.

2. 1916 წელს შიდა ქართლის საფეოდალო მიწები მისმა მესაკუთრე თავადაზნაურებმა გადასცეს საქართველოს სახელმწიფოს, ხოლო ბოლშევიკებმა და ამჟამინდელმა მმართველმა რეჟიმმა ეს მიწები დაუთმო უცხოტომელებს.

3. ეგრეთწოდებულ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში" მოქცეული მკვიდრი მოსახლეობა უცხოტომელთა ეთნოკრატიული ექსპანსიის მსხვერპლი შეიქმნა და ულმობელ დისკრიმინაციას განიცდიდა 70 წლის განმავლობაში, კერძოდ: ა) „სოაო"-ს დაარსებიდან დაიწყო ქართველთა სასაფლაოებისა და ხეურთიმოძღვრების ძეგლთა შერყვნა-განადგურება; ბ) „სოციალური გათანაბრების" საბაბით ცხინვალში მცხოვრებ შეძლებულ ქართველებს ბინებში ოსები შეუსახლეს; გ) ტოტალური შეტევა განხორციელდა რეგიონის ქართული ტოპონიმების ოსურით შესაცვლელად; დ) ხელმძღვანელ სამეურნეო და პარტიულ პოსტებზე კვოტის გაუთვალისწინებლად მეტწილად ოსებს ნიშნავდნენ; ე) ყოველნაირად ხდებოდა რეგიონში ქართული კულტურისა და განათლების შეზღუდვა და ოსურ-რუსულისათვის დაუმსახურებელი პრივილეგიის მიცემა; ვ) ტროცკიზმთან, კულაკობასთან, „ნაციონალიზმთან" ბრძოლის საბაბით სასტიკად სჯიდნენ და დევნიდნენ უმეტესად ქართველებს; ზ) ბარის ქართული სოფლები სტრუქტურულად გაიერთიანეს მთის ოსურ სოფლებთან, რამაც საშუალება მისცა ოსებს ბარში სავარგულები მიეღოთ და ქართველები შეევიწროებინათ; თ) ოსებს ფართო გასაქანი მიეცათ ცრუმეცნიერული სიყალბით წამოეყენებინათ ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ, ქართველებს კი ყოველნაირად უკრძალავდნენ და ეხლაც უზღუდავენ სამშობლოს შესახებ ისტორიული სიმართლის გამომზეურებას; ი) კორუფციის აყვავების პირობებში ჯიბესქელი ეთნოპატრატოკრატი ოსი ფუნქციონერები იოლად ყიდულობდნენ ხელმოკლე ქართველების კარმიდამოებს.

ისტორიულად ქართულ ქალაქ ცხინვალში პერმანენტული ეთნიკური წმენდის შედეგად ქართველობა უმცირესობაში მოექცა. ამჟამად კი, იქ ქართველი თითქმის აღარ ცხოვრობს.

4. „პერესტროიკის" მოსკოველმა ხელმძღვანელებმა მოამზადეს და ოთხმოციანი წლების ბოლოს გაანორციელეს ოსთა შეიარაღებული აჯანყება საქართველოს წინააღმდეგ, რის გამო ქალაქ ცხინვალისა და ყორნისის რაიონის რიგი სოფლების მკვიდრი მოსახლეობის სავსებით ხელგაიელად დეპორტაცია მოხდა, ხოლო ცხრა ქართული სოფელი მძევლის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

5. შიდა ქართლის სისხლიანი პრობლემა წარმოშვა საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ ბუშ-კოლ, ელცინ-შევარდნაძის შეთქმულებამ, რომლის მიზანი იყო შევარდნაძისათვის სსრკ-ს დაშლაში მონაწილეობის საზღაურად საქართველოში „გაპრეზიდენტება", მისი პირადი ანტიქართული ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ საქართველოში შევარდნაძის დაბრუნებამ დიდი უბედურება მოუტანა ამ ქვეყანას.

6. 1992 წლის ივნისში დაგომისის გარიგების შედეგად შიდა ქართლში რუსეთის საოკუპაციო გარნიზონის ჩაყენებით შიდა ქართლის მკვიდრთა დისკრიმინაციამ აშკარა გენოციდის სახე მიიღო: ასობით მშვიდობიანი მკვიდრი ბინადარი დახოცეს; ასობით სცემეს, გაძარცვეს, შეურაცხყვეს; უამრავი გაიტაცეს ფულის გამოსაძალველად; ქართველებს დიდძალ ფულს ართმევენ დახოცილ ნათესავთა გვამების გამოსახსნელად; ხდება პირტუყვის გატაცება; 1992 წლიდან ფართო მასშტაბიანი სისხლიანი სადამსჯელო ოპერაციები განხორციელდა მთლიანად შიდა ქართლის რეგიონში საკუთარი სახლკარის დამცველი ქართველების წინააღმდეგ. კონფლიქტის მონაწილე ქართველები ჯერაც არ არიან ამნისტირებულნი, რაც „სამართალდამცავ ორგანოებს" ბოროტმოქმედების ფართო ასპარეზს უნარჩუნებს; ოს დამნაშავეებს კი პასუხს არავინ სთხოვს;

7. სასიკვდილოდ განწირულნი არიან ჩრდილო ქართლელი დევნილებიც: თბილისიდან მათი განდევნის მიზნით სასტუმრო „აფხაზეთში" და სასტუმრო „კოლხეთთან" ჩადენილი დივერსიული აქტების შედეგად დაიღუპნენ ადამიანები; ათობით დასახჩრდნენ; ასობით ფსიქიკურად დაავადნენ; დევნილებს შორის მასობრივად გავრცელდა ათასგვარი სენი: ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, ჰიპერტონიული დაავადებანი. ახლახან მათ შეემატათ რადიაციით დაზიანებული; საგრძნობლად იმატა სიკვდილიანობამ; მკვეთრად შემცირდა შობადობა; უკიდურესად დაიძაბა მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება.



8. გაუსაძლისია ამ რეგიონის მკვიდრთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: ჰუმანიტარული დახმარების განახლება აშკარად ტენდენციურია: რეგიონში დარჩენილ და გამოდევნილ ქართველებს თითქმის არაფერს აძლევენ; მხოლოდ სიმბოლურია მათთვის ოფიციალური შემწეობა; თბილისში განსახლებული დევნილების ძირითადი შემოსავალი — ხელზე ვაჭრობაა, რასაც პოლიციური რეჟიმი ბარბაროსულად დევნის.

9. ოფიციალური მმართველობის უპასუხისმგებლო განცხადებებმა შიდა ქართლში პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ვითომ გაუმჯობესების შესახებ, დევნილები შეცდომაში შეიყვანა. შინ ჩასულები უხეშად გამოაბრუნეს მათ ბინებში შესახლებულმა მოძალადეებმა. ცხინვალის ბანდმმართველობამ კომუნალური ბინები „ჩამოართვა" დეპორტირებულ მოსახლეობას. მიტაცებულ კერძო კარ-მიდამოებზე მოძალადეები დაპარპაშებენ. ამჟამად ქართველი დევნილები იძულებულნი არიან ჩალის ფასად გაყიდონ თავიანთი სახლ-კარი და სამუდამოდ უარი სთქვან მამა-პაპათა მიწა-წყალზე.

10. შიდა ქართლის მკვიდრთა ნებასა და აზრს სამშობლოს ადმინისტრაციული მოწყობის თაობაზე სრულიად უგულებელყოფენ საქართველოს ოფიციალური წრეები, ხოლო ქვეყნის ოფიციოზი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საინფორმაციო საშუალებები პუბლიკაციებში დემონსტრაციულად ამახინჯებენ ისტორიულ და თანამედროვე სამართლებრივ სინამდვილეს.

11. ჩრდილო ქართლის მკვიდრთა ადამიანური უფლებების შელახვა უკონტროლოა. მასობრივი დემონსტრაციებისა და აქციების ვანდალურმა დარბევებმა, ცალკეული პიროვნებების დაპატიმრებებმა და დაშინებამ, საჩივრების გულქვა უგულებელყოფამ მთლიანად შეზღუდა დამცველი საერთაშორისო და ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევა, თანაგრძნობა ვერ ჰპოვა ევროპის ოფიციალურ საერთაშორისო სტრუქტურებში.

საქართველოს რეოკუპაციის შედეგად დამკვიდრებული რეჟიმის წყალობით შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობის დეპორტირებულ ნაწილს შინ დაბრუნების და საერთოდ სიცოცხლის იმედი გადაეწურათ, ხოლო რეგიონში მძევლად დარჩენილნი მუდმივ შიშში არიან როდის გამოიდევნებიან ან მოისპობიან, რის მუქარაც ბევრჯერ გაისმა ოსი და რუსი ეთნოდივერსანტების მხრიდან.

12. შიდა ქართლში რამე პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის გამოყოფის აბსურდულობა ცხადია. საქართველოში მცხოვრები ოსები არ მიეკუთვნებიან ავტოხტონურ ტომებს. მათი ისტორიული სამშობლო ჩრდილო კავკასიაშია და საქართველოში მათ სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის უფლება არა აქვთ.

თვითგამორკვევა ხომ ის ძირითადი უფლებაა, ურომლისოდაც შეუძლებელია სრულად განხორციელდეს პიროვნების ჩნდივიდუალური უფლება. შიდა ქართლში მცხოვრები ოსების არცერთი ინდივიდუალური, თუ ეთნიკური უფლებები არასოდეს დარღვეულა არც მთლიანად, არც ნაწილობრივ. უფრო მეტიც მათ დაუმსახურებელი პრივილეგიები ჰქონდათ და აქვთ მინიჭებული, რაც რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის დაჩაგვრის ბერკეტია.

13. ფუნდამენტალური საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით სხვა სახელმწიფოში კომპაქტურად დასახლებული ეროვნულ უმცირესობისათვის ფართო ინდივიდუალური და ეთნიკური უფლებების მინიჭებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ამ სახელმწიფო სუვერენიტეტს. კერძოდ, ადამიანური განზომილებების კონფერენციის ეუთოს კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტში მითითებულია, რომ ზემოთთქმული უფლებები „...არ განხილება, როგორც რაიმე საგულისხმო უფლება მოღვაწეობისა ან რაიმე ქმედების ჩადენისა გაეროს, საერთაშორისო სამართლის სხვა ვალდებულებებისა ან დასკვნითი აქტის პრინციპების, მათ შორის სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დასარღვევად." შიდა ქართლში ოსური პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის გამოყოფა საქართველოსგან ტერიტორიის მოწყვეტას და მაშასადამე ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების უხეშ დარღვევას ნიშნავს.

14. საქართველოში ამჟამად მოქმედი რეჟიმი არის 1992-93 წლებში ქვეყნის რეოკუპაციის პროცესში გაბატონებული ხუნტის მემკვიდრე. იგი არჩეულია გაყალბებით, მასობრივი შიშშილობის, პოლიტიკური რეპრესიების, ადგილობრივი არჩევითი ხელისუფლების გარეკვისა და უმოქმედობის პირობებში. ამის გამო საქართველოს დღევანდელი მმართველი რეჟიმი არ არის უფლებამოსილი კონსტიტუციური შინაარსის საკანონმდებლო აქტები მიიღოს, კერძოდ: შიდა ქართლში დააარსოს (აღადგინოს) ნებისმიერი რანგის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ეს სისხლის სამართლის დანაშაული იქნება.

ცხინვალის ბანდმმართველობისადმი მხარდაჭერამ შიდა ქართლი გადააქცია სახელმწიფო ტერიტორიის წართმევის საცდელ-საწვრთნელ პოლიგონად, ამის გამო აღნიშნული პრობლემა საერთაშორისო დესტაბილიზაციის წასაბაძი დეტონატორია.

მოვითხოვთ: რუსეთის იმპერიის დამპყრობლური, საქართველოში რეოკუპაციის შედეგად დამკვიდრებული რეჟიმის მარიონეტული და ოსური აკვიატებული ფაშისტური პოლიტიკის მსხვერპლს — შიდა ქართლის ჩრდილო მთიანეთის მკვიდრ მოსახლეობას მიენიჭოს რეპრესირებული ხალხის სტატუსი.

სამაჩაბლოს სამკვიდრო საბჭოს სახელით
გელა გელაძე

გულაბერ კლარჯი

ოცდამეერთე საუკუნეშიც საჭირო გახდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება

ცნობილია, რომ გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა 1879 წელს დააარსეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. საზოგადოებისა და გამგეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, მის მოადგილედ ილია ჭავჭავაძე, გამგეობის წევრებად — იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი... 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ი. ჭავჭავაძე, სანამ სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. ახლად არჩეული გამგეობის წევრები იყვნენ ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ე. გაბაშვილი, ა. ფურცელაძე, ნ. ცხვედაძე და სხვები. საზოგადოების მდივნებად ამ პერიოდში მუშაობდნენ ი. მეუნარგია, გ. ყიფშიძე, ა. სარაჯიშვილი, დ. კარჭაშვილი. მართალია, საზოგადოების მიზნები მეტად ფართო იყო, მაგრამ იგი თავის სახელწოდებასაც ამართლებდა, ყოველი ღონით ცდილობდა რომ ქართველი ახალგაზრდობა, ქვეყნის ხვალინდელი დღე უნიგნური, წერა-კითხვის უცოდინარი არ ყოფილიყო.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ამ საზოგადოების არსებობა, მისი სახელწოდება, დიად საბჭოეთში ითაკილეს და იგი გააუქმეს.



საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყოველთვის მტერმრავალი ქვეყანა იყო; უცხოელი დამპყრობლები, დამმონებლები უძველესი დროიდან გვიპირებდნენ მოსპობას, გადაჯიშებას, მაგრამ ქართველი ერი XIII ს-ის დასაწყისამდე, საბოლოო ანგარიშით, მაინც აღმავლობის გზით ვითარდებოდა. ცხადია, XIII საუკუნემდეც იყო უმძიმესი ეპოქები, საშინელი, თითქმის განუწყვეტელი ომები (საქართველოს ისტორიაში, მის წარსულში მშვიდობიან პერიოდებს სპექტაკლის ანტრაქტებს ადარებენ), მაგრამ ქართველი ერი სხვადასხვა ჯურის დამმონებლებთან საუკუნოვან ბრძოლებში საბოლოოდ გამარჯვებას აღწევდა. ცხადია, ეს ხდებოდა დიდი მსხვერპლის, ქართველთა მიერ დაღვრილი ზღვა სისხლისა და ცრემლის ფასად. XIII საუკუნიდან მოყოლებული კი, საერთოდ, საშველი აღარ ჩანდა. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანა XIV საუკუნეში. ჩვენში ამბობენ, საქართველოში რასაც ხელს შეახებ, ქვას, ხეს, კლდეს, მთას, ყველაფერი თამარის სახელს წარმოთქვამსო. ეს იმიტომ, რომ საქართველომ თავისი ძლიერების მწვერვალს თამარის ხანაში მიაღწია, იმ დროს დაწერა შოთა რუსთაველმა ქართველთა სახარება „ვეფხისტყაოსანი", ხოლო თამარის გარდაცვალებიდან ათიოდე წლის შემდეგ ჩვენი ერის ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა და მეტნაკლებად ასე გრძელდება დღემდე. თავის გადარჩენისათვის მებრძოლი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში თავის გმირულ წარსულსაც, დიდ კულტურულ მონაპოვარსაც დროშად წინ იმძღვარებდა. ქართველ ერს რომ არ ჰქონოდა თავისი ოქროს ხანა, თავისი სახარება — „ვეფხისტყაოსანი", რასაც ის ემყარებოდა მომხვდურთა წინაალმდეგ უთანასწორო ბრძოლაში, სხვანაირად XIII-XX საუკუნეებში მას არსებობის შენარჩუნება გაუჭირდებოდა, ვერ გაუძლებდა იმ საშინელებებს, რაც თავს დაატყდა ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევებიდან მოყოლებული დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ სკეთის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენი წინაპრები თავს არ ზოგავდნენ, რუსთაველის ერი სხვადასხვა ჯურს უთვალავმა დამპყრობლებმა მაინც ისე დააკნინეს, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში ჩვენს სახელოვან მოღვაწეებს აუცილებლად მიუჩნევიათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება.

საბჭოთა პერიოდში წერა-კითხვის უცოდინარობა, თითქოს, მთლიანად აღმოფხვრეს, მაგრამ განათლება, უმეტესწილად, ზედაპირული იყო და ამასთანავე მარქსიზმ-ლენინიზმით გაუკულმართებული, დანაგვიანებული. ამგვარი განათლება კი ვერც მყარი იქნება და, როგორც ვხედავთ, დღევანდელობის მოთხოვნებსაც ვერ პასუხობს. მთავარი მაინც სხვა არის. ქართველი კაცი დღესაც იბრძვის, მაგრამ მტრის წინაამღდეგ კი არა... ლუკმა პურის მოსაპოვებლად (ამასთანავე ქართველთა ერთი ნაწილი გამდიდრებისთვის იბრძვის). ამ ჯოჯოხეთურ ბრძოლაში ჩაბმულს მას ყველაფერი ავიწყდება. თვალსა და ხელს შუა ქრება ქართველთა უმრავლესობის ზედაპირული განათლებაც, მათ თანდათან წერა-კითხვაც ავიწყდებათ. რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდობას, მათი დიდი ნაწილი, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, უფრო და უფრო მეტად ხდება უწიგნური, უვიცთა რაოდენობა ახალგაზრდობაში თანდათან მრავლდება, ქართველთა პატრიოტიზმის დონეც დღითი დღე ეცემა. ყოველივე ეს თბილისზე გაცილებით უფრო მეტად იგრძნობა საქართველოს სხვა ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში.

რადგან ეკონომიკური სიღატაკე ჩვენს ხალხს ერთბაშად დაატყდა თავს, ამან ზნეობის შერყევაც გამოიწვია. შრომას გადაჩეული და ამასთანავე დამშეული ხალხის დიდი ნაწილი ყველაფერს კადრულობს, ოღონდ კუჭი ამოიავსოს. ირგვლივ, გარემმცველ გარემოშიც ბევრს ვერაფერს ხედავს სანმუშოს, მაღალი იდეალების, სულიერების მატარებელს და ყოველივე ამან ლამის კაციჭამიობამდე მიგვიყანოს უძველესი კულტურის ერი.

ზოგ-ზოგები, მათ შორის ვითომ განათლებულებიც, მწერლებიც, პროფესორებიც, აკადემიკოსებიც დღესაც გაიძახიან, რომ რუსეთის იმპერიის ბატონობამ საქართველოს სიკეთე მეტი მოუტანა, ვიდრე ვნება. ეს იმის დასტურია, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული ინტელიგენციის დიდ ნაწილს ეროვნული ცნობიერება, მნიშვნელოვანწილად, დაკარგული ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ამ ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ე. წ. საბჭოთა საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების მსგავსად, რუსეთის იმპერიის მიერ დაჭრავებულად უნდა მივიჩნიოთ. ზოგიერთი ვაი-ინტელიგენტი იმასაც ამბობდა და დღესაც ამბობს, რომ საბჭოთა პერიოდში ქართველები კი არ ვიყავით რუსეთის მონები, არამედ, პირიქით, რუსები იყვნენო ჩვენ მონები. ცალკეულ პიროვნებათა, ადამიანების ურთიერთობებში მსგავსი რამ თუ მართლა ხერხდებოდა, ეს ცუღლუტობის შედეგი იყო და საბჭოთა ხანის მანკიერებათა შორის სწორედ ისიც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ ამ ხანამ ხელი შეუწყო ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილის გაცუღლუტებას, კვაჭი კაჭანტირაძეების მომრავლებას. ჩვენში კვაჭები დიდად საპატივცემულო, მისაბაძ ადამიანებად იქცნენ. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს იმ საზოგადოებაში, რომლის მნიშვნელოვან ნაწილში ე. წ. კანონიერი ქურდებიც დიდი პატივით იყვნენ და დღესაც არიან გარემოსილნი.

აღარ გამოვუდგები იმ აზრის მავნებლობის საგანგებოდ მტკიცებას, თითქოს, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ორჯერ დაპყრობამ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს დიდი სკეთე მოუტანა. სინამდვილეში რუსეთის ბატონობაც ისეთივე საშინელება იყო საქართველოსთვის, როგორიცაა მონღოლთა, თურქთა, ირანელთა და სხვათა ბატონობის უმძიმესი შედეგები ქართველი ერისათვის. დღეს, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე, ჩვენი ქვეყანა რომ ასე გასაცოდავებულია, უფსკრულის პირას დგას, განა ეს, მნიშვნელოვანწილად, რუსეთის იმპერიის ბატონობის შედეგი არაა? რუსული ჩექმის წყალობით მოხდა ისიც, რომ დღევანდელ საქართველოს არა ჰყავს ეროვნული ხელისუფლება, ისეთი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ილია ჭავჭავაძის გზით წაიყვანდა.

საბჭოთა კავშირის, ბოროტების იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად. გარდა იმისა, რომ ახლანდელი რუსეთის იმპერია კვლავაც საქართველოს მიწასთან გასწორებას ცდილობს, თავი იჩინა უამრავმა სენმა, რომელიც საბჭოთა პერიოდში ხელისუფლების მიერ საგულდაგულოდ იყო დამალული, დაფარული. სანამდეც ჩვენს წარსულზე თვალი მიგიწევდება, ქართველი ერი, სულ ცოტა, სამი ათასი წლის განმავლობაში გმირული ბრძოლით იცავდა თავის სამშობლოს გადამთიელთა ურდოების შემოსევებისაგან და ამგვარ ვითარებაში თვითმყოფად, მაღალგანვითარებულ კულტურასაც ქმნდა. დღეს კი, როდესაც კაცობრიობამ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია, ქართველი ერის არსებობას საფრთხე ემუქრება. თუ ღმერთი შეგვეწია და ამ საშინელ კრიზისს როგორმე თავი დავაღწიეთ, ახლანდელი სიბნელის გამო იმასს მაინც ვერ ავიცილებთ თავიდან, რომ ოცდამეერთე საუკუნეში კვლავ უნდა დავაარსოთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

პროკოფი რაფიანის აზრი გიორგი ვულიკიანზე



დასასრული. დას. იხილეთ „საქართველო“ №61

ამრიგად, ფართო მკითხველი საზოგადოება ჩვენგან მოელოდა საინტერესოდ დაწერილ „საკითხავ წიგნს“, რომელიც თანამედროვე მეცნიერების დონეზე იქნებოდა და დაგვეხმარებოდა ჩვენი ახალგაზრდული აღზრდის კეთილშობილ საქმეში, ჩვენ კი მას მივაწოდეთ სხვადასხვა დროს დაწერილი და მრავალჯერ გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების მექანიკური ნარევი, რომელიც ისეა გადაკეთებული და სახეშეცვლილი, რომ აღარც სახელმძღვანელოდ ვარგა და აღარც საკითხავ წიგნად.

და ბოლოს, მესამე და ყველაზე სამწუხარო ნაკლი ბ-ნ გიორგის, როგორც დირექტორისა ისაა, რომ იგი ინსტიტუტს ხელმძღვანელობს არა შემოქმედებითად, გულმხურვალედ და მთელი თავისი შესაძლებლობების მობილიზაციით, არამედ გულგრილად, ფორმალურად და უინიციატივოდ, იგი შეგუებულია იმ გარემოებას, რომ ინსტიტუტში ფეხი მოიკიდა საკვლევაძიებო თემების დაგეგმვისა და მათი შესრულების ფორმალურმა პრაქტიკამ. გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, გეგმებს ყველა ასრულებს, მაგრამ როგორ ასრულებს, რა ახალი შეაქვს მეცნიერებაში, ამას იშვიათად თუ ვინმე იკითხავს. მე არ მახსოვს არცერთი შემთხვევა რომ დირექტორს წაეკითხოს თუნდაც ერთი წლიური ნაშრომი და მოეხდინოს მისი საჯაროდ კრიტიკული განხილვა. შემმოწმებელი კომისიები კმაყოფილდებიან ნაშრომის გარეგანი სახის აღნუსხვით: რამდენი გვერდია, გადაბეჭდილია თუ არა და ა. შ.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია საეცნიერო კადრების მომზადებისა და მათი თეორიული ცოდნის დონის ამაღლების საქმე. მე მახსოვს წინანდელი დირექტორები (სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი). ამ მიმართებით სერიოზულ მუშაობას ეწეოდნენ. დისერტაციის დაცვას თვითონ ხელმძღვანელობდნენ, ეხმარებოდნენ ახალგაზრდობას და ა. შ. ახლა კი ბატონი გიორგი არათუ არ ხელმძღვანელობს, არამედ არც კი ესწრება დისერტაციების დაცვას. თუმცა ამ საბჭოს თავმჯდომარედ ითვლება.

ასეთი ვითარებით უნდა აიხსნას ის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც ინსტიტუტის მუშობაში არსებობს. მაგრამ დირექცია მათ ვერც კი ამჩნევს. მე დიდ სირცხვილად მიმაჩნია მაგალითად ის ფაქტი, რომ ჩვენმა დირექტორმა უარი თქვა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების გამოცემაზე და ეს საქმე სასწავლო დაწესებულებას გადაულოცა. რა გაუჭირდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტს, რომელშიც რამდენიმე ასეული კვალიფიციური ისტორიკოსი მუშაობს, რომ ვერ გამოსცეს ჩვენი დიდი მეცნიერის ნაშრომები და ეს საპატიო საქმე სასწავლო დაწესებულებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დააკისროს.

ასევე სამწუხაროდ მიმაჩნია მე ის ფაქტი, რომ ჩვენი ინსტიტუტი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. როგორც ცნობილია, ამ საქმეს უდიდეს მნიშვნელობას ანჭებდნენ სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი, მაგრამ მას შემდეგ ილიას თემა ოდიოზური გახდა. მე წლების მანძილზე ვცდილობ გამოვცე ჩვენს ინსტიტუტში ილიასადმი მიძღვნილი ნაშრომები, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა. ამჟამად კი, როცა მთელი ჩვენი ხალხი ემზადება ილიას დაბადების 150 წლის იუბილისათვის, ჩვენი დირექცია ამ საქმეს არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

არანაკლებ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ჩვენი ინსტიტუტი წლების მანძილზე გვერდს უვლის რუსთველოლოგიური პრობლემების დამუშავებას. ბ-ნი გიორგი ბრძანებს, რომ რუსთაველი ჩვენ არ გვეხებაო, მაგრამ ძნელია ამ აზრს დავეთანხმოთ. თუკი ივანე ჯავახიშვილს ეხებოდა და მისმა წერილებმა მთელი წიგნი შეადგინა, ვითომ ჩვენ რატომ არ გვეხება რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ისტორიული პრობლემების შესწავლა?

ანდა ავიღოთ ისტორიკოსთა ნაშრომების გამოცემის საქმე. როცა ჩვენმა განყოფილებამ დასვა საკითხი გამოგვეცა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის თუნდაც რამდენიმე ტომი, ბატონმა გიორგიმ არც ამ საკითხში დაგვიჭირა მხარი, — მოტივი ის გვითხრა, რომ მისი ნაწერები მეცნიერების თანამედროვე დონეს აღარ შეეფერებაო. ასე რომ ვიმსჯელოთ, არცერთი წინამორბედი ისტორიკოსი არ უნდა გამოიცეს, მაგრამ თუ ასეა, რატომ სცემენ რუსეთში სალავიოვის, კლუჩევსკისა და სხვების ტომებს.

დასასრულ, შევეხები კიდევ ერთ საკითხსაც, რომელსაც ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და რომელსაც ჩვენი დირექცია, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილად ეპყრობა.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ინსტიტუტში განსვენებული აკადემიკოსის ნიკო ბერძენიშვილის ინიციატივით დაიწყო მუშაობა ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი პრობლემების შესასწავლად. ამ წამოწყებას აქტიურად დაუჭირა მხარი საკავშირო აკადემიის ისტორიის ინტიტუტმა, რომელმაც საგანგებო აღრიცხვაზე აიყვანა ეს სამუშაო და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ იწერება ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, 4 ტომად, რომლის I ტომი 1985 წლის ბოლოს უნდა დამთავრდესო. ქაღალდზე ეს ტომი მართლაც დამთავრდა და ჩვენი აკადემიის შარშანდელ საერთო კრებაზე არ ვიცი, რა საფუძველზე ხსენებული ტომის დამთავრება ოფიციალურად გვეუწყა. მაგრამ სინამდვილეში ხსენებული ტომი არათუ დამთავრებული არ არის, არამედ ავტორთა გარკვეულ ნაწილს ჯერ რედაქტორისათვის არც კი წარუდგენია თავიანთი ნაწილები. ხსენებული ავტორები ჩვენს განყოფილებას არ ექვემდებარებიან, დირექცია კი თითსაც არ ანძრევს იმისათვის, რომ დაგვეხმაროს, — მოსთხოვოს ავტორებს დროზე წარმოადგინონ ნაკისრი სამუშაოები, მოგვეცეს საშუალება მათი ნორმალურ პირობებში რედაქტირებისა. საქმე რომ არ ჩაშლილიყო, განყოფილებამ დახმარებისათვის მიმართა პარტიულ ბიუროს, სადაც ეს საკითხი განხილულ იქნა, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. არ მოჰყოლია იმიტომ, რომ ინსტიტუტის დირექტორმა დაიკავა მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური პოზიცია: მან უარი თქვა პასუხი მოეთხოვა ავტორებისათვის, რომლებიც დროულად არ ასრულებენ დავალებებს, ხოლო იმ ავტორებს, რომლებიც დავალებას ასე თუ ისე ასრულებენ, მიუთითა, თავიანთი ნაშრომი ბიბლიოთეკას გადასცენ შესანახად. „ნარკვევების“ რედაქტორმა კი, თუ სურს, ბიბლიოთეკიდან გადაიწეროს ხსენებული ნაშრომის შინაარსიო, რაც შეეხება მასალის გასწორებას და გადაბეჭდვას, ამაზე ბატონმა გიორგიმ გვიპასუხა: „მემანქანე მსოფლიო პრობლემაა, ვერ მოგცემთო; თქვენ ისე უნდა გადააწერინოთ ნაშრომები, რომ მათ გადაბეჭდვა არ დასჭირდეთ“.

ძნელი გასაგები არ არის, რომ ამგვარი „დახმარების პირობებში“ შეუძლებელია ქართული ისტორიოგრაფიული მეცნიერების ურთულესი ისტორიის დაწერა, რაც არ შეიძლება ბ-ნმა გიორგიმ არ იცოდეს, მაგრამ მას, როგორც ჩანს, არ სწამს ან არ სურს საქმის წარმატება, ხოლო თუ რატომ არ სურს, ამის გაგება საქმეში ჩახედულ ადამიანისათვის რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს.

სულ უკანასკნელად ბ-მა გიორგიმ გადადგა კიდევ ერთი გაუმართლებელი ნაბიჯი, რომელიც შეუძლებელია საქმის ინტერესებით იყოს გამოწვეული. მხედველობაში მაქვს ჩვენი განყოფილების დამცრობა, ან უფრო სწორად, ფაქტიური გაუქმება. არა გვგონია ჩვენს კოლექტივში გამოჩნდეს თუნდაც ერთი კაცი, რომელიც პასუხს მოგვცემდა ასეთ კითხვაზე: რანაირად შეიძლება ახალი ისტორიის განყოფილებაში რომლის საკვლევაძიებო უბანს მარტო XIX საუკუნე და XX საუკუნის დამდეგი წარმოადგენს, შესწავლილ იქნას ქართული ისტორიული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორია, რომელიც უძველესი დროიდან იწყება და ჩვენ დრომდე გრძელდება?

ასეთია ჩვენი შენიშვნები ბატონი გიორგის მუშაობს სტილზე. ვიცი, ეს შენიშვნები არ მოეწონება არც ბატონ გიორგის და არც ზოგიერთ მის მახლობელ პირს, მაგრამ მე არ შემეძლო პირდაპირ და გულახდილად არ მეთქვა ის, რაც წლების მანძილზე მაწუხებს და რაც ხელს უშლის ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეს.

თუ ამისთვის შერისხული ვიქნები, დაე ასე იყოს: დარწმუნებული ვარ, სიმართლე ადრე თუ გვიან გზას გაიკვლევს!

გმადლობთ ყურადღებისათვის!

დღეს ქვეყანაში მოქმედებს ჩინოსანთა პირადი კეთილდღეობის იდეოლოგია, ანუ უპატრონო ქვეყანას ეშმაკები ეპატრონებიან...

მეოთხე გვერდიდან

ლი ძილიდან გამოსაყვანად სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ეროვნული იდეოლოგია, რომელიც, ცხადია, გაფრცელდება ჯარშიც. ჯარისკაცები უნდა ცნობდნენ კონკრეტულ მტერს, მათ ესაჭიროებათ „მტრის ხატი“. მითუმეტეს დღეს — მათი გამოგონება არ სჭირდებათ: ისინი ლამის ჩვენ გარშემო დაიარებიან, ყოველდღე გვილახავენ საზღვრებს, ეროვნულ თავმოყვარეობას. ცხოვრობენ ჩვენთვის წართმეულ მიწებზე — აფხაზეთში, სამაჩაბლოში, სამცხე-ჯავახეთში... ისინი ისე გათავხედნენ ჩვენი ყურაგდებულობით, რომ სარგებლობენ რა ქვეყნის რესურსებითა და სხვა სიკეთით, ამავე დროს იგნორირებას უკეთებენ ჩვენ კანონებს, ჩვენი ცხოვრების წესებს, გამომწვევად უგულებელყოფენ ჩვენ სახელმწიფოებრიობას.

აქედან გამომდინარე, ჩვენი სამშობლოს — საქართველოს (რომლის მოქალაქეები, ბუნებრივია, სხვა ეროვნების ადამიანებიც არიან) მტრად და არაკეთილმოსურნედ უნდა გამოცხადდნენ ყველა, ვინც ჩვენ ტერიტორიებზე პრეტენზიებს აცხადებს ან ვინც უკვე მიიტაცა ის, იქ ცხოვრობს და ჩვენ სახელმწიფოებრიობას, კანონებს კი უგულებელყოფს.

კონკრეტულად: აფხაზეთში ჩამოსახლებული ჩრდილოკავკასიელი აფსუები, ყაბარდოელები, ადიღები, კაზაკები, ჩეჩნები, სომხები და მსგავსი „მტაცებლები“. მათ შორის „გააფხაზებული“ მოღალატე ქართველებიც კი: კირთაძეები, ჭანტურიები, გოგოხიები და მათი მსგავსნი (ეს ბოლო მომენტი დააფიქსირებდა საკითხისადმი ჩვენ არანაციონალისტურ, არამედ სახელმწიფოებრივ, სამართლიან მიდგომას). ასევე სამაჩაბლოში მოსახლე ის ოსები და მათი მხარდამჭერი რუსები, რომლებიც არ ცნობენ იქ ჩვენ იურისდიქციასა და კანონებს. უნდა დაიწყოს გამიზნული აგიტაცია-პროპაგანდა ჯარში ასეთ სუბიექტთა წინააღმდეგ.

სხვა შემთხვევაში ჩვენ მეომართა ცნობიერებაში მტერი ირეალური, ხელშეუხები, წარმოსახვითი ხდება. ეს კი მკვეთრად ამცირებს მათ საბრძოლო ჟინს, შემართებას, დაბლა სცემს სამხედრო დისციპლინას. ასეთ პირობებში, როცა ყველაფერი გაურკვევლობის ნისლში და ბურანშია გახვეული, ოფიცრებს უჭირთ პირად შემადგენლობასთან მუშაობა, მათთვის იდეალების, პრიორიტეტების წინ წამოწევა, ორიენტირების დასახვა, რთულდება მათი ფსიქოლოგიური მომზადება.

ყოველივე ამის გარეშე კი ომში ჩაბმა ჩვენ უცილო დამარცხებას ნიშნავს, რისი ფიქრში დაშვებაც კი აღარ შეიძლება — ჩვენ უკვე „ვადამდე და წარმატებით“(?!!) ამოვწურეთ „დამარცხებათა ლიმიტი“.

იგივე უნდა გაკეთდეს ახალქალაქში მოსახლე სომხებისა და მათი წამქეზებელ-მხარდამჭერი რუსების მიმართ, თუკი იქ სეპარატისტული მოძრაობა დაიწყება, შესაბამისი საგარეო პოლიტიკური ბერკეტებისა და დიპლომატიის გააქტიურებით.

ამ პრინციპზე უნდა აიგოს და წარიმართოს ეროვნული იდეოლოგია და სახელმწიფო პოლიტიკა. დათმობებით საქმე უარესობისკენ მიდის და მათი ლიმიტიც დიდი ხანია ამოიწურა. თუმცა ჩვენ თავს არავის ვესხმით, მაგრამ ხმა ხომ უნდა ამოვიღოთ, როცა გვირტყამენ — ყველაზე კარგი თავდაცვა კი თავდასხმაა.

რა გვჭირს ასეთი უსაშველო, რომ წინაპართა მიერ მრავალგზის ნაცად მსგავს ბრძნულ შეგონებებს, მათ შორის — სახელმწიფოთა შორის „დაბალანსების პოლიტიკასაც“ ვივიწყებთ და... ხელები ულონოდ

გაგრძელება მე-7 გვ.

ადგილობრივი „არჩევნები“ თიანეთის რაიონში

ბრჭყალები შემთხვევით არ არის ნახმარი. იმას, რაც დანშნულია 15 ნოემბრისათვის, ნამდვილად მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ არჩევნები.

არ ვიცით, რა ხდება სხვა რაიონებსა და ქალაქებში, თიანეთის რაიონში კი საარჩევნო კანონის ნახვა ძლივს მოვახერხეთ უკვე მაშინ, როცა კანდიდატების წარდგენა დასრულებული იყო.

როგორც რამდენიმე კანდიდატმა სოციალასტური პარტიიდან და ლეიბორისტებიდან აღნიშნა, დაინტერესების შემთხვევაში რეკავენ საარჩევნო კომისიაში და იქ ეუბნებიან, თუ როგორ არის ესა თუ ის მუხლი, საკითხი.

არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს ოთხი პარტია: მოქალაქეთა კავშირი, სოციალისტები, ლეიბორისტები და სპორტული კავშირი.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი როგორც ყველგან, აქაც ძირითადად გულგრილად და უარყოფითად არის განწყობილი მმართველი ფენების მიმართ. მაგრამ რაკიღა ამ უკანასკნელს ხელთა აქვს ძალოვანი მექანიზმები, ცხადია, ყველაფერს გააკეთებენ და აკეთებენ კიდეც საკუთარი კანდიდატების გასაყვანად.

მოქალაქეების ძირითადი მეტოქე თიანეთის რაიონში, სავარაუდოდ, იქნება სოციალისტური პარტია. როგორც ცნობილია, თიანელთა დეპუტატი, თამაზ მეჭიაური ამ პარტიის წარმომადგენელია, რაც შეეხება რაიონის გამგებელს, ელბერდ მიდელაურს, იგი მოქალაქეთა კავშირის მხარეზეა.

თიანეთელი კორესპონდენტი

სად შევიძინოთ ხარისხიანი პროდუქტი?

როგორ მოიქცეს მომხმარებელი, რომელმაც წვალებით, ძლივს იშოვა ფული და საკუთარი ნებით საწამლავის ყიდვა რომ უნდება?! სად შევიძინოთ პროდუქტი, რომ მშვიდად ვიყოთ — ბავშვები რომ მაინც დავაზღვიოთ მოწამვლისაგან? აი კითხვა, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ყოველი ჩვენთაგანის თავზე. ამიტომაც ვეძებთ გამუდმებით იმ მაღაზიებს, ბაზრებსა თუ სხვა სავაჭრო ობიექტებს, სადაც მართლაც ზრუნავენ ადამიანის ჯანმრთელობაზე და ხარისხიან, შემოწმებულ პროდუქტებს ყიდიან.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით მომხმარებელთა სიმპათია დაიმსახურა სააქციო საზოგადოება „საქართველოს სავაჭრო ცენტრმა“ ანუ ყოფილმა კრწანისის რ-ნის საკოლმეურნეო ბაზარმა, სადაც პროდუქცია შედარებით 20 თეთრით ძვირად ფასობს, მაგრამ... სამაგიეროდ, თურმე, მეტად საიმედოა, რადგან აქ ნამდვილად ყველა სახის პროდუქტი სრულყოფილად, ყოველდღიურად მოწმდება.

სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ ვეწვიეთ სააქციო საზოგადოება „საქართველოს სავაჭრო ცენტრის“ დირექტორს ბატონ **ჯოგე დევდარიანს**.

— გვარეულობით სახალხო მკურნალების შთამომავალი გახლავართ, მეც ექიმი უნდა ვყოფილიყავი მამის სურვილით, მაგრამ რატომღაც, ჩემი ცხოვრების გზა ისე წარიმართა, რომ ექიმი არ გამოვედი, თუმცა, რაც ვიცი, საკმარისი მგონია ჩემთვის... მაინც მიხარია, რომ მამაჩემის გზა ჩემმა გოგონამ გააგრძელა. იგი 20 წლისაა და სწავლობს მოსკოვის სამედიცინო აკადემიაში. მყავს ვაჟიშვილიც, იგი საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს, „საოქმო დეპარტამენტში“ უკვე მესამე მდივანია, თუმცა, ჯერ მხოლოდ 23 წლისაა.

მიყვარს ახალგაზრდები, ჩემიც და სხვისიც. ყველაზე მეტი ხელისშეწყობა საქართველოს შვილებს სჭირდებათ. ისედაც ბევრი ახალგაზრდა ომში დავკარგეთ და მათ უნდა მივეხმაროთ. 1988 წლიდან აქ ვმუშაობ. მოვედი თუ არა, ქართველი ახალგაზრდები შემოვიკრიბე ირგვლივ. მანამდე აქ ქართველს არც უმუშავია. ეს იყო და არის ჩვენი შეცდომა, რომ პროფესიები ქართულ და არაქართულ სპეციალობად რომ გვქონდა დახარისხებული. ჩვენი გასაკეთებელი ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ყველამ თავისი ეზო თვითონ უნდა დაასუფთაოს.

ზოგ დირექტორს ეშინია ადგილის დაკარგვის და ახალგაზრდას გვერდით არ იკარებს. პირიქით, მუშაობა უნდა ასწავლო, მხარში ამოუდგე ახალბედას. მარტო საკუთარ თავზე კი არ უნდა იფიქრო ადამიანმა!

თქვენ მეუბნებით, რომ თითქოს ასეთი აზრია გამეფებული, რომ აქ, ჩვენს ბაზარში, ძვირია პროდუქტი, მაგრამ, აბა მოდით, რეალურად ვიმსჯელოთ ამ საკითხზე. ფაქტიურად ეს ასე არ არის!

ბაზარში დაცულია სტანდარტები, ასევე მოწმდება, ხარისხიანია თუ არა პროდუქცია. კვებისთვის ვარგისია, მაგრამ ხარისხს ხომ გააჩნია.

ჩვენთან ცალ-ცალობითაა არჩეული გინდა ვაშლი აიღე, გინდა ატამი, მსხალი... — ცუდ პროდუქტს აქ არ ყიდულობენ!

ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბაზრიდან იწყება. ესეც ჩემი არშემდგარი საეჭმო პრაქტიკაა თითქოს. ჩვენს ბაზარს აქვს რაღაც თავისებურება, უხილავი დევიზი, დაკისრებული მოვალეობა ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებისა. რადგან ადამიანი აქ მოვიდა, ეს იმას ნიშნავს, განსაკუთრებული დღე აქვს მას და უფრო იაფი კი არ აინტერესებს არამედ მშვენიერი და საუკეთესო. რაღაც თავისებური იმიჯი შეექმნა ჩვენს სავაჭრო ობიექტს. მომხმარებლის ფსიქოლოგიაც ისეა მომართული, აუცილებლად გამორჩეული და კარგი შეიძინოს ჩვენთან, თან იცის, მოტყუება აქ წონაში გამორიცხულია! ჩვენი სასწორები შემოწმებულია, თან აქვეა საკონტროლო სასწორებიც.

ერთხელ, მე აქ ადრე გირები შევამოწმე და ერთად მოვაგროვებინე, რომელიც შემოპარებული ჰქონდათ გამყიდველებს „ხორცის“ სექციიდან. აი, მაშინ არეულობა და საშინელი ქაოსი რომ იყო, სწორედ ასეთ დროს მოვახერხე მათი მოთოკვა. თავისი არ გავატანინე და ამ წლების მუშაობით პატიოსანი ბაზრის სახელი შევძელით დაგვემკვიდრებინა. იმ გირებს აკლდათ კილოიანს — 100 გრ. ორკილოიანს — 200 გრ. ყოველდღიურად ვამოწმებდი გირების მდგომარეობას, მაგრამ დახლის ქვეშ აღარ ჩამიხედია — არ ჩანდა, რადგან იქ ქაღალდებს აფარებდნენ თურმე ვაჭრები.

ერთხელ, ვულგარულად და ძველბიჭურად რომ ვთქვა: „შმონი“ გავაკეთე. ჩამოვიარე ყველა „დამნაშავე“ გადავაბმევინე თოკებით გირები, ვისიც იყო, გადავკიდე ბეჭებზე და ჩავიყვანე სუყველა ერთად კორტებზე, მტკვრის პირას. მოვატყუე, იქ არის გირების სარემონტო „ცეხი“-მეთქი! მდუმარედ მომყვებოდნენ და ალბათ იმას ანგარიშობდნენ, რა დაუჯდებოდათ ეს „სიამოვნება“. მივიყვანე ყველა მტკვრის სანაპიროსთან და გირები გადავაშვებინე სუყველას მტკვარში, თან გაკვირვებულებს ავუხსენი: „ეხლა გარემონტებულია და ამოიტანეთ მეთქი!“ — ვინ ჩავიდოდა, 6 მეტრი მაინც იქნება იმ ადგილზე წყალი, მეტი თუ არა!

მერე მიხვდნენ, რომ ჩემთან უკვე აღარ გადის ტყუილი და უკვე ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა — სტანდარტიზაცია დაცულია.

ერთი კაცი მედავებოდა, „ძალიან ძვირია ბაზარი“. ძალიან კი ვწუხვარ, მაგრამ ჯერ ერთი, მე არ მაქვს იურიდიული უფლებამოსილება ამდენად გაყიდე ეს პროდუქცია მეთქი, ვუთხრა კაცს, სამაგიეროდ, ჩემი ვალია — ხარისხიანი და ზუსტი წონითი მომსახურეობა, შემოწმებული, ეკოლოგიურად სუფთა საკვების გამოტანა. ფასზე მაქვს მხოლოდ მორალური ზემოქმედების საშუალება, ძალისმიერი კი არა, რადგან ფასს ბაზარი თვითონ ამკვიდრებს. კომუნისტების დროსაც ასე იყო. ერთხელ, პატიაშვილმა დაადგინა, ამაზე მეტად არ გაყიდოთ გოჭი და ამაზე მეტად ქათამიო და გაქრა დახლიდან გოჭიც და ქათამიც. არ გამოდის ბრძოლა. ბაზარი — ბაზარია, იგი თავისავე ფასს თვითონ ქმნის. ფასი დამოკიდებულია პროდუქციის სიუხვეზე და მოთხოვნაზე — მსყიდველობით უნარზე. თუ ფულია, მოთხოვნაც დიდია, და თუ არა აქვს, საიდან იყიდის? — ასე იმატებს და იკლებს ფასი.

რაც შეგვიძლია ვცდილობთ, რომ ჩვენი პროდუქცია ჯანმრთელობისათვის საიმედო იყოს და რადგან ეს ჩვენმა მომხმარებელმა დაინახა, მთელ კოლექტივს ძალიან გვეამაყება.

ამას წინათ, ტელევიზიით გამოსვლისას ქალაქის ვეტერინალური სამსახურის უფროსმა, ბატონმა ნ. გუგუშვილმა რომ ბრძანა პრეტენზიების შემთხვევაში პროდუქტების ვარგისიანობა შეამოწმეთ სააქციო საზოგადოება „საქართველოს სავაჭრო ცენტრის კონტროლითო“ — რაღა დაგიმალოთ და შრომაში გამარჯვებული ადამიანის სიხარულით შევხედე ჩემს გაღიმებულ მეუღლეს.

ძეთი ჩადუნელი

დღეს ქვეყანაში მოქმედებს ჩინოსანთა პირადი კეთილდღეობის იდეოლოგია, ანუ უპატრონო ქვეყანას ეშმაკები ეპატრონებიან...

მეექვსე გვერდიდან

ჩამოგვიშვია.

სამწუხაროდ, დღეს არ ჩანს სახელმწიფო ეროვნული იდეოლოგიის არც დამკვეთი, არც შემსრულებელი და არც ის — მიდის კი რაიმე მუშაობა ამ მიმართულებით?

ერთი რამ ცხადია: მის გარეშე სახელმწიფო ემსგავსება ოკეანეში კომპასისა და აფრების გარეშე დარჩენილ ნავს, რომელიც დინებასაა მინდობილი და რომლის ეკიპაჟს დაკარგული აქვს წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი სურვილი: ისინი მხოლოდ „საჭმლისა და წყლის მარაგის თვლითა და განაწილებით არიან დაკავებული; თან თვალს არ აცილებენ ჰორიზონტს — იქნებ რაიმე ორიენტირი გამოჩნდეს, რომელიც მათ გადაარჩენს — ნაპირზე გაიყვანს.

ჩვენი საზოგადოება ძალიან გავს ასეთ ნავს და მის ეკიპაჟს. ხოლო ის ორიენტირი, რომელიც „ნაპირზე“ გაგვიყვანდა, არის სწორედ ეროვნული იდეოლოგია. ის უეჭველია, დარაზმავს, შეაკავშირებს ჩვენ ხალხს და მათ ენერგიას საქართველოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისაკენ წარმართავს.

თუ როდის, რა ფორმით და ვინ შეასრულებს ესოდენ საჭირო საქმეს, რომელიც დახანებას არ ითმენს, ამას ალბათ „სახელმწიფოს მამები“ მოიფიქრებენ. ერთი რამ ცხადია — ჩვენმა ჰუმანურობამ, დამყოლმა ხასიათმა მახინჯი ფორმები მიიღო: თავს ვუქნევთ და ვეთანხმებით ყველას ყველაფერზე. ამიტომ, როგორც ასეთ დროს ხდება, მადა ბევრს გაეხსნა, ბევრი ავისმოსურნე გაგვიჩნდა. ოდესღაც ხომ უნდა დამთავრდეს დამღუპველი დათმობისა და მტრებისთვის თავზე ხელის სმის პოლიტიკა? დროა საგნებს თავისი სახელები ვუწოდოთ: მტერს — მტერი, მოყვარეს — მოყვარე, თორემ რა გამოდის? აფხაზები — ჩვენი ძმებია! ოსები — ჩვენი ძმებია! (მათ კი ჩვენი ძმობა რატომღაც არ სურთ). თუკი ასეა, რაღას ვებრძვით ამ „ჩვენ, პატიოსან ძმებს?“ ხოლო თუ ისინი გვებრძვიან, მაშინ ძმები კი არა მტრები ყოფილან ჩვენი. მტერს კი, თუ არ გაანადგურებ, შენ მოგიღებს ბოლოს. „ძმებო, ძმებოს“ ძახილით ჯერ მოწინააღმდეგე არავის დაუმარცხებია. წარმოვიდგინოთ, რა გვექნებოდა დღეს თავის დროზე დავით IV აღმაშენებელს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა დღევანდელის მსგავსი პოლიტიკითა და „ძმებო! ძმებო!“-ს ძახილით რომ ეცადა!

და საერთოდ, ნუთუ საკამათოა? — ჯარისკაცს, რაკი ის ფორმას ატარებს, ესაჭიროება გამოკვეთილი მტრის სახე, ე. წ. „მტრის ხატი“. ჰუმანურები ვიყოთ იქ, სადაც საჭიროა, ხოლო ომში — ვებრძოლოთ მტერს. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ — ვინაა და სად იმყოფება ის, ვცნობდეთ სახეზე, მიმდინარეობდეს აგიტაცია-პროპაგანდა მის წინააღმდეგ ცხადად ან შეფარვით (ჩვენ არც ერთი ფორმით არ ვაკეთებთ ამას) მებრძოლთა სულისა და ჟინის ასამაღლებლად.

ჩვენ თითქმის 70 წელი ვეჭიშპებოდით „ამერიკელ იმპერიალისტებს“ (თითქოს ჩვენ იმპერიაში არ ვცხოვრობდით). ბოლოს გაირკვა, რომ არ ვყოფილვართ მართალი, ხოლო ისინი მართლები, ჩვენზე ჭკვიანები და ძლიერები ყოფილან. ახლა მეორე უკიდურესობაში ვვარდებით — ვცდილობთ მათებურად მოვიწყოთ ცხოვრება („ჩაწვდი ამერიკულ სულს“?!), ვბაძავთ მათ ყველაფერში. მაშინ ამაშიც მივბაძოთ: მათ ყავდათ „მტრის ხატი“ — რუსული სამხედრო ფორმიანი ჯარისკაცის სახით, რომლის მსგავს ფიტულზე (ჩუჩელაზე) ვარჯიშობდნენ სროლაში, საბრძოლო ილეთების დახვეწაში და პერიოდულად დაგროვილ უარყოფით ენერგიას მასზე განმუხტავდნენ.

და იყო ამერიკელ ჯარისკაცებს შორის მშვიდობა, ურთიერთპატივისცემა და შეკავშირება საერთო მტრის — წითელვარსკვლავიანი საბჭოთა რუსი მონსტრის წინააღმდეგ.

ამგვარად, საზოგადოებაში ამა თუ იმ სახის იდეოლოგია ანუ გარკვეული იდეების, პრინციპების, ღირებულებების რაღაც სისტემა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის, კლასის ინტერესებს და რომელიც იცავს არსებულ საზოგადოებრივ წყობას, ჩვენი სურვილის მიუხედავად მაინც იქმნება. ასეა დღესაც — იდეოლოგია ჩვენ სახელმწიფოში არსებობს, ის სტიქიურადაა წარმოშობილი და არის რეგრესული ხასიათის.

და თუ ჩვენ გვსურს საზოგადოება სწორი გზით განვითარდეს, ვიცხოვროთ დალაგებულ, პროგრესულ ქვეყანაში, პირველ რიგში იდეოლოგია უნდა ვაქციოთ პროგრესულად: შევავსოთ ის პროგრესული იდეებით, პრინციპებით, რომელთა დანერგვა და გატარება სარგებლობას მოუტანს ჩვენ სამშობლოს პროგრესული განვითარების თვალსაზრისით.

ამ საკითხის დროული გადაწყვეტა დარაზმავს, შეაკავშირებს ქართველ ხალხს, მებრძოლებს. აამაღლებს მათ საბრძოლო ჟინსა და განწყობას, გაზრდის სამხედრო დისციპლინის დონეს და ათასი ჯურის სეპარატისტები ვეღარ გაბედავენ ქართველთა შეურაცხყოფასა და შანტაჟს.

ნუგზარ თავაძე

P. S. დარწმუნებული ვარ, დადგება დრო — საქართველოს ექნება ეროვნული, სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც შეაკავშირებს საქართველოს ყველა მოქალაქეს. ბოლოს მოუღებს ურთიერთშუღლს და წარმართავს მათ ენერგიას მიზანმიმართულად საერთო მტრების წინააღმდეგ.

ხოლო ის, რაც მოხდა ეროვნული იდეოლოგიური პარტიის თავმჯდომარის ზ. გაგნიძის მიმართ, ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ზეობს ბოროტება — მოქმედებს დაუწერელი, რეგრესული იდეოლოგია — ქვეყნის ჩინოსანთა პირადი კეთილდღეობის იდეოლოგია. იგი იარსებებს მანამდის, ვიდრე არ შეიქმნება გააზრებული პროგრესული ეროვნული იდეოლოგია, რომელიც მას გამოაძევებს და მის ადგილს დაიკავებს.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები. იქნება მართლაც ზედმეტია ყოველივე, რაც აქ დაიწერა?

ინტერნეტი და საქართველო

რუსეთის საგანგებო წარმომადგენლის, ლევ მირონოვის ვიზიტი აფხაზეთში, სოხუმში, 1998 წ. 17 მარტს.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებოდ წარგზავნა აფხაზეთში ლევ მირონოვი.

მირონოვი შეხვდა აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებს და პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას, რომელიც დახურულ კარს მიღმა შედგა. აპსნი-პრესის კორესპონდენტის შეკითხვას მან უპასუხა, რომ მისი სტუმრობის მიზეზი იყო შემდეგი: „ჩვენ მოვითათბირეთ აფხაზეთის მთავრობასთან საქართველოსა და აფხაზეთს შორის სადავო პრობლემებზე კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით. სხვა საკითხებიც დაგროვდა გადასაჭრელად, ამდენად დრო და დრო ერთმანეთთან მოთათბირება აუცილებლად გვჭირდება. აქ ჩამოვედი საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით."

აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებთან შეხვედრის შესახებ მან გვითხრა, რომ: „დეპუტატები ისე დამესხნენ თავს, რომ მათი საყვედურებისაგან გაჭირვებით ვიცავდი თავს. მე მეგობრულად დავიცავი ჩემი თავი, ჩემი შეხედულებები, მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ."

ლ. მირონოვი უკმაყოფილოა საქართველოს წინადადებით „აფხაზეთში მშვიდობის ძალის გამოყენებით დამყარების" შესახებ. „მე ეს ძალიან არ მომწონს" — სთქვა მან. ასეთი ქმედება მხოლოდ ზიანს მოიტანდა; მეტიც, მან უბედურება, ტრაგედია შეიძლება გამოიწვიოს. მშვიდობის დამცველი სამხედრო ნაწილის მოქმედების შეცვლა „ძალით მშვიდობის დამყარების" ოპერაციით დააქცევს მშვიდობის შენარჩუნების პროცესს და არარაობად აქცევს მას, რაც ძველებურად სისხლისმღვრელ ომში გადაიზრდება. მე ამის გადაჭრით წინააღმდეგი ვარ."

კითხვაზე, რომ აფხაზეთს სურს ცალკე მონაწილეობა სამმიტზე. უმალლესი დონის შეხვედრაზე, მან გვიპასუხა, რომ ეს ძალიან რთულია, ამგვარი შეხვედრის წესით, ასეთი დასწრება დაუშვებელია.

იმავე დღეს, აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ვლადისლავ არძინბამ, მიიღო გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი — ლევიუ ბოტა.

„ვლადისლავ არძინბას რამდენიმე საკითხზე უნდა მოვითათბიროთ" — გვითხრა ლ. ბოტამ შეხვედრის წინ, თავი აარიდა საკითხების დაზუსტებას. ლ. ბოტამ და ვ. არძინბამ დახურულ კარს მიღმა მოითათბირეს.

1995-2004 წლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მკვიდრი ერების ხელშეწყობის ათწლეულად გამოაცხადა.

შეადგინეს მკვიდრი ერების სია.

კოპენჰაგენის თათბირზე, რომელზეც დაარსდა მკვიდრი ერების მუდმივმოქმედი ფორუმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაევალა მკვიდრი ერების უფლებების დაცვის მექანიზმის შემუშავება (1995 წ. ივნისი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ამ საკითხზე საფუძვლიანი მოხსენება წარმოადგინა 1997 წელს.



ღღევანდელი ნოვოროსიისკის ჩრდილოეთით ქალაქი ძველი ლაზიკე უცხოელი პოლიგიკოსის არიანეს აღწერით, 110 წ — ფ. დიუბუას რუკა, პარიზი.

ფორუმის მანდატი (უფლებამოსილება): მკვიდრ ერებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესწავლა, კვლევა; რჩევების და დადგენილებების მიწოდება სახელმწიფოებისადმი, სათანადო სააგენტოებისადმი და სხვა დაინტერესებული მხარეებისადმი; მკვიდრ ერების საჭიროებებზე ინფორმაციის გავრცელება; ხალხთა ურთიერთგაგების წახალისება სადავო საკითხების მშვიდობიანად გადასაჭრელად; მკვიდრ ერებთან დაკავშირებით რჩევების, რეკომენდაციების შემუშავება, ჩამოყალიბება.

განმარტება: ფორუმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკოსოც-ის ანუ ეკონომიურ და სოციალურ საკითხთა საბჭოსთან შეიქმნა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფორუმს მკვიდრი ერების მხოლოდ ეკონომიური და სოციალური საკითხების მოწესრიგება ევალება, მას ეხება ყველა საკითხი, რაც მკვიდრ ერებთან არის დაკავშირებული.

დაფინანსება: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიუჯეტი აფინანსებს მკვიდრი ერების ფორუმს მთლიანად.

მდებარეობა: ფორუმი მდებარეობს გაერთიანებული ერების შენობაში ნიუ-იორკში.

ეს ხელს შეუწყობს ფორუმის წევრების მონაწილეობას იქვე, გაეროს სხდომა-თათბირებში, იქვეა ეკოსოცის განყოფილებაც, რაც ფორუმის შედეგიანობას ხელს შეუწყობს.

ფორუმის მონაწილეები: ეკოსოცი ნიშნავს თხუთმეტ წევრს. ხუთი მთავრობის წარმომადგენელს (თითო თითო რეგიონიდან), ხუთი მკვიდრი ერების წარმომადგენელია (თითო თითო რეგიონიდან: იმიერპოლარეთი, ჩრდილო ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, აზია); სამი წარმომადგენელი შესაბამისი ორგანიზაციებიდან და ორი ინდივიდუალური ექსპერტი მკვიდრი ერების დარგში. სხვა ქვეყნებს, გაეროს სხვა განყოფილებების მუშაკებს, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ეკოსოც-ის რეკომენდაციით და მკვიდრი ერების შემსწავლელ მნიშვნელოვან ორგანიზაციებს უფლება აქვთ ფორუმის სხდომებს დაესწრონ დამკვირვებლებად.

განმარტება: წევრებს ნიშნავს ეკოსოცი შეთანხმებით (კონსენსუსით). მთავრობების და მკვიდრი ერების წარმომადგენლებს ირჩევენ თვით რეგიონები; სპეციალისტ აგენტებს და ინდივიდუალურ ექსპერტებს ნიშნავს გაეროს გენერალური მდივანი. 15 წევრი სავსებით საკმარისია, ეს კენჭისყრას არ გაართულებს.

მკვიდრი ერების ფორუმი

წევრებს ირჩევენ სამი წლით. დაშვებულია შემდგომი დამატებითი ვადით არჩევაც.

განმარტება: სამი წელი კარგი დროა როტაციის თვალსაზრისით.

პროცედურა: მკვიდრი ერების ფორუმის სესია უნდა ჩატარდეს წელიწადში ორჯერ არაუმცირეს თითო კვირის ხანგრძლივობით. თავიანთ ხელმძღვანელებს ფორუმის მონაწილეები თავად აირჩევენ. გადაწყვეტილებებს მიიღებენ კენჭისყრით.

გაეროს არ შესწევდა ძალა დაეცვა მკვიდრი ერების უფლებები — სიცოცხლის უფლება, უფლება მიწაზე, უფლება ხელშეკრულებების დადებაზე, თვითგამორკვევის უფლება, ბუნებრივი სიმდიდრით სარგებლობის უფლება, გარემოს დაცვის უფლება, განვითარების უფლება.

გაეროს გაუჭირდა მიეხედა „მკვიდრი ერების წლის" და მკვიდრი ერების ათწლეულის ღონისძიებებისათვის (1995-2004 წ).

მკვიდრი ერების ფორუმმა უნდა მიხედოს ყველა იმ საკითხს, რომელიც წამოიჭრა გაეროს სხვადასხვა სემინარზე, კონფერენციაზე... ადამიანის უფლებათაა დაცვის, ბავშვებისა და ქალების უფლებების დაცვის ჩათვლით.

გაეროს გენერალურმა მდივანმა თავის მთავარ მოხსენებაში წარმოაჩინა, თუ რამდენი რამ ვერ კეთდებოდა დღემდე.

ფორუმმა უნდა მისცეს საშუალება დელეგატებს, სააგენტოებს დაუკავშირდნენ მკვიდრ ერებს, მთავრობებს, გაეროს სააგენტოებს.

ფორუმი უნდა გახდეს გაეროს გენერალური მდივნისთვის მრჩეველი საბჭო, უნდა მიანოდოს რეკომენდაციები.

P. S. 16 ოქტომბერს შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელს საქართველოში, ბატონ მარიან სტაშევსკის. წარფუდგენ ინტერნეტიდან მოპოვებული მასალა გაეროს ტექსტებში „აფხაზეთის რესპუბლიკის" მოხსენიების (ავტონომიური რესპუბლიკის ნაცვლად), არძინბას აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად მოხსენიების გამო. ბატონი მარიანი შეწუხდა და ბრძანა, რომ გაეროს ტექსტებში არ შეიძლება ასეთი ტექსტების დაშვება, ეს შეცდომაა და ის უნდა შესწორდეს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა საპროტესტო წერილით უნდა მიმართონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამინისტრომ წერილი უნდა გადაუგზავნოს თბილისში გაეროს ორგანიზაციას (ბატონ მარიანს), ის თავის მხრივ წერილს გადაუგზავნის გაეროს ჟენევაში და ნიუ-იორკში და ტექსტებს შეცვლიან.

მოამზადა
ნათელა ფოფხაძემ

ნათქვამია, ზღვა წვეთებით ივსებაო...

ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ, უახლესი ისტორიის კატაკლიზმებმა თავისი კვალი დააჩნია ჩვენს დღევანდელობას. ცნობილი მიზეზების გამო სამეგრელოში, ეს ყოველივე, განსაკუთრებული ხაზგასმით გამოიხატა.

დრო გადის, ცხოვრება ჩვეულ რიტმში დგება, აღმშენებლობის პროცესი, თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც შეუქცევად ხასიათს იღებს. სასურველ რეალობამდე მისასვლელად კი ჯერ კიდევ ძნელი და წინააღმდეგობრივი გზა გვაქვს გასავლელი.

მკითხველისათვის უდავოდ საინტერესო იქნება, თუ როგორი მდგომარეობაა დღეს სამეგრელოში. ჩვენ შევეცდებით რეგულარულად მოგაწოდოთ ინფორმაცია ამ მხარეში მიმდინარე პროცესებზე. ახლა კი გვინდა სამეგრელოს ერთ-ერთი უმშვენიერეს რაიონზე, ჩხოროწყუზე მოგითხროთ.

ამ მიზნით თავდაპირველად ვთხოვეთ ჩხოროწყუს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსს, ბ-ნ ვიტალი წურწუმიას მოეთხრო რაიონის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

„რაიონში მეჩაიეობის აღორძინების მიზნით საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წელს 3 მილიონი ლარის სუბსიდია გამოყო, მომავალ წელს მისი რაოდენობა 10 მილიონს მიაღწევს, 2000 წლისათვის კი 12-15 მილიონს. მიმდინარე წელს რაიონს მეჩაიეებმა 256 ათასი ლარის სუბსიდია მიიღეს, რამაც ფეხზე დააყენა ჩვენი ეკონომიკა, მეჩაიეობის სფეროში რაიონში 3 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. წლის ბოლომდე ჩვენ მეჩაიეების დავალიანება არ გვექნება.

რეკონსტრუქცია უტარდება აგროსამრეწველო გაერთიანებისა შენობას. გამოიყო ტრანსფერტები პედაგოგთა ხელფასების დასარიგებლად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემწეობისათვის, წყალდიდობის შედეგად დანგრეული ნაპირსამაგრი მოწყობილობების აღდგენისათვის. დაიწყო მდინარე ოჩხომურზე კაპიტალური ხიდის მშენებლობა".

1998 წლის 15 ნოემბერს გაიმართება ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების არჩევნები. რაიონში არჩევნების ნორმალურად ჩატარების გარანტიას რაიონული კომისია იძლევა. „ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რათა ამომრჩეველს მიეცეს თავისი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება" — აღნიშნა ბატონმა ზურაბ ხუნტუამ ჩხოროწყუს რ-ნის გამგებელმა.

აღსანიშნავია ახალგაზრდული დეპარტამენტის საქმიანობა, რომლებიც სიძნეელების მიუხედავად ყველა ღონეს ხმარობენ სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ჩხოროწყუს კულტურულ ცხოვრებას საინტერესო და მდიდარი ტრადიცია აქვს, რასაც ახლაც არ ღალატობენ.

ვესაუბრეთ ბ-ნ არნოლდ ჟვანიას, რაიონში ერთ-ერთ ავტორიტეტულ პიროვნებას, მოქალაქეს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს. ბ-ნმა არნოლდმა აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობის შესახებაც მოგვითხრო. მართალი გითხრათ, მოქალაქეთა კავშირზე მაინცდამაინც კარგი წარმოდგენის არ გახლავართ და თუ რატომ, ეს პიროვნულად თითოეული მკითხველისთვისაც ნათელია ქვეყნის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ იმისი უთქმელობაც არ შეიძლება, რომ ცალკეული პიროვნებები, ვთქვათ, როგორც ბ-ნი არნოლდი გახლავთ, მიუხედავად მოქალაქეობრივი მოღვაწეობის საერთო ფონისა, ადგილებზე მაინც ახერხებენ სასიკეთო საქმის კეთებას და ეს ალბათ მათი პიროვნული, ადამიანური თვისებების დამსახურება უფროა.

მკითხველმა კარგად იცის, რომ დამნაშავეთა სამყაროს წინაამდეგ ბრძოლა საქართველოში თითქმის ყველა ხელისუფლების დროს აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩხოროწყუს რაიონში ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა იყო, რაც სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებების აღვირახსნილი თარეშით იყო გამოწვეული. ამჟამად სიტუაცია უკეთესობისკენაა შეცვლილი და ეს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი პოლიციის მუშაკთა დამსახურებაა.

ჩვენ გავესაუბრეთ ჩხოროწყუს რაონში პოლიციის ახლადდანიშნულ შეფს, ბატონ ბადრი ქებურიას, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს გასულთან შედარებით კრიმინალური მდგომარეობა რაიონში გაუმჯობესებულია. მუშაობაში სიძნელეებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა გვიქმნის, თუმცა ყველა ღონეს ვხმარობთ იმისთვის, რომ დამნაშავე ელემენტებისაგან დაიცვათ მოსახლეობა და ხშირ შემთხვევაში, ვაღწევთ კიდეც ამას.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ ფაქტმა, რომ ბატონი ბადრი თურმე ლექსებსაც წერს. პოლიციელისაგან ასეთი რამ მართლაც მოულოდნელი იყო ჩვენთვის, მაგრამ სასიამოვნოა: კაცი, რომელიც ლექსებს წერს, უსამართლოდ არ მოექცევა ადამიანს.

გაოცებას იწვევს პარლამენტარის, ლეიბორისტ ავთანდილ ტყეებუჩავას განცხადება (გაზ. „ახალი თაობა", 2 ოქტომბერი). იმის შესახებ, რომ თითქოს რაიონში კანონი პოლიციელთა მხრიდან ირღვევა. დეპუტატის ერთი ძველი ანდაზა გვინდა მოვაგონოთ — „ცხენს ვერ ერეოდნენ და უნაგირს ამტვრევდნენ"-ო.

ცნობილია, რომ ტყეებუჩავა წინასაარჩევნო კამპანიების დიდოსტატია და პოლიციის გარდა ცილისწამების ნიაღვარი ღმერთმა უწყის, კიდევ ვის თავზე გადაივლის. მას მასებზე ზეგავლენის საოცარი მეთოდები აქვს დამუშავებული, მაგრამ როგორც ჩხოროწყუში ყოფნის დროს მოსახლეობასთან შეხვედრისას შევიტყვეთ, ადგილობრივი მაცხოვრებლებიდან ტყეებუჩავას მომხრე თითქმის აღარავინ დარჩა და ახლა, როგორც ჩანს, ლტოლვილებთან აგროვებს დივიდენდებსო.

ისიც თქვეს, ბ-ნი დეპუტატი ალერგიულად არისო განწყობილი პოლიციის მიმართ. არადა, ახალგაზრდა, პროფესიონალი და მეტად სიმპატიური ვაჟკაცები მოვიდნენ ჩხოროწყუს პოლიციაში, რომელთაც, სამწუხაროდ, ბ-ნი დეპუტატის გული რატომღაც ვერაფრით მოიგეს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლიციის შეფს იმას მაინც ვერ დავაბრალებთ, ლტოლვილების ბედის მიმართ გულგრილია, რადგან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მისი ოჯახის წევრი და უამრავი ახლობელი ატარებს დევნილის არასასურველ სტატუსს.

როგორც მითხრეს, 1998 წლის 26 ივნისს რაიონის ცენტრში თურმე არცერთი ხე არ დარჩენილა, დეპუტატზე პამფლეტი რომ არ ყოფილიყო გაკრული. ზოგმა მათგანმა, მართალი გითხრათ, ღრმად ჩაგვაფიქრა...

ჩხოროწყუში კიდევ ერთი რესპოდენტი, მეტად საინტერესო ახალგაზრდა კაცი, შუადღემდე კომუნისტური პარტიის წევრი და ნაშუადღევს ლეიბორისტი, ბ-ნი სოსო დიხამინჯია აღმოვაჩინეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონი სოსო დეპუტატ ტყეებუჩავას წარმომადგენლობაში მუშაობს და...

სოსომ საინტერესოდ ისაუბრა კომუნისტურ პარტიაზე, მის წარსულზე და სავალალო აწმყოზე, მაგრამ მისმა პირადმა სიმპათიებმა დეპუტატ ტყეებუჩავას მიმართ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თქვენ წარმოიდგინეთ, სოსო იმდენად აღტაცებულია ტყეებუჩავათი, რომ როცა არჩევნებზე საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი იყრიდა კენჭს, სოსომ თურმე ხმა ტყეებუჩავას მისცა. ამაზე დიდი თავდადება წარმოუდგენელია. ვერ გეტყვით, დიხამინჯიას რა პარტიული სასჯელი დაადეს მაშინ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ის ისევ გმირულად ატარებს კომუნისტის მისთვის საამაყო სახელს.

ზემოთაც ვთქვით და კვლავ გავიმეორებთ: მართალია, ცალკეული პიროვნებები შრომობენ, ენერგიას ხარჯავენ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების ნინწასაწევად, მაგრამ სამწუხაროდ, მთლიანობაში ანუ ქვეყნის მასშტაბით ასეთ პიროვნებათა ნაღვაწი ზღვაში წვეთია, თუმცა ზღვა წვეთებით ივსებაო, ნათქვამია და ჩვენც ვისურვოთ, რომ ბევრი ადამიანი, საქმიანი პიროვნება გვყოლოდეს საქართველოში, რომელიც თავისი გარჯით, უნარით, პატრიოტიზმით, მონდომებით საძირკველს გაუმაგრებს დემოკრატიის გზაზე დამდგარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ნათია ჟანტურია

დავით აღმაშენებლის პარტიის მიმართვა ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის დელეგატებისადმი

ბატონო ედუარდ,
პატივცემულო ყრილობის დელეგატებო!

დავით აღმაშენებლის პარტია მოგმართავთ ჩვენი ქვეყნის იმ ერთ-ერთ უდიდეს სატკივარზე, რომელსაც ქართული ფეხბურთი ჰქვია.

ფეხბურთი ქართველი კაცისათვის მარტო ფეხი და ბურთი რომ არ არის, ეს საქვეყნოდაა ცნობილი. ფეხბურთი ქართველი კაცისთვის თავისი ეროვნული ღირსებებისა და მეობის გამომხატველია. ჩვენ თუ აქამდე მსოფლიოში ასე თუ ისე გვიცნობდნენ, ეს ძირითადად იყო ჩვენი შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწეების, მხედარმთავრებისა, სუხიშვილებისა, რამიშვილებისა და უბრწყინვალესი ქართველი ფეხბურთელების დამსახურება.

დღეს, ისე, როგორც პოლიტიკაზე, ფეხბურთზეც ძალიან ბევრს წერენ და ლაპარაკობენ. ჩვენდა სამწუხაროდ, ორივე შემთხვევისას სიმართლეს არავინ არ ამბობს. ამიტომაც ვართ ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში. ამას წინათ ტელევიზორში იყო გადაცემა იმის შესახებ, თუ როგორი დაავადებულები არიან ფიზიკურად ჩვენი ბავშვები (ხერხემლის გამრუდება, ფილტვების სისუსტე, გულის უკმარისობა და ა. შ.). მოყვანილი იქნა უამრავი დაავადებები, რომლითაც არიან დაავადებულნი ჩვენი ბავშვები, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის უთქვამს ის გზა, რომლითაც შეიძლება ჩვენი მომავალი თაობის გადარჩენა. ეს გზა არის ის, რომ ბავშვებს შეუქმნათ ელემენტარული კულტურისა და დასვენების პირობები.

ბატონო ედუარდ,
პატივცემულო ყრილობის დელეგატებო!

დიახ, ბატონებო, თუ ჩვენ გვინდა გადავარჩინოთ ქართული ფეხბურთი, ბავშვებზე უნდა ვიზრუნოთ. ჩვენ მოვიარეთ და ვნახეთ თითქმის მთელს საქართველოში ბავშვთა საფეხბურთო ბაზები, რომლებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ნორჩ ფეხბურთელებს ელემენტარული პირობები არა აქვთ, რაც კომუნისტების დროს ჰქონდათ, ის მოგონებადღა დარჩა. ეკოლოგები ძალიან ბევრს გაჰყვირიან, მაგრამ საქმეს იოტისოდენადაც არ აკეთებენ. აბა, შეიძლება ბავშვმა ივარჯიშოს „ნორჩი დინამოელის“ ბაზაზე, რომელიც, სხვათაშორის, უპირველესი ბაზაა საქართველოში?! პატარები საშინელ მტვერში და ყოვლად უვარგის ფეხბურთის მოედნებზე ვარჯიშობენ. ვის არ ნახავთ „ნორჩი დინამოელის“ ბაზაზე, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ერთსაც არ მოუვა აზრად, რომ როგორმე დავეხმაროთ პატარებს და გადავარჩინოთ მათი ჯანმრთელობა. ასეთი გაუსაძლისი მდგომარეობაა მთელს საქართველოში. საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ელემენტარულად იმის სახსრებიც არ გააჩნიათ, რომ ფეხბურთელებს აჭამონ, ჩააცვან და ხელფასი მისცენ. ამის შემხედვარე რა ფეხბურთის განვითარებაზეა ლაპარაკი...

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შესანიშნავი მწვრთნელები არიან. მარტო „ნორჩ დინამოელში“ 10-12 მსოფლიო კლასის მწვრთნელია, რომლებსაც დახმარება უნდათ. რას ითხოვენ ისინი? მხოლოდ და მხოლოდ საფეხბურთო მოედნების მოსაწყობად ტერიტორიების გამოყოფას (სახელმწიფოს არც თანხას სთხოვენ და არც ხელფასებს), ისინი თავისი ძალებით მოაწყობენ საფეხბურთო მოედნებს. დავით აღმაშენებლის პარტია რახანია აყენებს წინადადებებს ქ. თბილისში და სხვაგანაც ტყეპარკები გადასცემოდა ცნობილ სპორტსმენებს სპორტული მოედნებისა და ბაზების მოსაწყობად. ასეა მსოფლიოში ყველგან. აბა, ის რა კულტურისა და დასვენების პარკია, სადაც საფეხბურთო მოედანი არ არის?! ეს ხომ ჩვენი ჯანმრთელობის კერაა.

ბოლოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს არჩევნების შესახებ. ძალიან კარგია, რომ თითქმის მთელი საქართველო ჩაერია ფეხბურთის ფედერაციის მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურის შერჩევაში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თანდათან ვირჩევთ დემოკრატიასა და ბრძოლას პატიოსანი ხელმძღვანელობის შერჩევისა და არჩევისათვის.

ჩვენი აზრით, ოთხივე კანდიდატი დასაფასებელია თუნდაც იმიტომ, რომ სურვილი გამოთქვეს და თავისი პროგრამები წარმოადგინეს ქართული ფეხბურთის გადარჩენის მიზნით.

ალექსანდრე ჩივაძე რომ უდიდესი ფეხბურთელი და პიროვნებაა, აქ ორი აზრი არ არსებობს. რომელი კუთხით და გაგებითაც არ უნდა შევხედოთ, ყველანაირად გამართლებულია, რომ ის იყოს ამ ეტაპზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ამას ის უეჭველად იმსახურებს. და იმედია, ყრილობის დელეგატები მხარს დაუჭერენ.

ილო დათუნაშვილი რომ ყველასათვის საყვარელი პიროვნებაა, აქაც ორი აზრი არ არსებობს.

მერაბ ჟორდანიასთანა მაღალი ერუდიციის, ინტელექტის სპორტსმენი რომ იშვიათია, ესეც სიმართლეა.

რამაზ გოგლიაძეც რომ ჭეშმარიტი ქართველი და სპორტის მშვენიერი მცოდნეა, ესეც ეჭვს არ იწვევს.

დავით აღმაშენებლის პარტია მიზანშეწონილად თვლის, რადგან ფეხბურთი ქართველისათვის მეტად სათუთი დარგია, მას უნდა ხელმძღვანელობდეს ქვეყნის სპორტის მეთაური დღეისათვის კახი ასათიანი. ჩვენი აზრით, ფეხბურთის ამ რანგში აყვანა არა თუ გადაარჩენს ქართულ ფეხბურთს, არამედ მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალებზეც აიყვანს, რაც უთუოდ გაახარებს ერსაც და ბერსაც. საქმესაც წაადგება და ქვეყანასაც.

ბოლოს, იმედია, ბატონო ედუარდ და ყრილობის დელეგატებო, ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებთ, რომელიც იქნება სწორი და ყველა ქართველი ფეხბურთის გულშემატკივარისათვის მისაღები და გასახარი.

როინ ლიპარტელიანი

რედაქციისაგან: **ბატონი ალექსანდრე ჩივაძე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისათვის ნამდვილად ღირსეული კანდიდატურაა. ამასთან ცნობილია, რომ ფიფას სწორედ მასთან თანამშრომლობა ურჩევნია, რადგან მათ ერთმანეთთან ურთიერთობის გამოცდილება უკვე აქვთ. ფიფა იცნობს ჩივაძის პოზიციას და შეხედულებებს, ამასთან ერთად ისინი ენდობიან თავიანთ პარტნიორს, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან ქართულ ფეხბურთს მორალური და მატერიალური დახმარება სჭირდება (ამ კუთხით პიროვნული ურთიერთობა ძალიან ბევრს ნიშნავს), ნურც ის დაგვავიწყდება, რომ 80-იანი წლების ფეხბურთის მონაპოვარი — ევროპის თასი, ის დაუვიწყარი დღეები და დიდი სიხარული „დინამოს“ მაშინდელი კაპიტნის, ჩივაძის დამსახურებაცაა. ბატონ ალექსანდრეს ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია. შეუძლია ორგანიზებულად გაუძღვეს დაკისრებულ მოვალეობას. აქვს საკუთარი კონცეფცია და პროგრამა, როგორ ააღორძინოს ქართული ფეხბურთი. ეს კი ფიფას მორალური და მატერიალური მხარდაჭერის გარეშე გაძნელდება.**

ვიმედოვნებთ, ყრილობის დელეგატები სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ და ფედერაციის მუშაკები, საფეხბურთო კლუბები და ქართველი ხალხი ერთად იბრძოლებენ ქართული ფეხბურთის აღორძინებისათვის...

„თერთმეტ ოქტომბერს, თერთმეტ საათზე, თერთმეტი საათით ვიყავი გატაცებული...“

საქართველოში რომ ადამიანის უფლებები ირღვევა, ტერაქტები ხდება, კანონი რომ არ კანონობს და ვისაც რა მოესურვება, იმას აკეთებს, ეს ბავშვმაც კი იცის. ამ განუკითხაობის ქვეყანაში პრეზიდენტსაც კი ესხმიან თავს და რა გასაკვირია, რომელიმე ჟურნალისტზე, ადვოკატზე აღმართონ ხელი, მაგრამ ის, რაც ცნობილ ადვოკატსა და ჟურნალისტს, გაზეთ „ადვოკატი-მეოხის“ რედაქტორს, ბ-ნ თემურ გოგსაძეს გადახდა, აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მავანნი და მავანნი დაბეჯითებით ცდილობენ თავისუფალი პრესის, სასამართლოსა და ადვოკატურის მოთოკვას, ცდილობენ ბინძური, არაადამიანური მეთოდებით. თუ რა მეთოდებია ეს, ამის შესახებ გაიგებთ ინტერვიუდან ბ-ნ თემურ გოგსაძესთან.

— ბატონო თემურ, პრესითა და ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია თქვენი გატაცებისა და წამების შესახებ.

— დიახ, ეს იყო გატაცება და ამის შესახებ მე ვხუმრობ კიდეც: თერთმეტ ოქტომბერს, თერთმეტ საათზე, თერთმეტი საათით ვიყავი გატაცებული, თერთმეტი საათის განმავლობაში მიდიოდა ჩემი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტერორი.

— საინტერესოა, როგორ ჩაუვარდით ხელში ტერორისტებს.

— მოტყუებით. ტელეფონზე დამირეკეს, ვიღაც ქალბატონი მთხოვდა დახმარებას, თითქოსდა მისი შვილი დაკავებული ჰყავდა პოლიციას და შვილის თხოვნით, აუცილებლად უნდა მიეყვანა კვეზერელის ადვოკატი. კოლეგები ვართო, სხვათაშორის ესეც მითხრა. ასეთი შემთხვევები ჩემთან ხშირია და მეც გამომიტყუეს სახლიდან. მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, საბოლოოდ აღმოვჩნდი „ბმვ“ მარკის ავტომანქანაში — მინაზე წარწერით „პრესსა“. ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის ქალბატონი ფერფლისფერი თმებით. დანარჩენი მამაკაცები იყვნენ. თვალახვეული წამიყვანეს. ჩემი ვარაუდით, ლოჭინის ხევისკენ, სადღაც დაუმთავრებელ ობიექტზე და იქ უკვე სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი. მამაკაცი ვარ და მე ასეთი გინება ჩემს სიცოცხლეში არ მომისმენია.

— მარტო ფსიქოლოგიურ ტერორს დასჯერდნენ, თუ...

— რას ამბობთ, ამ დროისთვის მე უკვე ხელები გაკრული მქონდა, ბეტონის ფილაზე ვინექი და გახურებული მავთულით მშანთავდნენ.

— რას ითხოვდნენ თქვენგან, ბატონო თემურ.

— ბუნებრივია, ყველა ამას მეკითხება. ეს იყო, ვფიქრობ, ბუნებრივი დაბოლოება ჩემი მოღვაწეობისა, როგორც „მეოხის“ რედაქტორისა და როგორც ადვოკატის.

— ხომ არ გაქვთ თქვენეული ვარაუდი ტერორისტების ვინაობაზე.

— ამ საკითხზე გარკვეული მოსაზრებები მაქვს, ვარკვევ სიტუაციებს, ეს იმდენად სერიოზულია, რომ ჯერჯერობით თავს ვიკავებ არასერიოზული განცხადებებისგან, ამ მოტივითაც უარი ვთქვი ოფიციალურად საქმის აღძვრაზე და არ არის გამორიცხული, რომ ხვალ-ზეგ გამოძიებას მე თვითონ დავუდო მაგიდაზე მტკიცებულებები...

— თქვენი აზრით, პოლიტიკური სარჩული ხომ არ ედო ამ ტერორს.

— ჩემი საქმიანობა ბოლო ათწლეულში პოლიტიკასაც უკავშირდებოდა, ეკონომიკასაც, სამართალსაც, არაკანონიერ ბიზნესს, ნარკო-ბიზნესს, საქართველოდან ხე-ტყის გატანას და სხვა ათას რამეს.

— ვარაუდის ფართო სპექტრი გქონიათ. მაინც, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ყველაზე მეტად განაწყენებული თქვენზე.

— გითხარით, უპასუხისმგებლო განცხადებებს არ გავაკეთებ. აქ უფრო დიდი თამაში მიდის, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით მოგეჩვენოთ, მაგრამ მე მივალ იქამდე, საიდანაც ეგ მოდის. შეიძლება ის ქალბატონიც ვიპოვო, ისიც კი, ვინც მშანთავდა, მაგრამ ეს არ იქნება ის შემკვეთი, ვისგანაც ეს მოდის... ვნახოთ, რადგან თამაშია წუთისოფელი, ზოგჯერ პოლიტიკური, ზოგჯერ დიპლომატიური, ზოგჯერ სამართლებრივი. მე მზად ვარ ბრძოლისათვის, ვიცი, სიმართლე ჩემს მხარეზეა.

— ბატონო თემურ, თქვენ „საუკუნის პროცესის“ გახმაურებული ადვოკატი ბრძანდებით. ხომ არ უკავშირებთ გატაცებას ამ პროცესს?

— გამორიცხვით არაფერს გამოვრიცხავ. ჯერ კიდევ მაშინ განვუცხადე მოსამართლესაც, ბატონ მირზა დოლიძესაც მოსალოდნელი ტერორის შესახებ. ფაქტობრივად, მაშინ ფსიქოლოგიურ ტერორში ვიყავი, სწორედ ამიტომაც გადაიდო რამდენჯერმე სასამართლო.

— თუ გრძნობთ თქვენი ცხოვრების ამ მძიმე ეტაპზე მხარდაჭერას საზოგადოების მხრიდან?

— დიახ. ჩვენმა მასმედიამ პირდაპირი და ზუსტი განცხადება გააკეთა. ვუმადლი ბევრ ჟურნალისტს. ჩამოთვლა არ მინდა, შეიძლება ვინმე გამომრჩეს და უხერხულია. სრულიად უცნობი ადამიანები მირეკავენ და არა მარტო საქართველოდან. ერთგვარად ყველამ დაინახა, რომ ეს არ არის მარტო თემურ გოგსაძის პრობლემა, ისევე, როგორც არ იყო ლაშა ნადარეიშვილის, ქურდაძის, ისევე, როგორც გაზეთ „საქართველოს“ კომპიუტერული ცენტრის გაქურდვა არ იყო შემთხვევითი. ეს არის ზოგადი პრობლემა. საქართველოში ფაქტობრივად ვიღაცას უნდა, რომ დემოკრატიული პროცესები, თუნდაც მისი მცირე ელემენტები მართოს და თავის ჭკუაზე ატაროს.

— გინდათ თქვათ, რომ ვიღაც მასმედიას გააზრებულად, თანმიმდევრულად ებრძვის.

— დიახ. ზუსტად იმ პერიოდს დაემთხვა ეს ყველაფერი, როცა ჩვენ დავაარსეთ ჟურნალისტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ცენტრი, მე თვითონ უზარმაზარ პროცესებში ვარ ჩართული, როგორც იურისტს, ჟურნალისტებთან დაკავშირებით დაახლოებით შვიდი რედაქციის საქმე მაქვს. თუ ადრე იყო ეტაპი „წერე და იკითხე“ და შედეგი არ ქონდა, ეხლა უკვე შევედით იმ ფაზაში, რომ ჟურნალისტის ნაფიქრ-ნააზრევს, ნაწერს შედეგიც მოჰყვება. ჩვენი ოფიციალური მონაკვლევით, ჟურნალისტური ძიებით შეიძლება მინისტრი გადააყენო...

— მასმედიის მუშაობის შედეგი, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს, საკმაოდ საგრძნობია...

— ამიტომაც გახდა აუცილებელი თავისუფალი პრესის მოთოკვა. გარწმუნებთ, რომ თუ თავისუფალი პრესა, თავისუფალი ადვოკატურა შეიბოჭება (სსრკ-ს ერთ-ერთი პრობლემა სწორედ ეს იყო) ნებისმიერი ქვეყანა მივა კატასროფამდე.

— ბატონო თემურ, საოცარია, მაგრამ ფაქტია, თქვენ გაქცევა მოახერხეთ. ეს ყოველთვის არ ხერხდება...

— უფალმა გადაწყვიტა. რწმენამ გადამარჩინა უფლისა; „სამყარო ბრძოლის დიდი ველია, შედეგს განაგებს მხოლოდ უფალი“. ვფიქრობ, ამ მარადიულ ბრძოლას წუთისოფელში, უსათუოდ ექნება ბოროტებაზე გამარჯვების შედეგი. გვიახლოვდება XXI საუკუნე, ღვთაებრივი გონის საუკუნე. მწამს, საქართველოშიც გაიმარჯვებს ღვთაებრივი გონი და ის ენერგია, რომელიც ფუჭად დავხარჯეთ ერთმანეთის ჭამაში, ის ჭეშმარიტად მოხმარდება ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას, თითოეული ჩვენთაგანის თავისუფლებას და მაშინ უფრო მეტი სიყვარული და თანადგომა გვექნება.

ესაუბრა
იზოლდა ცირდავა

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲡᲐᲘᲜᲯᲔᲠᲔᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲐ!

გვიან ღამით ტელეფონის ზარის დარეკვის გვეშინია, მტერს და ავს, რამე რომ მოხდეს. ამიტომაც ვართ ფხიზლად...

ასე დაიწყო საუბარი მეტროპოლიტენის სალიანდაგო, გვირაბებისა და შენობა-ნაგებობათა სამსახურის უფროსმა, ბატონმა **რევაზ კობიძემ**.

ჩვენი საუბარი ძირითადად იმ ადამიანების საქმიანობაზე, უნარზე და გამოცდილების შესახებ წარიმართება, რომლებიც დღეღაღამ შრომობენ, რომ მეტროში მგზავრმა მშვიდად და უსაფრთხოდ იმგზავროს.

ბატონი რევაზ კობიძე „მეტროპოლიტენის“ სამსახურშია 1965 წლიდან — იმ დროიდან, როცა ჯერ კიდევ სამგზაფრად გახსნილი არ იყო „მეტროპოლიტენი“, ამ ადამიანმა ყველაფერი სულ თავიდან — ტექნიკოსობიდან დაიწყო, სწავლობდა რა ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, შემდეგ დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი — სალიანდაგო მეურნეობის საინჟინრო განხრით. ათი წელიწადი მუშაობდა მშენებლობის სამინისტროში, ტრანსპორტის სამინისტროში, მერე ბედმა ისევ აქ დააბრუნა, საიდანაც მისი ცხოვრების გზა დაიწყო. „მე ძირითადად ვხელმძღვანელობ სალიანდაგო, გვირაბების, შენობა-ნაგებობათა სამსახურს. 90% ჩვენი მუშებისა მუშაობს ღამის თორმეტი საათიდან, დილის ექვს საათამდე, რომლებიც მთელი ღამე ასრულებენ სარემონტო სამუშაოებს.

გვყავს სამეურნეო მატარებლები — სპეციალური — დრეზინები, რომლითაც მასალები შეგვაქვს, ვაკეთებთ დაჭიხვით სამუშაოებს, რომ ხალხმა მშვიდობიანად იმგზავროს.

წარმოიდგინეთ, თუმცა დღევანდელი რკინიგზა „მეტროპოლიტენზე“ დიდია, ჩვენ მაინც უფრო რთული ობიექტი ვართ და აი რატომ?

ამიერკავკასიის რკინიგზა შეიძლება სიგრძით და მოცულობით დიდია — გვირაბი კი, ამიერკავკასიაში კი არა მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში რომ დავაგროვოთ გვირაბების საერთო რაოდენობა, ჩვენი გვირაბის ტოლი მაინც არ იქნება. 53 კმ. გვირაბისა — ღია უბანი გვაქვს. ამიტომაც რთულია აქ სამსახური. ბატონი **გურამ გაბუნია** რომ იყოს ჩვენი ხელმძღვანელი და მის გვერდით ის გამოცდილი ხალხი, რომლებიც უკვე დაბერდა ამ სამსახურში, „მეტროპოლიტენს“ ძალიან გაუჭირდებოდა მუშაობა.

მისი ავტორიტეტი, გამოცდილება სულ სხვაა. თვითონ სპეციალობით მშენებელია, პარტიულ სამუშაოზეც ნამუშევარი რესპუბლიკაში ახალგაზრდებს ხელმძღვანელობდა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მას უაღრესად ტაქტიანი, გულისხმიერი მიდგომა აქვს თანამშრომლებთან. შაბათ-კვირა მისთვის არ არსებობს. მუდამ სამსახურშია. ძალიან გვშველის მისი სიფხიზლე, მე შემიძლია გადაუჭარბებლად აღვნიშნო, რომ ამ სამსახურს მან სხვა წონის ელფერი შესძინა. ვინაიდან, სხვა მეტროპოლიტენის უფროსებს რომლებიც გურამ გაბუნიაზე ადრე მუშაობდნენ, საქმე უადვილდებოდათ და მაშინ მეტროპოლიტენიც ახალი იყო, ლიანდაგიც, გვირაბიც, ნაგებობაც. ამჟამად ყველაფერი მოძველებულია და სამუშაოც რთული — და უფრო მეტად საპასუხისმგებლო. ეს კაცი, სწორედ ღმერთმა გამოგვიგზავნა. ნებისმიერი სპეციალისტი, მას დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ ჰყავს შერჩეული. ყველა ესენი თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალები არიან: ბატონები **გივი ღამბაშიძე, ბონდო ჯინჯიხაძე, გია არევაძე, როლანდ შუბითიძე, მიშა სალაყაია...**

დამსახურებას ბატონი გურამი არავის არ უკარგავს, მასთან გამორიცხულია ნაცნობობა — ნათესაობის ფაქტორი სამსახურში. ახლა ნახევარი თბილისი ხომ უმუშევარია, ხშირად აწუხებენ, მაგრამ მას ყოველთვის ძველი და საიმედო მუშაკი ურჩევნია.

ადრე ჩვენ დამოკიდებული ვიყავით საკავშირო სამინისტროზე მოსკოვში. ჩვენი მთავარი სამმართველოს უფროსი იყო, რკინიგზის მინისტრის მოადგილე. ჩვენ რიგით მეოთხე ვიყავით საბჭოთა სახელმწიფოში, ლენინგრადი, მოსკოვი და მერე თბილისის მეტროპოლიტენი...

პატარა ჭანჭიკიც კი მზადდებოდა რუსეთის ქარხნებში და იქიდან ვიღებდით მას. ახლა აბსოლუტურად არაფერი არ მზადდება იქ. ისევ ვუბრუნდებით ბატონ გურამ გაბუნიას დამსახურებას — ხელმძღვანელობის ნიჭსა და უნარს, რომ მან შეძლო და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა აამუშავა ჩვენთან. 1 ვაგონი 400000 დოლარი ჯდება, წარმოიდგინეთ, რა დაგვიჯდებოდა ვაგონის გაგზავნა სხვაგან, მისი გარემონტება და მერე ისევ ჩამოტანა.

ჩვენი მშენებლები ახალ სადგურს აკეთებენ, ხოლო საბურთალოს ხაზზე მომავალი წლის ოქტომბერს აპირებენ აღდგენითი სადგურის შეყვანას ექსპლუატაციაში. ცუდია, რომ ვერაფერს ვერ ვღებულობთ საქართველოდან, მრეწველობა მძიმეც და მსუბუქიც, ისევ გაჩერებულია. არადა, ყველაფერი გვჭირდება, ნათურიდან დაწყებული, ესეც ბაქოდან რატომ უნდა იყოს შემოსატანი.

ისევ მივუბრუნდები „მეტროპოლიტენის“ სიკეთეს — ჩვენ ვარსებობთ საკუთარი შემოსავლებით. არაფერი დახმარება ჩვენ არავისაგან არ გვაქვს. თუკი, მაგალითად, „მეტროპოლიტენს“ შეუძლია შეღავათიანი მგზავრობის უფლება მისცეს პენსიონერს, ლტოლვილს — რას აკეთებენ სხვა სამსახურები? „ბარათ-კარტას“ რაღაც მიზერულ თანხის ფასად ვიძლევით სამსახურებზე. ზოგიერთს ეს სანახევრო თანხა დღესაც არ აქვს გადახდილი.

აი, ერთი ტონა რელსი ღირს 500 დოლარი. კილომეტრები კი ათასობითაა. რომ გავაჯანსაღოთ სალიანდაგო მეურნეობა, ნახეთ რამხელა თანხები გვჭირდება. ამიტომ ვცდილობთ და ძირითად მთავარ საკითხს ვწყვეტთ, აუცილებელს, სავალდებულოს ვყიდულობთ. ისიც ძალიან დიდი გაჭირვებით, — რომ ადამიანი უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო მოძრაობით.

ჩემს სამსახურში 5 ღამე ზედიზედ მუშაობს კაცი, 12 საათზე მოდის და დილით 6 საათზე ამთავრებს სამუშაოს. ორი ღამე დასვენება აქვს. უმეტესობა 30-33 წელიწადია აქაა. 30 დღე რომ გითხრათ, ღამის თორმეტ საათზე მოხვიდეთ, კარგი პირობები შეგიქმნათ, ჩაგირთოთ მუსიკა, მაინც ვერაფრით გაძლებთ. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ჩვენთვის ჟურნალისტებთან ურთიერთობა — ძალიან შეურაცხოფილნი ვართ ზოგიერთი გაზეთისაგან, სადაც ხშირად დაუზუსტებელი ინფორმაციის გაშუქება ხდება. აი, მაგალითს მოგიყვანთ ენერგომომარაგების საკითხში, ხშირად ძაბვა გვეთიშება, ქალაქი არ გვაწვდის ნორმალურად ან უცებ ზედმეტად იმატებს მაღალი ძაბვა და აპარატურა ზიანდება. გვირაბში მატარებელი ჩერდება, ხალხი პანიკაში ვარდება, მათ ჰგონიათ, რომ რაღაცა ზოხდა, სინამდვილეში არ არის ძაბვა. ჩვენ ვწვალობთ, გამოგვყავს ხალხი გვირაბიდან, ზოგი ფეხმძიმეა, ზოგიც მოხუცებული. ეს კი ფსიქიკაზე მოქმედებს. ათასობით მგზავრია, ყველას ვერ გამოუცხადებ სათითაოდ, რაც ხდება. არადა, ჩვენი მხრიდან უსაფრთხოება ყოველმხრივ გარანტირებულია. ხშირად ლიტერატურულად გააშუქებენ მასალას, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ინჟინერი რომ იყოს ჟურნალისტი, მიხვდებოდა, რა ძალიან მრავალპროფილიანი, რთული ტექნიკური ნაგებობაა „მეტროპოლიტენი“.

ჩვენთან არ ყოფილა შემთხვევა, ვინმემ ვინმეს რაიმე წაგლიჯოს. ერთხელ, სათაურშივე ასეთ რამ იყო დაწერილი ერთ გაზეთში ჩვენზე — „მიწისქვეშა მაფიოზები“. მოვიდნენ და 1 თვე იმუშაონ ჩვენთან, ადგილზე კარგად ნახონ რა მაფიოზებიც ვართ! საწყენია, აბა რა არის?

ეს ადამიანები — მშრომელი, შეგნებული ხალხია. როცა ადამიანი ფიზიკურად შრომობს, სხვანაირად არ გაურბის თვალი, ამიტომ ძირითადად ჩვენთან სინდისიერი, წესიერი, უღალატო ხალხი მუშაობს, ისეთები, რომ გულით შეგიყვარდება. უმეტესობა 1965 წლიდანაა აქ მოსული; შვებულებაში რომ გადიან, ისე უჭირთ ნორმალური ცხოვრების წესით ყოფნა, რომ ღამე ვერ იძინებენ. მათი ორგანიზმი შეეჩვია გამუდმებულ უძილობას. 100 ლარი ხელფასი აქვთ, სამაგიეროდ ხალხის ბედი აბარიათ და ეს არის დასამადლებელი?!

როცა ქვემოთ, გამოჩნდებით, — კარგად განსაჯეთ და ისე დაწერეთ. არ შეგეშინდეთ, ქვევით ვირთხები აღარ დარბიან, რადგან ახლა შეიქმნა სანეპიდსადგურის სამედიცინო სამსახური. აქ სურათის გადაღება არ შეიძლება, ხოლო გვირაბში ჩასვლასაც სპეციალური საშვი სჭირდება.

ზემოთ ხელზე მოვაჭრებმა ძალიან გაგვაწვალეს. ესეც პრობლემაა. ყუთებს შემოიტანენ და ცარიელს ტოვებენ — გამოსასვლელებში ლურსმნებს აჭედებენ. ჩამოკიდებენ ზედ რაღაცას, დენს იპარავენ, კაფელს და მარმარილოს ტეხენ, ამტვრევენ, აფუჭებენ-ანაგვიანებენ. არადა, ეს ისეთი ტრანსპორტია, ზედმიწევნით სუფთა უნდა იყოს — ათასი დაავადებაა, სტუმარი გარეშე თვალით აკვირდება ყველაფერს, მეტრო კი ქალაქის სახეა.

დიდუბეში, გადასასვლელებში ვაჭრები და მათხოვრები ზიან.

ბატონი გაბუნია ძალიან ჰუმანური და კაცთმოყვარე ადამიანია, ყველა გაჭირვებულ ადამიანი ეცოდება და ანგარიშს უწევს... სამაგიეროდ, სისუფთავე მაინც დაიცვან...

ნუ შეგეშინდებათ, იმგზავრეთ მშვიდად, ჩვენთან სინდისიერად ყოველ დღე მოწმდება გვირაბები. გამორიცხულია მოხდეს რაიმე მარცხი.

სალიანდაგო, გვირაბებისა და შენობა-ნაგებობათა სამსახურში მყავს 700 კაცი. 700 კაციდან 600 ღამე მუშაობს. მოწმდება ყოველივე. ისინი გვირაბის გამაგრებასა და ყველა საჭირო სამუშაოებს ატარებენ. ასე რომ, დილით უბნის უფროსი აძლევს მზადყოფნას თავის სამოქმედო უბანს — მოძრაობის „დისპეტჩერს“, ყველაფერი „გაკონტროლებულია“, ეს დიდად საპასუხისმგებლო საქმეა — ამიტომ სისტემატიური და დაძაბული მუშაობა გვიწევს.

საერთოდ კი, „მეტროპოლიტენს“ 4000 ადამიანი იმიტომ ემსახურება, რომ მგზავრმა უსაფრთხოდ და იმედიანად იაროს.

უცხო და მოუმზადებელი კადრი ჩვენთან არ არის! ყველას ყველა სამუშაო კიბის საფეხური გავლილი აქვს. სხვანაირად აქ ვერ იმუშავებ — რადგან თეორიულზე მეტად პრაქტიკული ცოდნაა მთავარი.

ჩვენნაირი სამსახური ძირითადად ექვსია: მათ შორის — ექსკალატორების, ელექტრომექანიკური სამსახური, ექსკალატორის მოძრავი შემადგენლობის სამსახური... ყველა ეს სამსახური ერთად ვართ და შეგნებულად, ვუდგებით ქვეყნის მდგომარეობას. ზოგიერთ მგზავრს ის 20 თეთრიც არ უნდა რომ გადიხადოს.

რამდენჯერ დავფიქრებულვარ და გული მტკენია — ჩვენ თუ ვუკეთებთ შეღავათს სხვებს, რა იქნებოდა, ელექტროენერგიის ხარჯი რომ შეღავათიანი გვქონდეს? ჩვენც გვჭირდება ყურადღება, ქალაქს ვემსახურებით — სტუმარ-მასპინძელს კეთილი გულით, საკუთარი ჯანმრთელობისა და ნერვების ფასად და რა იქნებოდა?!

ესაუბრა
ᲫᲔᲗᲘ ᲩᲐᲓᲣᲜᲔᲚᲘ

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ:
ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲗᲥᲕᲐ

ადვოკატ ქართლოს ღარიბაშვილის მიერ გამართულ მორიგ პრესკონფერენციაზე, რომელიც სასამართლო სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებს მიეძღვნა, ჟურნალისტები იმ საკითხითაც დავინტერესდით, თუ როგორ შეაფასებდა იგი დიდუბის რაიონის სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესს (მოსამართლე მარინე დალაქიშვილი), სადაც ბატონ ქართლოსს იმ უცხოური მარკის ავტომანქანის („მიცუბიში პაჯერო“) ჩამორთმევას უპირებენ (საქციო საზოგადოება „ინტელექტბანკი“ და ფირმა „ჯორჯიან მოტორსი“), რომელიც ფირმა „ზურგის ქარის“ (იგივე „ელიზი“) საგარანტიო წერილის საფუძველზე განვადებით შეუძენია, — „ელიზის“ პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილისა და მისი ბანდის წევრების დაცვის პერიოდში, — ცნობილ ადვოკატს. აი, მისი პასუხიც:

— ეს საქმე იქითკენ მიდის, რომ ჩემსა და ჩემს ყოფილ კლიენტს შორის ურთიერთობის ყველა დეტალი სამზეოზე გამოვა და მსჯელობის საგანი გახდება. მე მიკიჟინებენ, თითქოს ადვოკატის ეთიკას ვარღვევდე და იმ „საიდუმლოებებს“ ვამჟღავნებდე, რაც „ელიზი“-„ომეგას“ სისხლის სამართლის საქმეში „ელიზელთა“ მხარის დაცვის განხორციელების პერიოდში გახდა ჩემთვის ცნობილი, მაგრამ ეს არაა საკითხის სწორად დასმა. წარმოიდგინეთ, რომ ჩემი კორპორაციის ადვოკატებთან ერთად თითქმის ერთი წელი ვიმუშავეთ იმისათვის, რომ თამაზ ელიზბარაშვილი პატიმრობიდან გაგვენთავისუფლებინა, რისთვისაც უამრავი შრომა გავწიეთ. სხვა, 11 დაპატიმრებულ „ელიზელთან“, პროკურატურის მიერ ელიზბარაშვილის ბანდის წევრებად მიჩნეულ ბრალდებულებთან ყველა მისასვლელი გადავკეტეთ, რათა მათი ჩვენებები ისეთი გაგვეხადა, როგორც ჩვენს კლიენტებს აწყობდა, ამ დროს კი ისინი უარს აცხადებენ მათ მიერ ჩვენთვის მიცემული გარანტის შესრულებაზე. ახლა ლაპარაკობენ, რომ ის საგარანტიო წერილი „ზურგის ქარის“ კომერციულმა დირექტორმა ზაზა ყანჩაველმა გასცაო, მაგრამ მე ყანჩაველი თვალით არ მინახავს არასოდეს, საგარანტიო წერილი თვით ელიზბარაშვილმა გადმომცა თავისი ხელით, მერე კი პირი მიშალა. ამიტომ, არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ მე იძულებული ვარ სულ მისხალ-მისხალ ჩამოვუთვალო უმადურ „ელიზელებს“ ყველაფერი, რაც ჩემმა კორპორაციამ მათთვის გააკეთა. ასე, რომ თამაზ ელიზბარაშვილი მაიძულებს ყველაფერი ვთქვა და ადვოკატის ეთიკა აქ არაფერ შუაშია; სასამართლომდე მათ მიიყვანეს საქმე და არა მე, ისინი მედავებიან და არა მე, ამიტომაც, იძულებული გამხადეს რა, რომ თავი დავიცვა, ჩემს ხელთ არსებულ ყველა კანონიერ ხაშუალებას გამოვიყენებ, რათა საზოგადოებამ კიდევ უფრო კარგად დაინახოს „ელიზელთა“ სიმდაბლე და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ის დეტალებიც, რომელთა დამალვასაც ისინი ცდილობდნენ, — დაამთავრა პასუხი ბატონმა ქართლოსმა და კიდევ ერთხელ მიგვიპატიჟა ჟურნალისტები დიდუბის რაიონის სასამართლოში, სადაც მორიგი სხდომა დღეს, 14 საათისთვისაა დანიშნული.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲫᲕᲔᲚᲐᲫᲔ

„ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘ“

სიახლით და უცნაურ-გაუგონარის შექმნით ქართველები ისე ვართ განთქმული, არა თუ უცხოს, ერთმანეთსაც ველარ ვაკვირვებთ. ამ მხრივ შიდა ქართლის მეწარმე-მრეწველთა კავშირის შექმნა ქ. გორში მოულოდნელი სულაც არ გახლდათ. პირიქით, იქნებ, ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო. ბარბაროსული საგადასახადო პოლიტიკით თუ ათასი რჯულის შემმოწმებელ-რევიზორებით შეწუხებულმა მეწარმე-მრეწველებმა ითმინეს, ითმინეს, ბოლოს ველარ მოითმინეს და ბაერთიანება გადაწყვიტეს.

— მოდით, დავდგეთ ერთად, მხარი მხარს მივცეთ, რაც ეკუთვნის მთავრობას, გადავუხადოთ, რაც არადა, ძალით წართმევის საშუალება ყველას მოვუსპოთო, თქვეს მათ. შეიკრიბა საინიციატივო ჯგუფი, მოიწვიეს ქალაქის ხელმძღვანელობა, ადგილობრივი ტელევიზია, გააცნეს ყველას თავიანთი მიზანი, მოწონებაც დაიმსახურეს, მხარდაჭერის იმედიც მიიღეს და შიდა ქართლის მეწარმე-მრეწველთა კავშირიც დაფუძნდა. კავშირს თავმჯდომარედ უკვე გამოცდილი ბიზნესმენი, შპს „სამეგობროს“ გენერალური დირექტორი ბატონი **ზაურ საგანელიძე** აირჩიეს. ბატონ ზაურს საპატიო და ერთობ საპასუხისმგებლო ტვირთი ერგო, ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ ყველას სთხოვა, იმდღევანდელი შეხვედრა მხოლოდ ფუჭადნათქვამი სიტყვებით არ დასრულდესო, მადლობა გადაუხადა ნდობისათვის ყველას და საქმის წისნვლა-გამარჯვებაზე ზრუნვა და ფიქრიც იმ წუთიდანვე დაიწყო.

რა და როგორ სჭირდება მეწარმეს გორში, ეს ბატონ ზაურს თავადაც კარგად მოეხსენება. მეგობრებთან (სწორედ ამიტომ ჰქვია „სამეგობრო“ შპს-ს, რომლის გენერალური დირექტორიც ბატონი ზაური გახლავთ) ერთად გორის სამკაულის, უმშვენიერესი სასტუმროსა და რესტორან „ვენეციას“ მფლობელს, როგორც ბიზნესმენს, საკუთარ თავზე გამოუცდია ყველა ჭირ-ვარამი. ჩვენს რესპოდენტს ვთხოვეთ, ორიოდე სიტყვით ეთქვა, როგორი ურთიერთობა აქვს საგადასახადო ინსპექციასთან და, საერთოდ, როგორ ეგუება იმ საგადასახადო პოლიტიკას, რომელსაც მეწარმეთა უმეტესი ნაწილი საქართველოში მწყრალად უყურებს და საყვედურებს გამოთქვამს. გამონაკლისი არც აქ დაგვხვედრია.

— საგადასახადოზე საუბარი საერთოდ აღარ შეიძლება. უვარგისი საგადასახადო პოლიტიკა არც მეწარმეს აძლევს რამეს და არც ქვეყანასო, — გვითხრა წუხილით, — თუ საგადასახადო კანონები არ შეიცვალა, თუ მეწარმის დასახმარებლად არაფერი გაკეთდა, აღარც ეს სასტუმრო გვექნება, აღარც რესტორანი და აღარც კიდევ ბევრი სხვა რამ, რის გაკეთებასაც ჩვენ ანდა სხვა ამირებს. მეჩვენება, რომ ყველაფერი სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ სპეციალურად კეთდება ასე, რათა ადვილად შეძლონ ჩვენი გაკონტროლება. სულ პატარა, მარტივი მაგალითი სევდიანი დასასრულის მიზეზი გახდა. გაჩანაგებული წარმოგიდგა თვალწინ (ღმერთმა დაიფაროს!) ქალაქის მშვენება, ექსპლოატაციაში ახლახანს შესული (ევროპულ სტანდარტებს მორგებული) უმშვენიერესი სასტუმრო, 13 ორადგილიანი ნომრით, ორი აპარტამენტით, ცხელი და ცივი წყლით, კონდიციონირებული ჰაერით, გათბობით, სატელეფონო, სატელიტური კავშირებით, მოკლედ უზრუნველყოფილი ყველა იმ სიკეთით, რაც დღევანდელ ცივილიზებულ მოქალაქეებს სჭირდებათ.

ნუთუ ვინმეს ხელს უშლის ცაცხვის ტყეში ჩაძირული, ტბაში ჩადგმული უმშვენიერესი რესტორანი „ვენეცია“, თავის პატარა კუნძულებით, არხებით, გადასასვლელი ხიდებითა და პატარა ნავებით... ტბაში მოცურავე პატარა თევზებით...

გული გვეტკინა.

ბატონ ზაურს დავემშვიდობეთ თუ არა, პირდაპირ საგადასახადო ინსპექციას ვეწვიეთ. საგადასახადო სისტემაში ვერაფერს შეცვლ-

გაგრძელება მე-11 გვ.

თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ № 57

... თოღრულ ბეგის სულთნობიდან ... ასი წლის შემდეგ, როგორც თურქ ... ავტორი დოქტორი მეჰმედ ალთა ... ქიომენი წერს, სულთან სანჯარის (1117-1157 წწ.) მეფობის დროს ... ოღუზთა ურდოები ისევ განაგრ... ძობდნენ ირანში შემოჭრას. ავ... ტორი მათი საქმიანობის საშინელ ... სურათებს ხატავს. XII ს-ის 50-... ანი წლებიდან ოღუზთა მოძრაობამ ... წამლეკავი და გამანადგურებელი ... ხასიათი მიიღო. სელჩუკთა პირველ... ი სულთნების მცდელობით ჩრა... ნის გადარჩენილი ქალაქები და ... პროვინციები ოღუზთა უფრო დიდი ... ნაშიშროების წინაშე აღმოჩნდა, ... ვიდრე ეს იყო სელჩუკთა შემოსე... ვისას. ოღუზები შეესივნენ ხორა... სანის პროვინციას, იგი ააოხრეს, ... გაძარცვეს, ხოლო მოსახლეობა ... გაჟლეტეს ან დაატყვევეს. დაეც... ნენ ქალაქებს მეშუქედს, მერვს, თუსს, ... ნიშაპურსა და სხვა ადგილებს. ეს ... აოხრებები მიმდინარეობდა რამა... ზანის (მარხულობის) თვეში. სულ... თან სანჯარი შეეცადა აღეკვეთა ... ოღუზთა ბარბაროსობა და გაერეკა ... ესინი იმ მხარეებში, საიდანაც ... მოვიდნენ, მაგრამ იგი ოღუზებთ... ან არაერთი შეტაკების დროს ... დამარცხდა და 1154 წ. ტყვედ ... ჩაუვარდა მათ. მან სამი წელი ... დაჰყო ტყვეობაში. იგი გამოკეტილი ... კი არ იყო, არამედ ოღუზები ... თვლიდნენ მას თავის სულთნად, ... მიაგებდნენ მეფურ პატივისცემასა ... და მოწიწებას, მაგრამ რომ არ ... გაქცეულიყო, მოთავსებული ჰყავ... დათ მტაცებელი ცხოველებისათვის ... გამოსადეგ რკინის გალიაში (დ. ... ავჯიოღლუს I წიგნი, გვ. 133). ... ოღუზების დიდი სურვილი იყო ... სულთან სანჯარი არა ბინადარი ... მოსახლეობის, არამედ მომთაბარე... თა სულთნად დარჩენილიყო და ... მისი ხელშეწყობა-მეთაურობით ირა... ნის, სომხეთის, მცირე აზიის, ... საქართველოსა და სხვა ქვეყნების ... მოსახლეობა პერიოდულად ეძარცვ... ათ. ამის შემდეგ ოღუზები სულთ... ნიანად ისევ მიუბრუნდნენ ქალაქებს ... მერვს, თუსს, მეშაჰედსა და ... ნიშაპურს; აქედან გაიჭრნენ ჰერა... თისა და სერაჰსისაკენ, მერე ისევ ... ბალხეთში და მერვის მხარეში ... მობრუნდნენ. ოღუზთა საშინელე... ბების გამგონე მეზობელი ქალაქე... ბისა და პროვინციების მოსახლე... ობა რელიგიურ მოღვაწეებიანად ... ტოფებდნენ სახლ-კარს და გარ... ბოდნენ... სელჩუკიანთა დიდი იმ... პერიის პირველი დედაქალაქი მერვი ... ოღუზებმა დაიკავეს, მაგრამ მისი მცხოვრებნი არ ემორჩილებოდნენ და ძლიერ წინააღმდეგობას უწ... ევდნენ. ამაზე გაბრაზებულმა ოღუ... ზებმა მდიდარი ქალაქის მოსახ... ლეობას თავისი ძალა უჩვენეს. ეს დიდი და მდიდარი ქალაქი სამი დღე-ღამე ოღუზებს საძარცვავად დაეთმოთ. შემდეგ მათ მერვის მო... სახლეობის დიდი ნაწილი დაატყვევეს და მათ წამებას მი... ჰყვეს ხელი, რათა გადამალული ქონება ამოეღოთ. ამ პროცესში მათ თერთმეტი სასულიერო პირი შემოაკვდათ, აქედან ერთი სასული... ერო პირი თავის შვილთან ერთად მინარეთში ცოცხლად დასწვეს... ოღუზები ისევ დაეცნენ ქალაქ თუსს. ქალები ტყვედ წაასხეს, ხოლო მამაკაცები გაჟლიტეს, გადა... წვეს სახლები და მეჩეთები. ხო... რასნის ყველაზე დიდ ქალაქ ნიშაპურშიც იგივე მოიმოქმედეს. ამ აოხრებებისა და ხოცვა-ჟლეტის გამო ტყვე სულთან სანჯარის პრო... ტესტებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ოღუზებს, რომლებიც ნიშაპურის გზას დაადგნენ, სამჯერ მეტი მოხალისე აჰყვა ქალაქის საძარცვავად. ნიშაპური იმ ზომაზე იყო გაძარცვული, ხოლო ხალხი გაჟლეტილი, რომ იქ თითქმის სულდგმული აღარ დარჩენილა. ქალები და ბავშვები ტყვედ წაასხეს, ხოლო ქალაქში ათი ათასი მოკ... ლული მამაკაცი დაითვალეს. ნიშა... პურელთა ერთ ჯგუფს მენფიეს სახელობის ჯამეში-მეჩეთში თავი შეეფარებინა. ოღუზებმა ესენი აქვე ამოხოცეს, — „ქოლიჩთან ქეჩირ-მიშლერ“ და სხვა მეჩეთები, სა... დაც ერთდროულად 2 ათას კაცს შეეძლო აღევლინა ლოცვა, ოღუ... ზებმა ცეცხლს მისცეს. ცეცხლის ენები ისე მაღლა იყო ატყორცნ... ილი, რომ ამ სინათლის დახმარე... ბით ოღუზებმა ქალაქი დილამდე ძარცვეს და თან ადამიანები ხოცეს ან ატყვევეს. მერე გადამწვარი სახლების კედლებს ანგრევდნენ, იქნებ სიმდიდრე აღმოვაჩინოთო. მთელს ირანში რაიმე შენობა, ძეგლი თითქმის აღარ იყო დარჩენილი, ყველაფერი მიწასთან გაასწორეს. მუსლიმებისათვის აქ მშვიდობიანი ცხოვრების ყოველგვარი იმედი გადაწურული იყო. ვინც ფეხმარ... დი იყო, ან ცხენები ჰყავდა, ახ... ერხებდა გაქცევასა და თავის გა... დარჩენას. ნინათ დაშაქრული პურის კეკლუცად მიმრთმევნი, ქერის პურსაც ვეღარ შოულობდნენ. გადარჩენი... ლი მეჩეთები ოღუზებს ცხენების თავლებად გადაექციათ (ალთაი ქოიმენის დასახ. წიგნი. გვ. 434-444).

სწორედ ამაში მდგომარეობს მომთაბარეთა ბარბაროსობა. ყველა ბინადარ ხალხთა მიმართ ქართველებ... ის, სომხების, ბერძნების, არაბების, სპარსელებისა და სხვების მიერ ათასწლობით შექმნილი კულტურა მომთაბარე თურქ-სელჩუკ-ოღუზებ... მა რაღაც 40-50 წლის განმავლო... ბაში მიწასთან გაასწორეს, ხოლო მოსახლეობას მოსპობა-გადაშენების აშკარა საფრთხე შეუქმნეს. მომ... თაბარეები საქართველოს ორი მხრი... დან მოადგნენ: სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან, ეი. ჰერეთისა და ქვემო ქართლის მხრიდან. რა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკმა-ოღუზებმა, ვი... დრე საქართველომდე მოაღწევდნენ, მათ დაიკავეს და თავიანთი „ხვას... ტაგითა“ და ჯალაბობით გაავსეს აზერბაიჯანის, გილანის, მაზანდე... რანის, არდებილის, ყარადაღის, ნახი... ჩევანის, თალიშის, მუღანისა და არანის (ირანის) მხარეები. მოვუსმი... ნოთ აზერბაიჯანის ოფიციალურ ისტორიას: იმოწმებს რა იმ ეპოქე... ბის არაბ ისტორიკოსებსა და გეოგრაფებს, იგი წერს: „... მელიქ შაჰის (1072-1082 წწ.) მიერ გამოგ... ზავნილი თურქები ... მოვიდნენ არანში და მოღანში, სადაც ბევრი სოფლები და საძოვრებია. ეს ადგ... ილები ახლა უკავიათ თურქმენებს, აძოვებენ თავის ნახირს და მოსახ... ლეობის დიდ ნაწილს შეადგენენ (აზერბაიჯანის ისტორია, ტ. I, ბაქო, 1958, გვ. 140-141). მიუხედავად სი... ჭარბისა, თურქმა მომთაბარეებმა ფეოდალური კულტურით მაღლა მდგომ ხალხზე არსებითი გავლე... ნა ვერ მოახდინეს. სამაგიეროდ, შირვანის, არანისა და მუღანის ადგილობრივმა მრავალენოვანმა მოსახლეობამ, რომელიც ფიზიკურად გადაურჩა მათ, ვერ გაუძლო მომ... თაბარეთა განუწყვეტელ შემოსევებს, გამეზობლებას და მათ გვერდით დამკვიდრებას; ადგილობრივი მო... სახლეობის ფიზიკურად გადარჩენი... ლი ნაწილი, შემდეგში თანდათანო... ბით გაითქვიფა მათში. ამიტომ ჭეშმარიტებაა ის, რომ შუა საუკუ... ნეების ოღუზებს ეთნიკური და ენობრივი მონაცემების მიხედვით, ენათესავებიან დღევანდელი თურქმე... ნები, აზერბაიჯანელების (თურქუ... ლენოვანი მოსახლეობის ერთი ნაწ... ილი) და ანატოლიის თურქები (ლია ჩლაიძე, ოღუზ-ნამე, თბ, 1974, გვ. 9). არც დღევანდელი თურქეთის თურქულენოვანი მოსახლეობის ნახ... ევარზე მეტი უნდა იყოს სელჩუკ-ოღუზთა შთამომავლები. ესენი არიან XI-XV საუკუნეებში და შემდგომ ეპოქებში ენობრივად და სარწმუ... ნოებრივად გათურქებული ბიზან... ტელი, ქურთი, სომეხი, ქართველი, ლაზი და სხვა მრავალი. იგივე პროცესი განვითარდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ზემოთ ჩამოთვლილ ათობით პროვინციებში. ამასთან დაკავ... შირებით, იმავე აზერბაიჯანის ის... ტორიაში ვკითხულობთ: „სელჩუკთა დაპყრობანი მასობრივ გადასახლე... ბას ნიშნავდა ... რასაც შედეგად მოყვებოდა მათი ენის დაპყრობილ ხალხთა ენაზე გაბატონება, თუნდაც ეს უკანასკნელნი მომხდურებთან შე... დარებით მაღალი კულტურით ხას... იათდებოდნენ (აზერბაიჯანის ის... ტორია, ტ. I, გვ. 140). ამგვარად, შეიძლება ასეთი ზუსტი დასკვნა გაკეთდეს: მრავალენოვან მხარეებში ადვილად ვრცელდებოდა თურქული ენა და ადვილად მიმდინარეობდა დამსგავსების პროცესი. ასე მოხდა მაგალითად, მცირე აზიაში და აღ... მოსავლეთ ამიერკავკასიაში იქ, სა... დაც სახლობდა მეტად ჭრელი ეთ... ნიკური ელემენტი, სწრაფად ვრ... ცელდებოდა მუსლიმობა, თურქუ... ლი ენა და ყოფა, თანაც პროცესის განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე ბიზანტიელი თუ სხვა გლეხების, რომლებიც ფეოდალურ ექსპლოატაციაში მყოფი სელჩუკებ... ის მხარეზე გადარბოდნენ და ის... ლამს იღებდნენ, რათა როგორც მუსლიმებს, შედარებით მსუბუქ გა... დასახადი-მეათედი ანუ „უშრი“ გადა... ეხადა, ნაცვლად 3-4-ჯერ მძიმე ფეოდალური გადასახადებისა და მრავალი ბეგარა-ვალდებულებებისა ... (დ. ავჯიოღლუ, I წიგნი, გვ. 141).

როგორც დ. ავჯიოღლუ წერს: „იმ დროს, როდესაც შავი ზღვის ჩრდილოეთიდან ევროპაში წასუ... ლი სხვა ოღუზები ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედე... გად გადაშენდნენ, შუა აზიიდან მცირე აზიაში გადმოსახლებულ თურქმენ-ოღუზ მომთაბარეებმა ად... გილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან შერევის შედეგად შესძლეს ანა... ტოლია თურქთა სამშობლოდ გაეხ... ადათ (მისი I წიგნი, გვ. 208). აქვე იგი გვაწვდის საყურადღებო ცნობას: XI ს.-ის დასაწყისში და... სავლეთ და ცენტრალურ ანატო... ლიაში კაბადოკიამდე დომინირებ... და ბერძნული ენა და კულტურა. კაბადოკიიდან აღმოსავლეთით კი სომხური, სირიული, ქურთული, ქართული, არაბული და ლაზური ძირითადი სალაპარაკო ენები იყო (მისი I წიგნი, გვ. 144); თუ რუსე... თის სტეპებში მყოფი ქუმანები (ქუმანებიც თურქულ მოდგმას ეკუთვნოდნენ), მონღოლები, ბულ... გარები, ხაზარებში შეერევნენ და დღემდე შემორჩნენ, სამაგიეროდ უნგრეთში, ბალკანეთში და საქარ... თველოში ქუმანები, პაჭანიკები და ოღუზები, რომლებიც აღმოჩნდნენ ქრისტიანულ სამყაროში, ფეოდალურ პირობებში, გადნენ და ისტორი... იდან ამოიშალნენ (მისი II წიგნი, გვ. 961).

ამგვარად, თურქ-მომთაბარეებს გადმოსახლების პროცესში იქ, სადაც დახვდათ მყარი ეროვნული ერ... თიანობის ხალხი ერთი ენით, ერთი რწმენით, ერთი მიზანმისწრაფები... თა და ჩამოყალიბებული ფეო... დალური სახელმწიფო ინსტიტუტე... ბით, მათ ვერაფერი ვერ მოუხ... ერხეს, ვერ შთანთქეს; პირიქით, ხშირად თვითონ აღმოჩნდნენ მათ მიერ დაპყრობილი ადგილობრივი ხალხის კულტურის მიერ დამორ... ჩილებული. ევროპაში მისული თურქული ელემენტი ევროპელებმა მოინელეს, ხოლო ირანში და არაბებში შეჭრილი ოღუზ-სელჩუკ... თურქმენები სპარსულ-არაბული კულტურის ტყვეობაში მოექცნენ. რაც შეეხება საქართველოს, აქ თურქ-მომთაბარეებს ძალიან გაუ... ჭირდათ, რადგან იგი მყარი კულ... ტურულ-ეროვნული ერთეული იყო, ამიტომ თურქულ მოდგმას, რო... გორც ითქვა, მეტად დიდი დრო დასჭირდა (XI-XVIII სს.), რომ საქართველოსათვის აღმოსავლეთით და სამხრეთით ეროვნული საზღვრე... ბი შეეკვეცა და აქაური ქართვე... ლი მოსახლეობის ერთი ნაწილი ეროვნულად დაემახინჯებინა და გადაეგვარებინა. ამ ეპოქაში კავკა... სიაში და ახლო აღმოსავლეთში საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც შეძლო ორგანი... ზებული და ეფექტური წინააღმ... დეგობა გაეწია თურქთა მოზღ... ვავებისათვის.

თურქულ მოდგმასთან, ქართველი ხალხის ბრძოლა და სისხლისღვრა, სელჩუკ-ოღუზთა გრანდიოზული (შუა აზიიდან ეგვიპტემდე) იმ... პერიის დაშლით როდი დამთავრე... ბულა. ეს ბრძოლა მეტად ხანგრ... ძლივი — 700-წლიანი გამოდგა. დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ერ... თის მხრივ, უფლისწულთა სეპა... რატისტული მოძრაობებისა და მეორეს მხრივ, გარეშე ძალების — საქართველოსა და ჯვაროს... ნების შეტევის შედეგად, უკვე დაშლილი იყო, მაგრამ თურქთა ჰეგემონობით საქართველოს გარშემო წარმოქმნილი სასულთნოები, სა... ემიროები და საათაბაგოები ქართვე... ლი ხალხისათვის კვლავ ახალ-ახალ სერიოზულ საშიშროებას ქმნიდ... ნენ, რადგან დასაპყრობი და გასათათრებელი ისევ და ისევ საქართველო, ქართველი ხალხი რჩე... ბოდა, ამიტომ 1121 წ. ზაფხულში დაირაზმა აღნიშნული მეზობელ თურქთა სასულთნო, საემირო, სა... ათაბაგოები, გაერთიანებული

გაგრძელება მე-12 გვ.

„ამ ქვეყნად მხოლოდ სიკვდილი და გადასახადია გარდაუვალი“

მეათე გვერდიდან

... ოდა ჩვენი ვიზიტი. მაინც გვინდო... და, გვესაუბრა ინსპექციის უფროსთ...

... ან სისტემაში მიმდინარე რეორგა... ნიზაციაზე. კაბინეტში ორი დღის ... დანიშნული — ახალი უფროსი ... დაგვხვდა, ბატონი **ვაჟა შერმა... დინი**. იგი ახალ თანამდებობაზე ... ბიზნესიდან მოვიდა. (წლების განმ... ავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ... სელმძღვანელ თანამდებობაზე. ამ... ჟამად აქვს დამოუკიდებელი ფირ... მა, რომელიც ეწევა კვების პროდუ... ქტების დამზადებასა და რეალ... იზაციას) და ბუნებრივია, საგადა... სახადოს ახალი შეფისადმი მიმა... რთულ მეწარმეთა ინტერესების ... დამცველ პირველ კითხვას საგა... დასახადო პოლიტიკის შესახებ ... ვავადაც მეწარმემ უპასუხა:

— ერთი და იგივე კატე... გორიის გადამხდელი არათანაბარ პირობებშია ჩაყენებული. ის, ვინც კეთილსინდისიერად და პატიოსნად იხდის გადასახადს, გაცილებით უარეს პირობებშია მათთან შე... დარებით, ვინც შემოსავლებს მა... ლავს, რადგან გადასახადის არ... გადამხდელი ადვილად უწევს კონკურენციას. ხარჯი ნაკლები აქვს და შეუძლია ნაკლებად გაყიდოს პროდუქცია. აქედან გამომდინარე, კონკურენციას რომ გაუძლოს, პა... ტიოსანი გადამხდელიც ცდილობს არ გადაიხადოს.

მე ვფიქრობ, თუკი ყველა გადამხდელს ერთნაირ პირობებში ჩავაყენებთ, დღევანდელი საგადა... სახადო პოლიტიკა სავსებით რა... ალური და გამართლებულია.

კურიოზით დაიწყო მოღვაწეო... ბა ბატონმა ვაჟამ. ქალაქს ხე... ლმძღვანელებმა საღამოს 7 საათზე წარადგინეს ახალი უფროსი სამ... სახურში. შენობაში გაუთვალისწინე... ბლად გამოირთო შუქი. ინსპექ... ციას დავალიანება ჰქონია...

შეცდომა მალევე გამოსწორდა, მაგრამ ბატონ ვაჟას ერთი ფიქრი უჩუმრად მაინც აეკვიატა: ნუთუ საგადასახადო ინსპექციას მეტი ავტორიტეტი არა აქვს, ასეთი რამ რომ არ მოხდეს?

— ვიდრე ნორმალური ორგა... ნიზაციის სახეს არ მივიღებთ, ვერ დავისვენებთ — გადაწყვიტა და გამოუცხადა კიდეც თანამშრომლებს.

— გუშინდლიდან (დანიშნის დღეს გულისხობს) ვაკეთებ მობი... ლიზაციას, რომ როგორმე ამ თვის გარღვევა გადავფაროთ, გეგმის შესრულებაზე ვიფიქროთ, მით უფრო, რომ ახლა არჩევნები მო... დის, ხალხი ისედაც განერვიულე... ბულია, 5-6 თვეა ხელფასები არ აუღიათ, მართალია, მთელი დავალ... იანება მთლიანად ერთ თვეში არ გაიცემა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც აუნაზღაურდებათ.

ჩემი მუშაობა ბენჯამენ ფრან... კლინის ცნობილი გამონათქვამით დავიწყე: „ამ ქვეყანაზე მხოლოდ სიკვდილი და გადასახადია გარდაუ... ვალი.“ თუ ყველა ქართველი გაითავისებს, რომ გადასახადი უნდა გადაიხადოს, ყველას გვეშველება. მე არ დაგპირდებით, რომ ხვალ... იდან ან ერთი კვირის, ერთი თვის შემდეგ თუ ჩამობრძანდებით, ყვე... ლა გადასახადი გადახდილი იქნე... ბა, საერთოდ კი ტენდენცია აუცი... ლებლად იქით უნდა წავიდეს, რომ ყველამ გადაიხადოს. დღეის მდგო... მარეობით, გადამხდელმა 50% რომ გადაიხადოს გადასახადისა, ჩათვა... ლეთ, რომ არც პენსია დაგვიანდე... ბა, არც ხელფასი. საერთოდაც, საგადასახადო არა გადასახადის ამკრეფი, არამედ დამფიქსირებელი უნდა იყოს, თუ ვინ რა გადაიხა... და. — ცოტა რამ მომავალი გეგ... მების შესახებაც გაგვანდო. რადგან საუბარი პენსია-ხელფასების დარი... გება-დაგვიანებას შეეხო, ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო — საბაჟო მოგვაგონდა...

ბიბლიიდან მოყოლებული, მე... ბაჟე ერთ-ერთი სალანძღავი სი... ტყვა იყო და ალბათ არცთუ სასიამოვნო სამსახურად ითვლე... ბოდა, დრო იცვლება და მება... ჟეებსაც ახლა აღარ ლანძღავენ... პირიქით, იქნებ როგორმე ბიუჯე... ტი შეავსონ, რათა მშიერ-მწყურ... ვალ ხალხს პურის ფული გაუჩნდეს.

საგადასახადო ინსპექციის არ იყოს, გეგმების ქრონიკულმა შეუს... რულებლობამ ჯერ კიდევ აპრილ... ში აიძულა ხელისუფლება ქართ... ლის მოძრავი რეგიონალური სა... ბაჟოს ხელმძღვანელობა შეეცვალა. მართალია, პენსია-ხელფასები ისევ იგვიანებს, მაგრამ რაც გეგმის შესრულებას შეეხება, ახალი ხე... ლმძღვანელობის ხელში ციფრების გათვალისწინებით შემოსავლები ორჯერ გაზრდილა. თუ გასული წლის 9 თვეში ბიუჯეტში 1345000 ლარი იყო შეტანილი, წელს იგივე პერიოდში 2536000 ლარია შესუ... ლი. ეს კი უკვე პროგრესს ნიშ... ნავს. თუ ამდაგვარად გაგრძელდა, მაჩვენებლები შარშანდელთან შე... დარებით, წელს გაცილებით უკე... თესი იქნება. თუმცა მთლად არც საბაჟოზეა დამოკიდებული დავალებ... ის შესრულება, რადგან თავად მებაჟეები იმპორტიორზე არიან დამოკიდებულნი. და კიდევ, თავი... ანთ სიფხიზლე-სიყოჩაღეზე. საკონ... ტროლო გამშვები პუნქტი — როგორც ასეთი — ცხინვალთან არ არსებობს. როკის გვირაბით ცხინვალში შემოსული ტვირთები რომელი გზით გავა, არც ისე ადვილი გასარკვევია.

— ცხინვალში ჩვენი კანონი არ მოქმედებს, ჩვენი, ქართლის მოძრავი რეგიონალური საბაჟოს ფუნქციაა ექსპორტ-იმპორტის გა... ფორმება. ძალიან ბევრი გზაა და ასაქცევი საშუალება, რომ ცხინ... ვალში შემოსული ტვირთი ჩვენ... თან, საბაჟოზე არ მოხვდეს. თუ არ ვცდები, 32-მდე მაინც არის ასეთი გზა, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ და ტვირთი გაიტანონ. ამიტომ, ჩვენ მოძრავი საგუშაგო გვაქვს, მებაჟეები ფხიზლად არიან, რომ ტვირთი საქართველოში კონ... ტრაბანდული გზით არ წავიდეს, — გვითხრა ქართლის მოძრავი რეგიონალური საბაჟოს უფროსის მოადგილემ, ბატონმა **მალხაზ კო... ჩაშვილმა**, — უცნაურად ღელვს მოძრავი საბაჟო, მოძრავი საგუშა... გო. რას ვიზამთ, ავმა დროებამ მოგვიტანა, საქართველო-რუსეთის ფედერაციის საზღვარს ვერ ვა... კონტროლებთ და ასე გვიხდება მუშაობა მძიმე პირობებში. „შორს არ არის ის დრო, როცა ერთიანი კომპიუტერული ქსელი იქნება საბაჟოს სისტემაში და შედარებით გაიოლდება ტვირთის კონტროლი.

დეპარტამენტის დახმარებით კომპიუტერული სისტემა უკვე დაინ... ერგა. 3-4 კომპიუტერი უკვე აქვთ. ყველა ინსპექტორს შეუძლია, იმ... უშაოს კომპიუტერთან. საბაჟოზე



ფუნქციადაკარგული შენობის გად... მოცემის საკითხიც მალე გადაწყ... დება და ხელმძღვანელთა ძალ... ისხმევით მალე, ალბათ, ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც ნამდვილ საბაჟოს ეკადრება.

მანამდე კი...

დაგვიანებულ პენსია-ხელფასებს, იქნებ ეშველოს რამე. იქნებ მე... წარმემ, ან საგადასახადომ ან საბაჟომ ან სულერთია ვინ შეავ... სოს ბიუჯეტი და... ჩამოსახრჩო... ბად განწირულ ხალხს ამოსუნთქვის საშუალება მიეცეს?!

მანანა გელოვანი
ნანა ძველაია
ქ. გორი

თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო

მეთერთმეტე გვერდიდან

ჯარით შემოიჭრა საქართველოში. მტერს ბევრად მცირერიცხოვანი ჯარით დახვდა ქართველი ხალხის ჭკვიანი და მამაცი მეფე, დიდი მხედართმთავარი, თურქთა ჭარბი ძალების არაერთჯერ დამმარცხებელი, დავით IV აღმაშენებელი, რომელმაც დიდი ოსტატობით დაამარცხა დიდგორთან ეს გრანდიოზული ძალა. ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ ქართველ ერს ააცილა თურქული მონობის რეალური საფრთხე. ამიერიდან ქართველებმა საუკუნოდ ამოისუნთქეს. მაგრამ ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა-დაქუცმაცება (XVI ს.), მისი სანაპირო მხარეების წაგლეჯა-დაკარგვა (XVI-XVII სს), აქაური ქართველი მოსახლეობის რელიგიური, ენობრივი და ბოლოს, ეროვნული გადაგვარება-დაკნინება, ძირითადად ამ უცხო მოდგმის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საუკუნოვანი აგრესიის შედეგია. ქართველ ხალხს თურქულ მოდგმასთან უკანასკნელი დიდი შეტაკება მოუხდა 1795 წ., რაც კრწანისის ცნობილი ტრაგედიით დასრულდა. ამის შემდეგ, თურქული მოდგმა აქტიური აგრესიიდან, უკეთეს დროთა მოლოდინში, შენიღბულ დივერსიებზე გადავიდა. სხვათა შორის, საქართველოს წმინდა ვალია, XXI საუკუნეში მაინც მეზობელ ქვეყნებში, თავის მშობლიურ-ქართულ მიწა-წყალზე მცხოვრები და უფრო შორს იძულებით მიმოფანტული მილიონობით ცნობიერება-დამახნჯებული ქართველებისათვის ქართველობის დაბრუნება-აღდგენა რომ იტვირთოს!

თურქ-სელჩუკთა შემოსევების დაწყებიდან ზუსტად ორასი წლის თავზე, ამჯერადაც ცენტრალური აზიიდან, დასავლეთის მიმართულებით, სათავე დაედო მონღოლთა დაპყრობებს. შორეულ მონღოლეთში, საქართველოსათვის სრულიად მოულოდნელად (როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის შემდეგ, ეფექტურად ვეღარ მოქმედებდა საქართველოს დაზვერვა), ჩამოყალიბდა მონღოლთა, ხოლო შემდეგში მონღოლ-თათარ-თურქთა ფეოდალური და აგრესიული სახელმწიფო. XIII ს-ის 20-40-იან წლებში ისინი გრიგალივით მოევლინენ ჩრ. კასპიისპირეთიდან ევროპას, ხოლო სამხრეთი კასპიისპირეთიდან ირანს, ამიერკავკასიასა და მცირე აზიას. საყურადღებოა, რომ მონღოლთა ჯარის ძირითად ბირთვს კვლავაც თურქი მომთაბარეები შეადგენდნენ; ახლაც მონღოლთა ლაშქარს თან მოჰყვებოდნენ თურქ-მომთაბარეთა ოჯახები თავისი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ჯოგებითა და მთელი ავლა-დიდებით. ისინი არა მარტო ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ბაღებსა და ნათესებს, არამედ საერთოდ აფერხებდნენ მიწათმოქმედებასა და საქალაქო მეურნეობის წარმოებას (ნარკ-ბი მახლ. აღმოს.-ისტორიიდან, თბ. 1957 წ, გვ. 166). მონღოლთა შემოსევებმა გამოიყოლია უფრო მეტი თურქულ-მომთაბარული ელემენტი, ვიდრე თვით მონღოლები. ამიტომ იყო, რომ ამან დიდი ირანის, მცირე აზიისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გამონღოლება კი არა, არამედ გათურქება გამოიწვია. უფრო მეტიც, თურქთა ამ გრანდიოზულ მასებთან ერთად ნოინების მეთაურობით მოსული მონღოლური ტომებიც გათურქდნენ. მონღოლთა დაპყრობების ეპოქაში მოსულ თურქ-მომთაბარეებს ჩვენში ეწოდა „თათრები". როგორც ჩანს, ცენტრალური აზიიდან მონღოლებს გამოყოლილი თურქ-მომთაბარეთა მასას, ტომთა კავშირს, „თათარი" ეწოდებოდა და ამიერიდან ქართველთა მეტყველებაში თურქულენოვანი მოსახლეობის ტომობრივ-ეროვნულობის კუთვნილების აღმნიშვნელი სახელწოდება სამუდამოდ „თათარი" გახდა. თათართა მასამ ირანში, მცირე აზიაში და კავკასიაში უკვე მოფენილ თურქ-სელჩუკთა შთამომავლობასთან ერთად მონღოლური ელემენტიც გაათურქა (დ.ავჯიოღლუ მე-3 წიგნი, გვ. 1053). ასიმილაცია განიცადეს იმ ირანულმა, მცირე აზიურ და კავკასიურმა ტომებმა და მონღოლებმა, რომლებიც თურქულ ენაზე მოლაპარაკე თათრების, ყივჩაღების, პაჭანიკების, ხორეზმელებისა და სხვა თურქულენოვან ტომთა გარემოცვაში აღმოჩნდნენ (დ. ავჯიოღლუ, I წიგნი, გვ. 43). თურქულენოვანი მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიები მონღოლებსადე უფრო მცირე იყო, ვიდრე ახლა. მონღოლთა დაპყრობების შემდეგ, როგორც ხოიში, ისე მთელს ირანში, ჩასახლებული მონღოლები გათურქდნენ. (ი. პეტრუშევსკი. ჰამდალაჰ ყაზვინი კაკ ისტორჩნიკ ... გვ. 920). მონღოლთა ეპოქაში თურქთა მოზღვავებამ აზერბაიჯანიც გაათურქა, გათურქდნენ აგრეთვე შირვანი, რანი, არანი, ხოი და მოსული მონღოლებიც (დ. ავჯიოღლუ, I, გვ. 43). მონღოლთა შემოსევებმა როგორც საქართველოში, ასევე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და სომხეთში, დააქვეითა ეკონომიკა და მოშალა საწარმოო ძალები. (ი. პეტრუშევსკის დასახ. ნაშრ. გვ. 920). ამგვარად, თურქულ-მონღოლური ელემენტის მასობრივად შემოსახლების გამო დიდად შეეშალა ხელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აღდგენისა და აგრარული განვითარების პროცესს. საქართველოში კი, როგორც ითქვა, ამ ეპოქაში განსხვავებული ვითარებაა, ვიდრე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რადგან ქართული ფეოდალური მეურნეობა უფრო მყარ რენტაბელურობით გამოირჩეოდა და თანაც მონღოლთა ხელისუფლებამ საქართველო ცნო თავის მიწა-წყალზე — ამიერკავკასიის ქრისტიანული სამყაროს ფარგლებში (საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 226) და ამ ეპოქაში თურქულ-მომთაბარული ელემენტი საქართველოში მასობრივად აღარ შემოსულა. უფრო მეტიც, გიორგი V ბრწყინვალედ წოდებულმა და ბაგრატ V-მ XIV-ის 10-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე საქართველო კვლავაც გააერთიანეს, გააძლიერეს და მწარმოებელ მოსახლეობას მშვიდობიანი აღწარმოების პირობების შექმნასთან ერთად კავკასელ ხალხთა ხელახლა გაერთიანების რეალური წანამძღვრები შექმნეს! მაგრამ ასეთი კეთილისმყოფელი ვითარება საქართველომ დიდხანს ვერ შეინარჩუნა, რადგან მის მეზობლად წარმოქმნილ თურქ მომთაბარეთ ახალ-ახალი აგრესიულ-ყაჩაღური სახელმწიფოების განუწყვეტელმა, 500-წლიანმა შემოსევებმა საქართველო უკიდურესად დააზარალა.

მონღოლთა გრიგალის გადავლის შემდეგ, დასავლეთ მცირე აზიაში, ე.წ. დასავლეთ თურქებმა XIV ს.-ის დასაწყისიდან საფუძველი ჩაუყარეს თურქ-ოსმალთა მომავალ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, აღმოსავლეთის თურქებმა კი, თემურ ლენგის მეთაურობით, შუა აზიაში, ამავე საუკუნის 60-70-იან წლებში დაამკვიდრეს თავიანთი ვრცელი იმპერია. ეს სახელმწიფო აღმოცენდა ილხანთა (მონღოლურ-თურქულ) სახელმწიფოს მრავალპოლიტიკურ ერთეულებად დაშლის შედეგად. ირანში გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისით, ფეოდალური არეულობითა და შუა აზიაში ჩინგიზ-ხანის მემკვიდრეთა დასუსტებისა და მათთან ბრძოლის პირობებში პოლიტიკურ ასპარეზზე ამოტივტივდა თემურ-ლენგი, რომელმაც მავერანნაჰრში თავისი პოზიციების განმტკიცებისთანავე ირანის ვრცელი პროვინციების დაპყრობას მიჰყო ხელი. იგი მალე მოადგა ამიერკავკასიას და მრავალჯერ შეესია საქართველოს. მისი გამანადგურებელი შემოსევების მატერიალური და მორალური ზარალი განუზომლად დიდი იყო ქართველი ხალხისათვის. თემურ-ლენგი იყო ის პირველი მტაცებელი, რომელმაც ძარცვა-გლეჯისა და ხოცვა-გლეჯის გარდა ჩვენს ხალხს თავისი კუთვნილი მიწა-წყალიც წაართვა განჯა-შაქის მხრიდან. მან საქართველოს საბოლოოდ ჩამოაცილა: სომხეთი, შაქის ქვეყანა და საქართველოს ისეთი კუთხეც კი, როგორც იყო ლორე, „სადაც ადგილობრივი მიწისმფლობელთა კლასი უმთავრესად მომთაბარეთა არისტოკრატიამ შეცვალა ... ქართველი აზნაურობა იძულებული იყო მიწისმფლობელობა თურქმანებისათვის დაეთმო და მამაპაპისეულს გასცლოდა (ნ. ბერძენიშვილი, სოს. VI, გვ. 135). ამასთან ერთად, სწორედ თემურ-ლენგის მიერ ისლამის დროშით მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობათა შედეგად მამამდიანდებიან აღმოსავლეთი ამიერკავკასიის შაქშირვანსა და ირანს უკანასკნელი ქრისტიანი ფეოდალებიც და დასავლეთ დაღისტანთან ერთად კახეთ-ჰერეთის სამხრეთ კავკასიონის ქართული მოსახლეობა.

თემურ-ლენგი, რომელიც ქართველთა და არამუსლიმ კავკასიელთა დაუზოგავი მტერი იყო, დაპყრობილ ქვეყანაში „მაჰმადიანური" პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო. იგი ადგილობრივი მაღალფეოდალური კულტურის მოშლისათვის და მის ადგილზე აღმოსავლურ-ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისათვის იბრძოდა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის „მნათობი" №6, 1954, გვ. 126-127).

ვახტანგ ნადირაშვილი

გაგრძელება იქნება

ვულოცავთ ქეთი ქურდოვანიძეს დაბადების დღეს. ვუსურვებთ დღეგრძელობას, ბედნიერებას, კარგი ქართული ოჯახის შექმნას და ბევრ სიხარულს ცხოვრებაში საყვარელ დედიკოსთან და მამიკოსთან, ძამიკოსთან ერთად.

სერგო ჯანაშია ოჯახით

ქეთინო ქურდოვანიძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს. ჩვენს ლამაზ, ჭკვიან და საყვარელ ქეთის ვუსურვებთ ბედნიერ ცხოვრებას, ზღვა სიხარულს, ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებას, ღირსეული ოჯახის შექმნას და ყველა ახლობელის გულის გახარებას. ქეთი! იხარე და გაგვახარე.

თამაზ გელაშვილი, თემურ ხეთაგური ოჯახებით.

დაბადების დღეს ვულოცავთ, ჩვენს მეგობარს ძვირფას და გულისხმიერ ადამიანს ბატონ **გოგი თამლიანს**. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს, ჩვენო გოგი. გისურვებთ ყოველი დღის სიხარულით გათენებას, ჯანმრთელობას და შვილების ბედნიერ მომავალს.

შენი მეგობრები
გაზეთი „საქართველო"

გილოცავთ!

დარეჯან კანდელაკს ვულოცავთ დაბადების დღეს. დარეჯან მასწავლებელო, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას, ზღვა სიხარულს და მრავალი აღსაზრდელის დაფრთიანებას.

თქვენი მოსწავლე გიორგი კოზოლაშვილი და 176-ე საშ. სკოლის 2ª კლასის მოსწავლეები და მშობლები

ვულოცავთ **მაკა სუჯატაშვილს** დაბადების დღეს. მაკა! ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას, ძამიკოს დაკარგვით დაჭრილი გულის მოშუშებას და მშობლების კარგად ყოფნას გისურვებთ.

შენი თეა, ნათია, ლაშა და ინგა

მიირთვით ხორბლის საუკეთესო არაყი „გომი", „ბაგრატიონი", „ლიმონის არაყი".



დემურ გრიგოლიას ხსოვნას



წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც აღარ ხარ. დააკლდი ოჯახს, მეგობრებს, ძნელია შეეგუება სიკვდილთან, შენ ხომ ნაადრევად წახვედი, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში.

„კაცის სიცოცხლე წამია მხოლოდ, არსი მისი მარად მედინ, აღნაგობა სხეულისა ხრწნადი, სული ცთომილივით მოხეტიალე, ბედი იდუმალი — დიდება ფუჭი", ამბობს რომაელი იმპერატორი მარკუს ავრელიუსი.

თაობათა ცვლა ბუნების წესია; ადამიანი სიკვდილის მონამორჩილია. ლ. ტოლსტოის ერთ-ერთი გმირი ამბობს: „ვიცოცხლო იმიტომ, რომ მოვკვდე?" — ზოგჯერ გებადება კითხვა: აქვს კი სიცოცხლეს აზრი, თუ აუცილებლად უნდა მოვკვდეთ? ავრელიუსი ამ კითხვასაც სცემს პასუხს: „კეთილი ვუყოთ მოკვდავთ;" საქმე, აზრი, სიკეთის ქმნადობაშია და სიცოცხლეს მართალი საქმის კეთებით აქვს გამართლება. არსებობს კიდევ უზენაესი დანშნულება — სამშობლოს, ერის სიყვარული, რომელიც ღრმად გქონდა მომადლებული, ამ მხრივაც გამორჩეული იყავი — სიკეთისა და სიმართლის განსახიერება, ერის ტკივილით შეჭირვებული.

დაბადებიდან სიკვდილმისჯილია ყოველი არსი — ამ შეგონების არგათავისება არის ქმნადობა ბოროტებისა, ხოლო გათავისება არის ზეშთაგონება სიკეთის ქმნადობისა, რაც აღზრდით მიიღწევა.

სტამბის დირექტორის სერგო გრიგოლიას ოჯახში აღზრდილი სხვაგვარი ვერ იქნებოდი.

ალექსანდრე ორბელიანი, რიყეზე დაგდებულ თავის ქალას დაცქერის და დაფიქრდება: „ნეტავი შენ, ადამიანის თავო, თუ შენი სიცოცხლის დრო კეთილად გაგიტარებია, ამის მეტი, რა გაგყვებოდა ამა სოფლიდან" — შენზეც ასე შეიძლება ითქვას: ნეტავი შენ, რომ კეთილად, კაცურად იცხოვრე: სიკეთის მაგალითი უჩვენე ნაცნობ-მეგობრებს, ქალაქის საზოგადოებას, სადაც შენ იღწვოდი, შრომობდი.

ამბობენ, რომ იმ საუფლოში სული განაგრძობს სიცოცხლეს, რომ არსებობს სამოთხე კეთილთათვის და ჯოჯოხეთი ბოროტთათვის — თუ ასეა, ნეტავი შენ, რომ სამოთხე დაიმკვიდრე იმ საუფლოში.

არ დაგივიწყებთ, შენს ხსოვნას გადავცემთ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს, რომ მათაც ისეთი გზით იარონ, როგორც შენ.

ციალა გრიგვალ

თანაგრძნობას ვუცხადებთ ნოე ჯოხარიძეს შვილის, ღირსეული ქართველი ვაჟკაცის, **ხვიჩა ჯოხარიძის** ტრაგიკული დალუპვის გამო. გამაგრდი, ძმაო ნოე!

სერგო ჯანაშია, ჯოტი გელენავა, ავთო შუბლაძე, მურმან მარღანია, ბადრი ჯომიდავა, ვახტანგ ჩხაპელია, ონური გაგუა, ელდარ ჩიქოვანი, გია ჯოხარიძე.

თანაგრძნობას ვუცხადებთ ნუგზარ ანთელავას საყვარელი დეიდის გარდაცვალების გამო.

სერგო ჯანაშია, ომარ ჯანელიძე

გაზეთ „საქართველოს" კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ

გაზეთების, ჟურნალების, ბროშურების, ბუკლეტების დაკაბადონებას. ეტიკეტების (ფერდაყოფა — A3 ფორმატი, 1200 დპი), სარეკლამო პროსპექტების და სხვა პოლიგრაფიული პროდუქციის დამზადებას. ყველაფერი იაფად, ხარისხიანად, მაღალ თანამედროვე დონეზე და ოპერატიულად.

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართ. ოთახი 205, 206. ტელ. 93-19-99

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის
მოადგილე: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის
სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), გიორგი ლალიაშვილი (რეალიზაციის განყოფილების გამგე), **პორესპონდენტები:** კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეგეჭკორი, ხათუნა ხატიაშვილი, [illegible] ჯანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია.

პორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია